

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი გერვასი ბარათაშვილი

1877-1944

დეკანოზი გერვასი ელევთერის ძე ბარათაშვილი 1877 წელს, ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრის სოფ. ნავარძეთში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1899 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1900 წლის 8 სექტემბერს გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. 1902 წლის 20 იანვრიდან იმავე სასწავლებლის პედაგოგიცაა, საიდანაც 1904 წლის 30 აპრილს გათავისუფლდა. 1904 წლის 24 აპრილს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 1 მაისს მღვდლად დაასხა ხელი და ქუთაისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინა. 1904 წლის 19 ნოემბერს მერევის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1905 წლის 26 თებერვალს მერევის სამინისტრო სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1908 წლის 1 მარტს გათავისუფლდა მერევიდან და ჭიათურის უმაღლესი დაწყებითი სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად და შუქრუთის წმ. მარინეს სახ. ტაძრის უმტატო მღვდელმსახურად განამწესეს. მალევე მას დაევალა ჭიათურის საქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში საღმრთო სჯულის სწავლება ყველა კლასში და ოთხკლასიან კერძო საქალაქო პროგიმნაზიაში მასწავლებლობა. 1908 წლის 20 სექტემბერს სვერის ოლქის მთავარბუცვის თანაშემწედ დაადგინეს. 1908 წლის 26 სექტემბერს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1909 წლიდან იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჭიათურის განყოფილების სამდვილი წევრი.

1911 წელს მღვდელ გერვასის დაპირისპირება მოუვიდა ჭიათურის მხარეში მოღვაწე ასევე ცნობილ მოძღვართან, ბესარიონ ვაშაძესთან. სამწუხაროდ, მოძღვრები ვერ მორიგდნენ და მათ თავიანთი საქმის განხილვა საჯაროდ პრესის ფურცლებზე გადაიტანეს, რაც ასახულია გაზეთ „შინაური საქმეების“ ნომრებში. აი, რას წერდა მღვდელი ბესარიონი: „მამაო გვერასი!... მეოთხე წელიწადი გადის მას შემდეგ, რაც თქვენ მერევის სამრევლოდგან ჭიათურის საქალაქო სასწავლებელში გადმოხვედით საღმრთო სჯულის მასწავლებლად, ესე იგი, დასტოვეთ სამსახური საეპარქიო უწყებაში და სახალხო განათლების უწყებაში დაიკავეთ ადგილი. იმ დროიდგანვე იმ ზომამდე გავიტაცათ ფულის სიყვარულმა, რომ არ დაკმაყოფილდით თქვენი დიდი ჯამაგირით და ჩემ სამრევლო დაბა ჭიათურაში მოურიდებლად და თა-



დეკანოზი გერვასი მუშაობდა და მშობლებთან -
ვახტანგის და მარიკა, დაახლ. 1914-1915 წწ.

ვისუფლად იწყებ ხელის ფათური, მოინდომეთ ჭიათურის ხელში ჩაგდება, რისთვისაც ყოველი ღონე იღონეთ, ყოველი ზომები მიიღეთ: დადიოდით ხალხში საიდუმლოთ, ჩემ თავს აძულდებით საზოგადოებას და თქვენი თავი კი ყველას გააცანით და დაასახელეთ ჭიათურის სამრევლოს მღვდლად, რითაც რაოდენიმე პირები კიდევ შეიყვანეთ შეცდომამში, მასთან მთავრობასთანაც მრავალჯერ სიტყვიერად და ერთხელ წერილობითაც კი დამაბეზლეთ და ცილი დამწამეთ, ვითომ მე ჭიათურაში ეკლესიის აშენების წინააღმდეგი ვიყო და კიდევ თხოულობდით ჩემს გაძევებას ჭიათურიდან; ეს ბოროტი სურვილი დღესაც გაქვს, თუ კი განახორციელებ... თქვენი ასეთი ამხედრება ჩემს წინააღმდეგ გახსოვს, როდის იყო? 1907-1908 წლებში, სწორედ მაშინ, როდესაც მე ღვთის განჩინებამ თითქმის ერთ დროს მომასწორა სამუდამოდ ახალგაზრდა მეუღლე და ოჯახის მოამაგე და მოჭირნახულე მამა და ღრმა მწუხარებაში ჩავარდნილს, თანამოძმეს ნუგეშის და გამხნეების მაგივრად, თქვენის შეუფერებელი მოქმედებით ძარღვები ამიშალეთ და სიცოცხლე და ენერჯია მო-

მინამლეთ. აი, ძმობაც ამასა ჰქვიანა!!! თქვენ კი არც იმას მიაქციეთ ყურადღება, რომ სასულიერო მთავრობამ დ. ჭიათურა მიანერა რწმუნებულს ჩემდამო ზედა რვანის სამრევლოს, რადგანაც ზედა რვანი ნამეტანი პატარა სამრევლოა, სადაც მხოლოდ 60 კომლი სცხოვრებენ და ისინიც უკიდურეს სიღარიბეს განიცდიან, ხუთი აზნაურისა და სამის გლეხის ვარდა, შავი ქვის მადნის დამუშავების მიზეზით მაშინ, როდესაც ზოგიერთს სამრევლოებში ხშირად 200-300 კომლამდის სცხოვრებენ და იქაც კი უჭირსთ ეკლესიის კრებულთ თავის რჩენა დღევანდელ პირობებში. იმ მიზნით, რომ მე როგორმე დავეფარე სასულიერო მთავრობას თქვენის ძალ-მომრეობისგან და ყველას გავეგო, რომ ჭიათურა მე მეკუთვნის სამრევლოდ და არა თქვენ, სწორეთ რვა „რეზოლუციას“ დადგენილი და დაკანონებული თქვენს წინააღმდეგ, რომელთაგანი ერთი არის ეპისკოპოს ლეონიდესი და შვიდი კი დღევანდელი იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიერ, მაგრამ თქვენ კი არცერთ „რეზოლუციას“, განკარგულებას არ დაემორჩილეთ. ამას ისიც დაუმატოთ, რომ 1909 წლის ნოემბრის 9-10 რიცხვებში მეუფე გიორგი ბრძანდებოდა აქ მღვიმის დედათა მონასტერში, სადაც მე და თქვენ ერთად წარუდევით მისს მეუფებას, რომელმაც მწყემსმთავრული დარიგება გიბოძათ შემდეგი სიტყვებით: „თქვენ თქვენი საკუთარი ადგილი ვიკავიათ საერო უწყებაში, მაგ შტატის ადგილი სრულიად საკმარისია თქვენთვის, სხვის სამრევლოში შეცილებას თავი გაანებეთო“ და სხვა“. ხსენებულ წერილში მამა ბესარიონს მოჰყავს ასევე სხვა მაგალითებიც, ბოლოს კი სთხოვს ოლქის სამღვდლოებს, ჩაეროს საქმეში და გამოთქვას თავისი მოსაზრება ამ გაზეთის საშუალებით. 1911 წლის 2 მაისს მღვდელმა გერვასიმ საპასუხო წერილი გამოაქვეყნა იმავე გაზეთში, რომელშიც წერდა: „დიდი სიამოვნებით ნავიკითხე შინაური საქმეების ის ნომერი, რომელშიდაც დასტამბულია ღია წერილი მღვდლის, ბ. ვაშაძისა, ჩემდამო მომართული. როგორც წერილის სათაურიდან სჩანს, მღვდელი ვაშაძე მომმართავს მე და, მაშასადამე, პასუხსაც ჩემგან უნდა ითხოვდეს, მაგრამ წერილის ბოლო სულ სხვანაირია: მე გვერდს მიხვევს და თანამოდმე სამღვდლოებს სთხოვს, თავისი პირუთვნელი და სწორი აზრი გამოსთქვას, ვითომდა, ჩემი შეუფერებელი საქციელის შესახებ. ძალიან გამაკვირვა მისმა ასეთმა საქციელმა და დარწმუნებული ვარ, რომ ყველასაც, ვინც ნაიკითხვდა ან ან ნაიკითხავს, გაუკვირდებოდა და გაუკვირდება. როგორ არ უნდა გაუკვირდეს კაცს მისი ასეთი ანბანური ჭეშმარიტების უცოდინრობა. მ. ვაშაძეს დღემდის არ ცოდნია, რომ თანამოდმე სამღვდლოებს არავითარი აზრის გამოთქმა არ შეუძლია, ვერავითარ ნუგეშს მას ვერ მისცემს და ვერაფრით მას ვერ ასიამოვნებს, სა-

ნამ ჩემს აზრსა და შეხედულებას არ გაეცნობა ამ საგანზე, რომელიც მ. ვაშაძეს აუღია სალაპარაკო საგნათ. სამღვდლოება გამოსთქვამს აზრს შემდეგ ჩემი პასუხისა, თუმცა, როგორც ზემოთა ვსთქვი, ის ჩემგან პასუხს არ თხოვილობს და ან მაშინ, უკეთუ მე პასუხი მას არ გავეცი, რადგან ჩემ სიჩუმეს ყველანი თანხმობის ნიშნად ჩათვლიან. მე მზათა ვარ ამ უამადვე მისი სიცრუე საზოგადოებას დაუმტკიცო, მაგრამ საქმე აი, რაში მდგომარეობს: როდესაც მისმა საზიზღარმა მოქმედებამ იმდენად ამაღელვა, რომ მოთმინება შეუძლებელი შეიქმნა ჩემთვის, მე მივმართე ამა მდგომარე წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ჭიათურის სასამართლოს მსაჯულს, ბ. ნ. კ. რაზმაძეს და მისი პირით მღვდელი ვაშაძე საამხანაგო სამართალში გამოვიწვიე. მ. ვაშაძე დასთანხმდა, მაგრამ რამოდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც მოაწია ჩვენმა გასამართლების დრომ, მ. ვაშაძემ უარი განაცხადა საამხანაგო სამართალზე. შემდეგ მისი უარისა, მე გადავწყვიტე სხვა გზით მეგებიანება პასუხი მ. ვაშაძისათვის, მაგრამ სანამ ახალ გზას დავადგებოდი მას ხუთი კაცის პირით უკანასკნელი წინადადება მივეცი, საამხანაგო წესით გამომსწორებოდა და უკეთუ უარს შემომითვლიდა, იმ შემთხვევაში თავისუფალი უნდა ვყოფილიყავი ყოველივე საყვედურისაგან, თუ ვინიცობაა საქმე ცუდს მიმართულებას მიიღებდა. ეს იყო 29 აპრილს. მოციქულებს ყოველივე გადაეცათ მ. ვაშაძისათვის და თანაც დაემატებიათ, რომ უკეთუ ვაშაძე უარს იტყვის კიდე, იმ შემთხვევაში საზოგადოებას უნდა ვაცნობოთ, რომ სწორეთ ვაშაძე ყოფილა ყველაფერში დამნაშავე და, რა თქმა უნდა, საზოგადოება ჩვენ დაგვიჯერებს ყოველივესაო. მღვდელი ვაშაძე დიდი ყოყმანის შემდეგ დასთანხმებულა შემდეგის პირობით: 1) მედიატორებათ უნდა იყვნენ უთუოდ მღვდლები (ჰგავს ვაშაძე ერისკაცებს აღარ ენდობა); 2) მე, ბართაშვილმა, არ უნდა დავასახელო მედიატორეთ მღვდელი ვლადიმერ კაპანაძე; 3) პასუხი არ უნდა გავსცე „შინაურ საქმეებში“ ჩემ წინააღმდეგ მოთავსებულ წერილზე. რამდენად კანონიერია მ. ვაშაძის მოთხოვნილება, ეს მიმინდვია პატივცემულ მკითხველებისათვის, მე კი მას, ვაშაძეს, ვასიამოვნებ შემდეგით: 1) იყვნენ მღვდლები მედიატორებათ; 2) არ დავნიშნავ მედიატორეთ მ. კაპანაძეს, თუმცა მას არავითარი საბუთი არა აქვს კაპანაძეს წინააღმდეგ ამხედრებისა; 3) მე ჯერჯერობით პასუხს არ გავსცემ მას, მაგრამ პასუხი არ იქნება მედიატორების განაჩენი? ვინ იცის, შეიძლება იმათაც მოსთხოვოს ასეთივე პირობა! როდესაც ამ სტრიქონებსა ვსწერ, მე ჯერ კიდე არ ვიცი, ვის ასახელებს მ. ვაშაძე მედიატორეთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მე ვაცნობე მას და ვსთხოვე, ერთი მამა არ დანიშნოს მედიატორეთ, თუ ეს შესაძლოთ დაინახოს და თუ არ მოეშვე-



დეკანოზი გერვასი ბარათაშვილი და ქ. ჭიათურის ინტელიგენცია

„საქართველოს“ მკითხველებს მოეხსენებათ, სოფ. მღვიმევეში მონაზონი მოიტაცეს. მოტაცების საქმე ასე გამოიკვამა. ახალგაზრდა მონაზონს ძრიელ დაახლოვებია ჭიათურის სკოლების სჯულის მასწავლებელი მღვდელი ბარათაშვილი. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ერთს მეორესთან დაუნყვია მსვლელობა. ამ რომანტიულ გატაცებას მოჰყოლია სატრფიალო წერილების მინერ-მონერა. ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩათ სხვა მონაზვნებს. ეჭვით მოარშიყეთა წერილები დაუჭერიათ. ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს იმერეთის მღვდელმთავარს. ამ უკანასკნელს გამოძიება დაუნყვია... რა იქნება, საქმე რით გათავდება, არ ვიცით. შედეგს დროზე შეგატყობინებთ“.

პარალელურად შეიკრიბა სვერის ოლქის სამღვდლოებაც, სადაც განიხილეს აღნიშნული საკითხი. კრებაზე აღინიშნა, რომ ამ რამდენიმე თვის წინად გაზეთში კორესპონდენტმა „ციცინათელამ“ ცნობა მოათავსა, ვითომც მღვდ. გერვასი ბარათაშვილს მღვიმევის დედათა მონასტრიდან მონაზონი გაეტაცნოს. სამღვდლოებამ იმსჯელა და გადაწყდა, გაეგზავნათ საპასუხო წერილი გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში. თავის მხრივ, მამა გერვასიმ პროტესტი განუცხადა გაზეთს და კორესპონდენტის ვინაობის დასახელება მოსთხოვა სასამართლოში გასაწვევად. გაზეთის რედაქციაც დაუყოვნებლივ შეუდგა საქმის ვითარების გამოძიებას. აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი იყო ცილისწამება და სიმართლეს მოკლებული და უსაფუძვლო, რაზეც რედაქციამ მწუხარება გამოსთქვა და ბოდიში მოიხადა ჯერ მღვდელ

ბარათაშვილის წინაშე და შემდეგ მკითხველი საზოგადოების წინაშე. იმავე გაზეთში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც რედაქციის თხოვნით გააგზავნა სვერის ოლქის მთავარხუცესმა, დეკანოზმა იოსებ წერეთელმა: „თქვენი წერილის საპასუხოდ პატივი მაქვს შემდეგი მოგახსენოთ: პირველ ყოვლისა მე, როგორც მღვიმევის დედათა მონასტრის ბლალჩინმა, იმ ხმების შესამოწმებლად, რომელიც გაავრცელეს მღვდლის მ. ლერვასი ბარათაშვილის შესახებ, ადგილობრივ გამოვიკვლიე საქმის მდგომარეობა და დავრწმუნდი, რომ ხსენებულ მონასტრიდან მონაზვნის გატაცების ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. შემდეგ თქვენ გაზეთში მოთავსებულ ცნობას ყურადღება მიაქცია იმერეთის ეპისკოპოსმა, ყ-დ სამღვდლო გიორგიმ, რომელმაც მიბრძანა, საიდუმლო გამოკვლევა მომეხდინა, რაც ჩემ მიერ უკვე შესრულებულ იქმნა და გამოძიებული საქმე კარგა ხანია ჩემ მიერ ყ-დ სამღვდლოს წარედგინა. გამოძიების დროს თვისი ხელით ჩავანერიე ჩვენება საჭირო პირებს და მათი ჩვენებიდან გამოიკვამა, რომ თქვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობას ნამდვილად ადგილი არ ჰქონია და მ. ლერვასი ბარათაშვილის შესახებ თქვენი გაზეთის მიერ გავრცელებული ხმები სრულიად უსაფუძვლო და მოჭორილი გამოდგა. ჩხადია, „საქართველოს“ პატივცემული რედაქცია შეცდომაში შეუყვანია კორესპონდენტს“. იქვე, სტატიის ბოლოს, რედაქცია მღვდელ ბესარიონ ვაშაძის თხოვნით ამოწმებდა, რომ „ციცინათელას“ ფსევდონიმით მოთავსებული აღნიშნული სტატია მას არ ეკუთვნოდა.

დანაშაულების გადაბრალებით მთელ მორწმუნეებზე, დამნაშავეთა დასჯის ნაცვლად მთელი ეკლესიის აკრძალვით", - ვკითხულობთ პეტიციის ტექსტში.

**მიტროპოლიტი ონოფრა რუსეთის
ფაღარაციის ხელისუფლებას:
„ქრისტეს გულისათვის, შეწყვიტეთ
ჩვენი ხალხის ხოცვა“**

ქ. დნეპროში დაბომბვის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა სამძიმარი გამოუცხადა, რის შემდეგაც რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას მიმართა:

„მივმართავ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას და ვთხოვ: ქრისტეს გულისათვის, შეწყვიტეთ ჩვენი ხალხის წინააღმდეგ სროლა! ჩვენ გვინდა სიცოცხლე, ჩვენ არ გვინდა სიკვდილი. უფალმა სიცოცხლე გვაჩუქა, ნუ წავართმევთ მას. ის, ვინც სხვას სიცოცხლეს ართმევს, უფალი მსგავსადვე მიაგებს სანაცვლოს - ისიც დაკარგავს სიცოცხლეს. ერთი წვეთი სისხლისთვისაც კი მოუწევს უფლის წინაშე პასუხისგება. ამიტომ, ქრისტეს გულისათვის, ნუ



ესვრით ჩვენს ხალხს! შეწყვიტეთ მათი ხოცვა. ღმერთმა იმისთვის არ შეგვქმნა, რომ ერთმანეთი ვხოცოთ, არამედ მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის.

ჩვენ ერთი მამის - ღმერთის შვილები ვართ და მას სურს, ავიტანოთ ერთმანეთი, დავეხმაროთ ერთმანეთს, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს და არა დავბომბოთ. ვფიქრობ, ჩვენი ხმა შესმენილი იქნება, ამას ვევედრები ღმერთს“, - განაცხადა მიტროპოლიტმა ონოფრემ.

**ისტორიის ფურცელი
მღვდელი ალექსი ნოზაძე
1896-1974**

მღვდელი ალექსი გაბრიელის ძე ნოზაძე 1896 წლის 16 ნოემბერს, თბილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ. ალში გლეხის ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ. როგორც კი ალექსის 10 წელი შეუსრულდა, იგი სოფ. ალის სამრევლო-საეკლესიო სკოლაში შეიყვანეს, სადაც ოთხი ჯგუფი დაამთავრა. შემდეგ მან სწავლა ქარელის სკოლაში განაგრძო, აქ ორი კლასი დახურა. აქედან იგი ხაშურის სკოლაში გადავიდა, ასევე ოთხი ჯგუფი გაიარა და საბოლოოდ გორის სასულიერო სასწავლებელში ჩააბარა, რომელიც მშობლების გარდაცვალების გამო ველარ დაასრულა. მას ჰყავდა ოთხი პატარა და-ძმა, რომელთა შენახვა მას დააწვა კისერზე. ალექსი იწყებს მინის დამუშავებას საარსებოს მოსაპოვებლად. ამასთანავე, მოგეხსენებათ, ამ დროს

მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომი და გლეხების გაჭირებულ მდგომარეობას ესეც საკმაოდ ამძიმებდა. მიუხედავად სასწავლებლის დატოვებისა, ალექსის არ გაუწყვეტია ურთიერთობა თავის მოძღვართან, ალის წმ. თომა მოციქულის სახ. ტაძრის წინამძღვარ, მღვდელ ისიდორე მაჭარაშვილთან, რომელთანაც შინაურ გარემოში განაგრძო საღვთო წერილის, გალობისა და საეკლესიო ტიპიკონის შესწავლა. 1916 წელს იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, სადაც ორი წელი იმსახურა. სამშობლოში დაბრუნებულმა ალექსიმ ჯვარი დაინერა მარიამ ალექსის ასულზე და კვლავ ეკლესიას მიაშურა. 1918 წელს, თავისი მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, მან ალის ტაძარში დაიწყო მედავითნეობა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1921 წლის 12 იანვარი) მსახურება განაგრძო

სოფ. ქაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში, იქიდან კი ფლევის წმ. გიორგის სახ. ტაძარში გადავიდა. 1923 წელს, როდესაც საქართველოში მასობრივად დაიხურა ეკლესია-მონასტრები, მედავითნე ალექსიცი იძულებული ხდება დროებით შეწყვიტოს მსახურება. ოჯახი რომ არჩინოს და დაძმები გამოკვებოს, იგი დრამატულ წრეს ქმნის და სოფელ-სოფელ იწყებს სიარულს. მისი საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ხელისუფლებისთვის და 1923 წლის 11 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტში“ ვინმე ა. მაისურაძე აქვეყნებს სტატიას სათაურით - „ჯერ დიაკვანი, მერე რეჟისორი“ (ეგზარქოსების მმართველობის პერიოდშიც და ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგაც, ხალხი მედავითნეებს შეცდომით დიაკვნებად მოიხსენიებდა — გ. მ.): „გომის რაიონში (გორის მაზრა) სოფელი ალი განთქმული იყო როგორც ბუდე სამღვდელოების. იქ, როცა გნებავდათ, შეგეძლოთ გენახათ ერთი „დუჟინი“ მღვდელ-დიაკვანი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მათი რიცხვი, როგორც სხვაგან, შესამჩნევად შემცირდა. ბევრმა გამოიცვალა თავისი ანაფორა და გაიპარსა (თუმცა ერთი მათგანი — „გოძია“ მღვდელი გაპარსულიც კი ასრულებს მღვდლის „მოვალეობას“, სადაც ხეირს ნახავს). ამათ რიცხვში იყო ერთი პატარა დიაკვანი ალექსანდრე ნოზაძე. ამან სულ ცოტა ხანია, რაც დაიწყო ეს „სუფთა“ საქმე და ვერ მოასწრო გემრიელათ შეერგო ტაბლები, რომ მოუსწრო ეკლესიების დახურვამ და ხალხმა მათ ზურგი აქცია. ახალი დიაკვანი დარჩა უნუგეშოდ მიტოვებული ხალხის მიერ. დაფიქრდა ჩვენი ახალი დიაკვანი და ბევრი ფიქრის მერე მოიგონა ახალი ხრიკი, რომლითაც ადვილათ შეიძლებოდა სხვა ფორმით ჩვენი გაუნათლებელი ხალხის მოტყუება. მან იფიქრა, საბჭოთა ხელისუფლება კულტურულ მუშაობას დიდ ყურადღებას აქცევს, მეც ამ დარგში „ვიმუშავებ“, ამოვირჩევ რეჟისორობას, შევქმნი დრამატულ დასს, ვივლი სოფლად, დავდგამ წარმოდგენებს და მთელი შემოსავალი ჩემი იქნება. კანტროლს არავინ არ გამინევს, უკეთესი მოთამაშეები აქ არ მოვლენ, როცა იქნება დავდგამ წარმოდგენებს და ხალხს გავღვლეპამო. ახალი დიაკვანი ნოზაძე ასეც მოიქცა, მოკრიფა ალში ბიჭ-ბუჭები, შეაყენა დრამატული დასი და დაიწყო თავისი „საქმენი საგმირონი“, დადის ჩვენი ალექსანდრე რეჟისორი სოფლად და მართავს წარმოდგენებს. ხალხი აღფრთოვანებულია, რომ მოესწრენ სოფლად წარმოდგენის



მღვდელი ალექსი ნოზაძე 1966 წ.

დადგმას, მაგრამ რომ მიდიან, ისეთ რამეს ხედავენ სახეზე, რომ თავსა და ბედს იწყევილიან, რის მერე თოკითაც ვერ მოათრევენ იქ, რაც უნდა კარგი წარმოდგენა უნდა დადგა.

ამასხარავებენ როგორც საზოგადოებას, ისე ხელოვნებას და ხალხსაც. თეატრზე თქვენ ნახავთ გარყვნილ მასხარაობას, საცინლად აგდებულ საზოგადოებას და სხვა არაფერს. დიაკვანი და მისი დამქაშები ამ გზით აძულებენ ხალხს ხელოვნებას და კულტურას...

ნოზაძის „რეჟისორობას“, მის მოქმედებას უნდა მიაქციოს ყურადღება ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ყველა იმ დაწესებულებებმა, ვისაც ეს ეხება, რომ ასეთმა ვაჟბატონებმა ხალხს არ შეაძულონ თეატრი და კულტურა“.

ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან არ ჩანს, თუ რა ბედი ენია ამ წერილის შემდეგ ალექსის, და არც ის ვიცით, ამ სტატიამი აღწერილი მოვლენა სიმართლეს შეესაბამება თუ არა. მომდევნო წლებში შედგენილ საბუთებში ეს ფაქტი არსად მოხსენებული არ არის. იმ პერიოდში გაზეთ „კომუნისტში“ ხშირად იბეჭდებოდა მსგავსი ხასიათის ცილისმწამებლური წერილები სასულიერო პირებზე და მრევლის წევრებზე, ასე რომ, არ არის გამორიცხული ეს ამბავის შეთხზული იყოს.

1924 წლის გაზაფხული-ზაფხულიდან, როდესაც ხელისუფლებამ კვლავ დართო ნება საქართველოს საპატრიარქოს ეკლესიების გახსნაზე და იქ ღვთისმსახურების ჩატარებაზე, მედავითნე ალექსის ისევ ტაძარში ვხედავთ. 1925 წლის 27 ნოემბერს შედგენილ ურბნისის ეპარქიის ტაძრების ჩამონათვალში ის სურამის ოლქის სოფ. ცხრამუხის წმ. ნინოს სახ. ტაძრის მედავითნეა. აქვე ჩანს 1926 წლის 23 მაისსაც. 1928 წლის 30 მარტს შედგენილ ურბნისის ეპარქიის სამღვდელოებისა და მედავითნეების ჩამონათვალში იგი აღარ იხსენიება.

როგორც ვხედავთ, 1926 ან 1927 წლიდან მან ისევ დაანება თავი ეკლესიაში სამსახურს და კვლავ სოფლის მეურნეობას დაუბრუნდა. ეს ჩანს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არქივში დაცული საბუთებიდან, სადაც ის საარჩევნო უფლებებში აღდგენას ითხოვს. 1929 წლის 11 თებერვალს იგი სოფ. ალის თემ-საბჭოს საარჩევნო კომისიას წერდა: „მოგახსენებთ ალის საარჩევნო კომისიას მე, ალექსი ნოზაძე, რომ მე ვმსახურობდი არა დიაკვნათ, ასე იგი, არ ვყოფილვარ დამტკიცებული ნამდვილ დიაკვნათ. მე ვმსახურობდი ჩემი გაუგებრობებით სამი წელიწადი, ასე იგი, 1920-დან 1924 წლამდე. მას შემდეგ მივანებე თავი იმ ჩემს ცრუ მოსამსახურეობას. ვიყავი მიწის მუშა 1920 წლამდე და კიდევ გავხდები მიწის მუშა 1924 წლიდან და ვმუშაობ მიწაზე. ვარ მიწის მუშა, გთხოვთ, როგორც მე, აღარ მსახური ამ ჟამათ დიაკვნად და არ ვყოფილვარ ძველათ ვაჭარი და არც ეხლა არა ვარ კულაკი და არა ვარ მდიდარი და არც ვყოფილვარ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების მოღალატე და არც სხვისა, გთხოვთ, როგორც მე, პატიოსანი და სანყალი მიწის მუშის შვილი და, აგრეთვე, მეც მიწის მუშა, გთხოვთ, როგორც ამ ჟამათ ვარ შავ სიაში გამოშვებული, გთხოვთ, აღმიძრათ შუამდგომლობა აღმომიშვათ შავი სიიდან და აღმიდგინოთ თავისუფალი ხმის უფლება საქართველოს სოციალისტ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება ამ ჩემს განცხადებას და არ დამტოვოთ უყურადღებოთ“. თავის მხრივ, 1929 წლის 11 თებერვალსვე ალის საარჩევნო კომისიამ იმსჯელა მის თხოვნაზე და დაადგინა: „ვინაიდან დასტურდა, რომ მოქ. ალექსი ნოზაძე 1924 წლიდან აღარ დიაკვნობს და ეწევა მეურნეობას, ამისთვის საარჩევნო ხმის უფლება აღედგინოს, რის დასტურიც ეთხოვოს გორის



საშურის წმ. იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარი, 1966 წ.

მაზრის საარჩევნო კომისიას“. მართლაც, იმავე წელს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მას აღუდგინა საარჩევნო ხმის უფლება.

1939-1945 წლებში ყოფილმა მედავითნემ არაერთხელ მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე), გამოეცადათ იგი სასულიერო საგნებში და მომხდარიყო მისი ხელდასხმა, მაგრამ მან უარი მიიღო. თუ როგორ გაგრძელდა ამის შემდეგ მისი ცხოვრება, ამას ვკითხულობთ 1966 წლის სექტემბერში, თავისი ხელით დაწერილ ბიოგრაფიაში. სტილს ვტოვებთ უცვლელად: „1946 წელს ვსთხოვე განსვენებულ პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს, რათა დავეშვი საეკლესიო წყებაში რომელიმე ეკლესიაზე სამუშაოთ მედავითნეთ. შეიმწყნარა ჩემი თხოვნა და განცხადება. დამართო ნება. გამანწესა ქარელის რაიონის სოფელ ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ვიმსახურე მღვდელ განსვენებულ ზაბახიძე გრიგოლთან. იმავე ეკლესიაში, მღვდელ ციციქისშვილ რაჟდენტან სხვადასხვა უკმაყოფი-



მღვდელი ალექსი ნოზაძე 1972 წელი

ლების და კონფლიქტის გამო, დავანებე თავი. მის შემდეგ ვინცე ოჯახში მუშაობა. 1963 წელში გაიხსნა ქალაქ მცხეთაში მღვდელთ სამოძღვრო სემინარია. შევიტანე განცხადება კურსების დირექციის უმფროსთან, ეპისკოპოს ილია შიოლაშვილთან. მან მიიღო განცხადება. ვიყავ სემინარიაში წელიწად- ნახევარი. დამინიშნეს საგამოცდო კომისია პატრიარქ ეფრემ II-რეს

თანდასწრებით, პატრიარქ ეფრემ II-რეს ბრძანებით“. მოილო კურთხევა თვით პატრიარქმა ეფრემ II-რემ მღვდელ მოძღვრობის. მომცა მიმართვა ურბნისის ეპარქიის მიტროპოლიტ დავითთან. მის მიერ ვარ განწესებული ქარელის რაიონის სოფელ ატოცის წმ. გიორგის ეკლესიაში წირვა-ლოცვის ჩასატარებლად. რათა შემესრულებია მართლმადიდებლის საზოგადოების ყოველივე ქრისტიანული წესები, ყველა ხალხის სურვილი მოთხოვნა“.

სამწუხაროდ, ამ წერილში მღვდელი ალექსი არ უთითებს ხელდასხმის წელსა და თარიღს. ჩვენი აზრით ეს უნდა მომხდარიყო ან 1965 წელს, ან 1966 წელს, რადგანაც 1966 წლის 1 ნოემბერს შედგენილ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძრებისა და სამღვდლოების ჩამონათვალში იგი უკვე ატოცის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად იხსენიება. 1967 წელს მღვდელი ალექსი ხაშურის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დაინიშნა, თუმცა დაუტოვეს უფლება, თუკი მას ამაზე მიმართავდნენ, სოფ. ატოცში კვლავ შეესრულებინა საეკლესიო წესები, რასაც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად აღასრულებდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ (დედდარიანი) იგი ოქროს ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. მღვდელი ალექსი 1974 წელს გარდაიცვალა.

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №1044; საქმე №1438; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1880, აღწერა 1, საქმე №136; საქმე №250; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; საქმე №2048; საქმე №2925; აღწერა 2, საქმე №1223; გაზეთი „კომუნისტი“ 1923 წ. №233, გვ. 4.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპატრიარქოსო ეპისკოპოსო-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისებავით დავინფორმირებთ ვინსაღაც ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქცილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გავომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტერი: ვლასი ჯიბლაძე; გაერცვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასაფ. საქართველოში გაერცვლება ზაზა უგულავა 595343056 დაშ.კაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ხედავ, რომ ყველა ქმნილება დასაბამიდან უბრუნელი შექმნა უფალმა სამოთხის მკვიდრად? ხოლო შემდეგ უფალმა მათ ხრწნილება შესძინა და კაცთა ამაოებას დაუმორჩილა.

იცოდე, რომ მომავალ ცხოვრებაში განდიდდება და გაცისკროვნდება ქმნილება ღვთისა! რამეთუ, როდესაც იგი განახლდება — აღარ იქნება ისეთი

ნივთიერი, როგორც თავიდან იყო, არამედ, მოციქული პავლეს სიტყვისამებრ, — ყოველივე სულიერ სხეულს შეიძენს... საყოველთაო აღდგომისას, ღვთის ბრძანებით ყოველი ქმნილება უნივთოდ გარდაიქმნება და სულიერ სამყოფელში დაივანებს.

მომზადა
მარიამ გაგუამ

ისტორიის ფურცელი დეკანოზი ვასილ კანანაძე 1870-1949

დეკანოზი ვასილი 1870 წელს თბილისის გუბერნიაში, თელავის მაზრის სოფ. კონდოლში, დიაკვან ფილიპე კანანაძისა და ელისაბედ ღვინიაშვილის ოჯახში დაიბადა.

მამამისი, დიაკონი ფილიპე, გამოირჩეოდა უნაკლო ქართული მეტყველებითა და განსაკუთრებულად ლამაზი ხუცური და მხედრული ნაწერით. მას ჰყავდა უფროსი ვაჟი — გიორგი, რომელიც ფილტვების ანთებით გარდაიცვალა და დარდით შეპყრობილი ფილიპეც, შვილს რომ ვერ უშველა, მალევე გარდაიცვალა. მარტოდ დარჩენილმა ელისაბედმა შვილისა და მეუღლის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას გაუძლო, უფლის შენეებით, არ დაკარგა მხნეობა და დაულაღვად ზრუნავდა ვასილის აღზრდაზე.

ვასილმა დაამთავრა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიის ხუთი კლასი. იმავე წელს ჯვარი დაინერა ცნობილი ველისციხელი მემაძულის, მევენახისა და მეღვინის — გიორგი თუშიშვილის ქალიშვილ ნუცა — ნინოზე. გიორგი თუშიშვილი ადრე გარდაიცვალა და მთელი ოჯახის სიმძიმე ღირსეულად იტვირთა მისმა უფროსმა შვილმა სანდრომ. ის, დედასთან ერთად, ზრუნავდა დების — სოფიოს, ნუცა-ნინოს, დაროსა და ანეტას კეთილდღეობისათვის. ეს ოჯახი მეტად პატივსაცემი ოჯახი იყო იმდროინდელ ველისციხეში და გამოირჩეოდა ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შესრულებით. სამწუხაროდ, სანდრო



ახლადნაპურთხი მღვდელი ვასილი

თუშიშვილი 1921 წელს კომუნისტებმა დახვრიტეს, როგორც უამრავი სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი.

1894 წლის 24 ივლისს საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოივლენსკი) იგი დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 31 ივლისს გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) მღვდლად დაასხა ხელი და ბორჩალოს მაზრაში, ქვეშის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1899 წლის 1 თებერვალს საქართველოს მთიანეთში, თიანეთის მაზრაში ხორხელის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. იმავე წლის 29 მაისს თელავის მაზრაში, იყალთოს მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძარში დაინიშნა.

მღვდელ ვასილის მრევლს შეადგენდა იყალთოს თავად მაყაშვილების ოცი კომლი, სოფ. რუისპირის მცხოვრებნი და ცივგომბორის მთებზე მდებარე სოფლის: თეთრწყლების ფშავლები და სოფ. ნიაურის მცხოვრებნი ხევსურნი.

მღვდელმა ვასილმა გულისტკივილით წამოჭრა საკითხი, ღვთაებისა და მის ახლო მდებარე, ყოვლადწმინდა სამებისა და სულიწმიდის ტაძრების სავალალო მდგომარეობის შესახებ, რომელსაც გამოეხმაურა მთელი სოფელი და მათ გვერდით დაუდგა დიმიტრი მაყაშვილი. მათ, ერთობლივი ძალებით მიხედეს ამ ტაძრებს და აღადგინეს.

1902 წლის აპრილში მღვდელი ვასილი საგვერდულით დაჯილდოვდა. იგი წლების მანძილზე ითვლებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის მაზრის

განყოფილების წევრად. 1911 წლის 3 ოქტომბერს მოძღვარი ანყურის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ დაინიშნა. ეს სკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრის, თავად დიმიტრი მაყაშვილის თაოსნობით აშენდა. იმავე წელს დიმიტრი მაყაშვილმა საეკლესიო შესამოსელი შესწირა სოფ. იყალთოს ორივე ტაძარს. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „სახალხო გაზეთში“ იყალთოს წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი იოანე მრევლიშვილი და იყალთოს ფერისცვალების ტაძრის წინამძღვარი მღვდელი ვასილ კანანაძე სამადლობელ წერილს აქვეყნებენ: „**ბატონო რედაქტორო! ნება მოგვეცით „სახალხო გაზეთის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ, თავად დიმიტრი ივანეს ძე მაყაშვილს, რომელმაც კეთილი ინება და შემოსწირა სოფლის იყალთოს ეკლესიებს „ღვთაებისას და წმ, იოანე ნათლისმცემლისას“ თითო ხელი სამღვდლო შესამოსი ღირებული ოთხ-ოთხ თუმნად. რაზედაც გულითადს მადლობას ვუხდით ჩვენს მრევლთან ერთად და ვუსურვებთ მას დღეგრძელობას და სხვა მრავალი კეთილ საქმის გაკეთებას**“. 1912 წლის 1 იანვარს მღვდელი ვასილი იყალთოს სამინისტრო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1913 წლის 15 აპრილს სკუფია უბოძეს. 1915 წლის 5 აპრილს იყალთოს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში დაინიშნა.

1917 წელს, მრავალი წლის წინ გაუქმებული ალავრდის საეპარქიო კათედრის აღდგენის აღსანიშნავად, მოეწყო საზეიმო შეხვედრა ეპარქიის ხელმძღვანელ ეპისკოპოს პიროსისა (ოქროპირიძე) და მის თანმხლებ პირთათვის, რომლის ორგანიზება დაევალა მღვდელ ვასილს. მას დიდი დახმარება გაუწია თავადმა დიმიტრი მაყაშვილმა.

მღვდელმა ვასილმა თავის საზეიმო სიტყვაში დიდი აღფრთოვანება გამოთქვა ეპარქიის აღდგენისათვის და იმედი გამოთქვა და უფალს მხურვალედ შესთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. საზეიმო შეხვედრა დიდად დაამშვენა მამა ვასილის მეუღლის წინოს და მისი ახლობლების მიერ შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერა-საგალობლებმა.

ეპისკოპოსმა პიროსმა დიდი მადლობა გადაუხადა მღვდელ ვასილს ასეთი დიდებული და გულითადი შეხვედრისათვის და უკეთესი მომავლის იმედით გამოეთხოვა.

1918 წელს მღვდელ ვასილს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1921 წლის 13 ივნისს იგი ისევ იყალთოს მაცხოვრის ფერისცვალების სახ. ტაძრის წინამძღვარია. აქვე ჩანს 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროსაც და ხელს აწერს იყალთოს ფერისცვალების ტაძრის საეკლესიო ქონების ჩაბარების აქტს. 1923 წელს აპრილში უღმერთო ხელისუფლე-



მღვდელი ვასილ კანანაძე

ბამ ვნების შვიდეულში სასტიკად დაარბია იყალთოს ფერისცვალების ტაძარი. შეძრწუნებული მოძღვარი იმავე წლის 2 მაისს თელავის მაზრის I ოლქის მთავარხუცესს წერდა: „**თანახმად მონერილობისა მოგახსენებთ შემდეგს: ბზობის დღეს იყო პირველად მიტინგი სოფ. იყალთოში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან. იყო მრავალი ხალხი, მორწმუნე კაცი და დედაკაცი თანდასწრებით აღმასკომის თავმჯდომარისა, ელაპარაკნათ დამცირება სამღვდლოებისა, მორწმუნეებს ეთქოთ, სარწმუნოებას ვერ დავკარგამთ, ორიოდე კაცები დაეჭირნათ, ხალხი შეშინებულიყო და მაინც ხალხი არ დათანხმებულა ეკლესიის დაკეტვაზედ, მე დამიბარეს და მამთხოვეს ვერცხლეულობის სია, დიდ ოთხშაბათს მიმატაინა სია ვერცხლეულობისა, გაშინჯეს, აწერეს და ერთი სია ვერცხლეულობისა მე მამცა აღმასკომის თავმჯდომარემ აბესალომ თინეიშვილმა თავის ხელის მოწერით. დაბეჭდეს ეკლესია და გასაღებიც იმან წაიღო, შემდეგ დამიბარეს 27 აპრილს აღმასკომის თავმჯდომარემ, შავიდნენ საკურთხეველში, თავმჯდომარე კოტე ბაჩიაშვილმა და სხვებმა ჩაალაგეს მთელი ვერცხლეულობა, ბარძიმ-ფეშხუმები, სანაწილეები, კოვზები, მთელი საუკეთესო ხატები ვერცხლით შემოსილები, შესამოსლები და დაიწყეს ტრაპეზის ალაგება. მაშინ მე წაველ შინ, წაუღიათ სულ ყველაფერი, რაც რამ იყო, იქვე იყო მთელი ვერცხლი და შესამოსი მეორე ეკლესიისა, რადგანაც**

იქ ყარაული არ იყო და საშიშო არის. 29 აპრილს წამიყვანეს ფერისცვალების ეკლესიაში, იქიდანაც წამაიღეს კრეტსაბმელები, თოკი და დაბეჭდეს. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში დაუქცევიათ ტრაპეზი, დაუნგრევიათ მთელი კანკელი, ჩამოულიათ ზარები, დაუნგრევიათ და გადმოუგდიათ გუმბათი“.

1926 წლის 16 თებერვალსა და 6 აპრილს შედგენილ ალავერდის ეპარქიის სამღვდელოების ჩამონათვალში დეკანოზი ვასილი კონდოლის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1926 წლის 1 ივნისს იყალთოს ფერისცვალების ტაძრის საბჭო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) სწერდა: „მოგახსენებთ, რომ მღვდელი ვასილ კანანაძე 26 წელიწადი მსახურობდა სოფ. იყალთოში. ეს ორი წელიწადია გაგვანება თავი მიუხედავად ჩვენი ბევრი ხვეწნა-ვედრებისა და თხოვნისა, რომ დარჩომილიყო ისევე ჩვენს მღვდლად. აი, ეს ერთი კვირა იქნება, რაც უკანვე მოგვივიდა კანანაძე, და ადგილობრივ ეპისკოპოსსაც გამოუცხადებია იყალთოს ამორჩეულ თორმეტი კაცისთვის, რომ მას დაუნიშნია იყალთოში კანანაძე. და თუ ხალხს არა სურს ნუ შეუშვებენო. ეს გამოკვლეულია, რომ ადგილობრივ ეპისკოპოსს და მღვდელ კანანაძეს რამდენიმე წელიწადი უსწავლიათ ერთად და ყოფილან ამხანაგები და იმისათვის უნახავს კანანაძეს დიდ ხატრს ხალხის დაუკითხავად, თქვენ თვითონ იგრძნობთ რა თვალთ იქნება მრევლი კანანაძეზე ან თვითონ კანანაძემ როგორ უნდა იგრძნოს თავისი თავი ძველ ათვალწუნებულ მრევლში. ჩვენ გვგონია ეხლანდელ დროში სასულიერო მთავრობამ უნდა ანგარიში გაუწიოს ხალხს, ხალხი გადაჭრით აცხადებენ, რომ ჩვენ მღვდლად კანანაძე არ გვინდაო, სხვა ვინც გინდ იყოს დაგვინიშნოს სასულიერო მთავრობისაგან, მივიღებთო. ამის დასამტკიცებლად, რომ ხალხს კანანაძე მღვდლად არ უნდათ, ამასთან ერთად გიდგენთ ხალხის დადგენილების ოქმს ადგილობრივ ეპისკოპოსზე, რომელსაც მან სრულიად ყურადღება არ მიაქცია და მორწმუნე პირთ უფუჭებდა თავიანთ რწმენას სასულიერო მთავრობის მიერ დაჩაგვრით. ამისათვის გთხოვთ, ამ ჩვენს თხოვნას მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება“. 1926 წლის 2 ივნისს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა კალისტრატემ (ცინცაძე) ამ წერილს ასეთი სახის მინაწერი გაუკეთა: „თანახმად მისი უწმინდესობის ბრძანებისა, ვთხოვ



მღვდელი ვასილ კანანაძე შუამთის მონასტრის ბარათთან ერთად (ზის შუაში)

ყოვლადსამღვდლო მეღქმისედეკ ალავერდელს მიიღოს მხედველობაში იყალთოელების თხოვნა მღვდლის განმწესების შესახებ და დაამშვიდოს მორწმუნეთა აღელვებული სვინდისი“. როგორც ამ წერილიდან ირკვევა, დეკანოზ ვასილს 1924 წელს მიუტოვებია იყალთოს მრევლში მსახურება, ამიტომაც ჩანს იგი 1926 წლის 16 თებერვალსა და 6 აპრილს კონდოლის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. 1926 წლის 16 ოქტომბერს დეკანოზი ვასილი ალავერდელ ეპისკოპოსს მეღქმისედეკს (ფხალაძე) სწერდა: „ვინაიდან სოფელ იყალთოს თალღაური ჩამოშორდა, ძნელია ს. იყალთოში მრევლისაგან არსებობა, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ გადამიყვანოთ სოფელ კონდოლში ორივე სამრევლოში“. ამ ბრძანების უკანა მხარეს არის იყალთოს მორწმუნეთა ამორჩეულ საბჭოს წევრთა თხოვნა: „ყურადღება! მოგვაშორეთ კანანაძე და სხვა ვინც უნდა იყოს დაგვინიშნეთ“. მეორე დღეს დეკანოზი ვასილი კონდოლის წმ. თომა მოციქულის სახ. ტაძარში გადაიყვანეს.

1929 წლიდან მორწმუნეთა და ღვთისმსახურთა დევნამ მწვავე ხასიათი მიიღო, რაც გამოიხატებოდა არა მხოლოდ იდეურ, ანტირელიგიურ პროპაგანდაში, არამედ უმთავრესად ადმინისტრაციულ დევნასა და ფიზიკურ შევიწროებაში ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა მიმართ. ზოგიერთ სოფელში ადმინისტრაცია არ უშვებდა მღვდელს და არ აძლევდა ღვთისმსახურების ჩატარების უფლებას, ართმევდენ მინის ნორმას და ხელწერილის საშუალებით პირობას ადებინებდნენ სასულიერო პირებს უარი ეთქვათ მღვდელმსახურებაზე, თვითნებურად და გადამეტებულად ბეგრავდენ სამღვდელოებას და ეკლესიაში მოსიარულე მრევლს. 1929 წლის დასაწყისში ალავერდელი ეპისკოპოსი სტიფანე (კარბელაშვილი) თელავის მაზრის პროკურორს უგზავნის სიას, სადაც ეპარქიის ზედმეტად დაბეგრული მღვდლები და დიაკვნებია აღწერილი. მათ შორის იყო დეკანო-

ზი ვასილ კანანაძე. მის გრაფაში ეწერა: „ამა წლის 13 იანვარს მივიღე საგადასახადო ფურცელი #392, რომლითაც მევალებოდა 49 მანეთის გადახდა. შემოსავალი კი იყო ნაჩვენები შეცდომით 457 მანეთი. 1927-1928 წლებში იყო აღმწერი კომისია, რომელმაც დაადასტურა მთელი წლიური ყოველგვარი შემოსავალი არა უმეტეს 80 მანეთისა. 1928 წელს სოფ. კონდოლის სამრელოში კრებულს ჰქონია შემოსავალი 91 მანეთი და 30 კაპიკი შემონმბებული სამრევლო საბჭოს მიერ. ახდევინებენ 49 მანეთს. თუ შეღავათი არ ექნება გადის სამსახურიდან 23 იანვარი 1929 წლისა“.



დეკანოზი ვასილ კანანაია

1929 წლის 1 სექტემბერს შედგენილ ალავერდის ეპარქიის სამღვდელოების სიაში დეკანოზი ვასილი ისევ კონდოლის ტაძრის წინამძღვარია. 1930 წლის დასაწყისში კომუნისტებმა დაკეტეს კონდოლის ტაძარი და ხელისუფლების ზენოლის შედეგად მოძღვარი იძულებული გახდა ანაფორა გაეხადა.

1941 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) ლოცვა-კურთხევით დეკანოზი ვასილი ალავერდის ხარისხში და განაახლა მღვდელმსახურება. მას დაავალეს ვაკის სასაფლაოზე მრევლის მომსახურება. ამ დროს გადატანილი ჰქონდა მძიმე ოპერაცია და ის იყო უნდა დაეწყო ვაკეში ღვთის მსახურება, რომ მიიღო ახალი კურთხევა კახეთში, სოფ. ბუშეთში გასამგზავრებლად. ის გააფრთხილეს მიეხედა თავისი ჯანმრთელობისთვის. ბუშეთში ჩასულს, მალალი წნევის გამო, მალევე წაერთვა მარჯვენა ხელი და ავადმყოფობის გამო, ვეღარ გააგრძელა ღვთისმსახურება. დაბრუნდა თბილისში შვილთან, იროდიონთან (იმჟამად გიორგი უკვე ყვარელში მოღვაწეობდა) და ჩაერთო თავისი ჩვეული გულისხმიერებით შვილიშვილების აღზრდაში, რამდენადაც მისი ჯანმრთელობა ამის საშუალებას იძლეოდა. რადგან დამოუკიდებლად

უჭირდა მსახურება, უწმინდესი კალისტრატეს კურთხევით, 1943 წლის 2 ნოემბერს იგი სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძრის კრებულში უშტატო მღვდელმსახურად დაინიშნა. დეკანოზი ვასილი 1949 წლის 27 მარტს გარდაიცვალა.

ჰყავდა მეუღლე ნინო/ნუცა გრიგოლის ასული თუშიშვილი (1873-1937 წწ.) და შვილები: იროდიონი (დაბ. 1902 წ., შემდგომში ამიერკავკასიის ჯარების მთავარი ეკონომისტი, გადამდგარი პოლკოვნიკი) და გიორგი (დაბ. 1905 წ., წარმატებული ეკონომისტი, ყვარლის საფინანსო განყოფილების გამგე).

დეკანოზ ვასილის შვილიშვილი გახლავთ ნეკრესის ეპარქიის, ყვარლის დუბის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის შობის სახ. დედათა მონასტრის წინამ-

ძღვარი, ილუმენია თეკლა (კანანაძე).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №53057; საქმე №56334; ფ. 1698, აღწერა 1, საქმე №22; საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწერა 1, საქმე №50; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფ. საქმე №74, გვ. 1-2; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; საქმე №2048; საქმე №2376; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1899 წ. №5; №12-13; 1902 წ. №7-8; გაზეთი „სახალხო გაზეთი“ 1911 წ. №239, გვ. 6; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1913 წ. №8; 1915 წ. №8; გაზეთი „გზა და ჭეშმარიტება“ (ალავერდის ეპარქიის პერიოდული გამოცემა), 2010 წ. №4 (37), გვ. 6.

ლიტერატურა: დეკანოზი ბ. ჩიხორლიშვილი „ნეკრესელები წარსულიდან“ ქ. თბილისი 2022 წ. გვ. 114-119.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპარტოვლოს ეკლესია-გონასტარტა ფოტოგრაფი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს განვიხილოთ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქვნილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგუაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯობლაძე; გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტორაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

მღვდელი გიორგი ინანიშვილი 1878-1963

მღვდელი გიორგი იოსების ძე ინანიშვილი 1878 წელს თბილისის გუბერნიაში, თბილისის მაზრის სოფ. ნინოწმინდაში, გლეხის ოჯახში დაიბადა. დამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებლის სამი კლასი. XIX ს-ის 90-იან წლებში გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. მამათა მონასტერში მორჩილად განაწესეს. 1902 წლის 18 იანვარს ქოდალოს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1906 წლის 1 მაისს უჯარმის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1907-1917 წლებში თბილისის ქაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში მსახურობდა. 1917 წელს დიაკვნად აკურთხეს, იმავე წელს მღვდლად დაასხეს ხელი და დუშეთის მაზრაში სოფ. ახალდაბის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში დაინიშნა.

1923 წლის 4 იანვარს მცხეთის ეპარქიის I ოლქის მთავარხუცესის თანაშემწე, მღვდელი ერასტი ფხალაძე მცხეთა-თბილისის საეპარქიო სამწერლოს წერდა: „თანახმად პირადი გადმოცემისა, ამით მაქვს პატივი ცნობად, რომ მღვდელი გ. ინანიშვილი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ახალდაბის ღვთისმშობლის სამრევლოში გამოცხადდა წარსული წლის 16 აგვისტოს. სექტემბრის 21-ს ერთი კვირის შვებულებით იყო თბილისში და მარხვებისასაც კვირა-ნახევრით მოსცილდა სამწყსოს. სხვა დროს და წინათაც და ამ უამადაც იმყოფებოდა დანიშნულ ადგილას და განაგრძობს მსახურებას. იგი მოსწონთ და მის შესახებაც პირადად მთავარხუცეს დეკანოზ კონსტანტინე სუხიაშვილს ეშუამდგომლა მისი უწმინდესობისთვის, რომ მოეხსნათ მათ მისი უადგილოდ დატოვება და დაეტოვებინათ კვლავ მრევლისათვის. ეთხოვოს სამწერლობოს, რომ იშუამდგომლოს მის უწმინდესობასთან, რათა მათ არ მოინებონ დაშურება ყანჩავეთის სამრევლოში მღვდლის გამომწესებისათვის, ვიდრე ხსენებული სამრევლო თითქოს არ უჩვენებს თავის გამოსწორებას, რის შესახებაც თავის დროს დაუყოვნებლივ გეცნობებათ, ხოლო მანამდე, მიენდოს მოვლა მისი იკოთის სამრევლოს მღვდელს“.


1923 წლის იანვარში მღვდელი გიორგი ნატახტარის სამრევლოში განაწესეს. ერთ თვეში იგი წილკნის ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძრის კრებულში დაადგინეს. 1923 წლის 14 აპრილს მღვდელი გიორგი ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორეს (ციციქიშვილი) სწერდა: „თქვენი მეუფების

თანახმად მე გახდლით გამწესებული ამ ზემორე ხსენებულ პრიხოდზე. ვიდრე აქ დავინიშნებოდი, ვიყავი განსწესებული ნატახტარის სამრევლოში. ეს უკანასკნელი დაუთმე ან უკვე მთავარხუცეს მღვდელ აბრაამ ტარიელიშვილს, მე კი ვიკისრე შევიწროებულ მდგომარეობაში ყოფნა. წილკნის სობორო შედგები ორი შტატისაგან. ორი მღვდელი და ორი მედავითნესაგან, სადაც ჩემთვის შემდეგისათვის აუტანელი შეიქმნების მრავალ ხალხოვან კრებულის წევრებშიაც ყოფნა. მე, მეუფეო, მშვიდ ცხოვრებას ვარ შეჩვეული და, ვაითუ, შემდეგში ძმათა შორის რაიმე უსიამოვნება ჩამოვარდეს. ამიტომ, გთხოვთ, გადაყვანილ ვიქნე კორინთოს სამრევლოში“. 1923 წლის 16 აპრილს, თავისი თხოვნის საფუძველზე, კორინთოს სამრევლოში გადაიყვანეს, საიდანაც რამდენიმე თვეში კახეთში, სოფ. მანავში გაუცვალა ადგილი მღვდელ გიორგი ლაშაურს. 1924-1925 წლებში მღვდელი გიორგი ბორჩალოს მაზრაში, სოფ. დიდ გომარეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარში მოღვაწეობდა. 1926 წლის იანვარში წილკნის ეპარქიაში დაბრუნდა და გლდუისის წმ. გიორგის სახ. ტაძარში დაინიშნა, მაგრამ აქაც არ გაჩერებულა დიდხანს. 1926 წლის 9 მაისს უშტატო მღვდელი გიორგი წილკნის ეპარქიის I ოლქის მთავარხუცეს, მღვდელ ლევან ტლაშაძეს სწერდა: „მაქვს სურვილი, განვაგრძო ჩემი თანამდებობა. ამისთვის, გთხოვთ, მიშუამდგომლოთ წილკნის ეპისკოპოსის პავლეს წინაშე, რათა გამწესებულ ვიქნე დაბაკნეთის ეკლესიის სამრევლოს მღვდლად, რითაც მომეცემა საშუალება, ოჯახის რჩენისა. დაბაკნეთის მთავარანგელოზის სახ. ტაძარში“.

1926 წლის 21 მაისს ეპისკოპოს პავლეს ლოცვა-კურთხევით მღვდელი გიორგი დაინიშნა დაბაკნეთის ტაძრის წინამძღვრად. მასვე დაევალა ლარგვისის სამრევლოს ზემო ნაწილის მოვლა, ხოლო ქვემო ნაწილის დაევალა კორინთის მღვდელ გიორგი უზნაძეს. 1926 წლის 17 დეკემბერს მღვდელი გიორგი წილკნელ ეპისკოპოს პავლეს (ჯაფარიძე) სწერდა: „თავმდაბლად ვსთხოვ თქვენს უსამღვდელოესობას, კეთილი ინებოთ და მომცეთ სოფელ ძალისის სამრევლოს მღვდლის ადგილი, რადგან ამ ბოლო დროს ავადმყოფობ მუხლების ქარებით და არ შემძლიან აწინდელის ჩემს სამრევლოში როგორც მთაგორიან ადგილებში, პირნათლად შევასრულო ჩემი მოვალეობა“. იმავე წლის 19 დეკემბერს ეპისკოპოს-

მა პავლემ ამ წერილს ასეთი რეზოლუცი-
ას დაადო: „ვნიშნავ სოფ. ძალისის
თავისუფალი მღვდლის ადგილ-
ზე, თუ მრევლს არაფერი აქვს
საწინააღმდეგო. დაბაკნე-
თის სამღვდელოს ვაბა-
რებ ახალდაბის მღვდელ
იოსებ პავლიაშვილს“.

როგორც ვხედავთ, მღვდლობის პირველი 10 წლის განმავლობა-
ში, 1917-1927 წლებში, მღვდელმა გიორგიმ რამდენიმე სამრევლო გამოიცვალა. მოგეხ-
სენებათ, ეკლესიისთ-
ვის ურთულესი წლები იდგა. სამღვდელოების ნაწილი დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყე-
ბის დროს, რის შემდეგაც ნახევარზე მეტმა შიშისა და ტერორის ქვეშ ანაფორა გაი-
ხადა და საერო სამსახურში გა-
აგრძელა მოღვაწეობა, ხოლო ვინც დარჩა, უმძიმეს ვითარებაში უხდებო-
და სამსახური. სწორედ ამას უკავშირ-
დებოდა ასე ხშირად სამრევლოების ცვლა, რაც იმ დროს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ახალ სამრევლოში ჩასულ მოძღვარს ადგილობრი-
ვი ხელისუფლება ავიწროებდა, ხშირ შემთხვევაში სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ მათ, ან მის ოჯა-
ხის წევრებს, რის გამოც ისინი იძულებული იყვნენ, სადმე უფრო საიმედო და მშვიდ გარემოში გადასუ-
ლიყვნენ. სამწუხაროდ, ასეთი ადგილი იმუამინდელ საქართველოში აღარსად იყო დარჩენილი და მოძღ-
ვრები საერთოდ ანებებდნენ თავს ეკლესიას. იგივე ხვედრი გაიზიარა მღვდელმა გიორგიმაც. 1927 წლიდან მან დროებით შეწყვიტა მღვდელმსახურე-
ბა, ანაფორა გაიხადა და ქ. თბილისში, ღვინის სარ-
დაფში დაიწყო მუშაობა. 1929-1933 წლებში ქარხანა „არტელში“, 1933-1939 წლებში — საქპურტრესტის



**მღვდელი
გიორგი ინანიშვილი**

საწყობში, ხოლო 1939-1942 წლებში — სა-
ყოფაცხოვრებო მალაზიაში გამყიდ-
ველად მუშაობდა.

1942 წელს სრულიად საქარ-
თველოს კათოლიკოს-პატ-
რიარქ კალისტრატეს (ცინ-
ცაძე) ლოცვა-კურთხევით იგი კვლავ აღადგინეს მღვდლის ხარისხში და ახალგორის რაიონის სოფ. ალევის ღმრთის-
მშობლის სახ. სამრევ-
ლოში განაწესეს. 1948 წელს თბილისში, ქაშ-
ვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის კრებულზე მიანერეს და ვაკის სა-
საფლაოზე საეკლესიო წესების შესრულება და-
ევალა, სადაც ჩანს 1956 წლის 1 იანვრის ჩათვლით. სიცოცხლის უკანასკნელი წლები, ჯანმრთელობის გაუა-
რესების გამო, აღარ მსახურობ-
და. იგი თბილისში, ახალციხის ქ. 7-
ში ცხოვრობდა. მღვდელი გიორგი 1963 წლის 28 თებერვალს გარდაიცვალა.

პყავდა მეუღლე — ანა ზაქარი-
ას ასული (დაბ. 1886 წ.) და შვილები: მარიამი (დაბ. 1906 წ.), ვახტანგი (დაბ. 1909 წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №57638; საქართვე-
ლოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 516, აღწერა 1, საქმე №1, გვ. 93; საქართველოს უახ-
ლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1880, აღწე-
რა 3, საქმე №17; საქართველოს საპატრიარქოს არქი-
ვი, აღწერა 1, საქმე 34, გვ. 115; გვ. 127; საქმე №1508, გვ. 5; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1902წ. 3-4; გაზეთი „თბილისი“ 1963წ. №52, გვ. 4.

**მოამზადა მღვდელმა
გიორგი მაჩურიშვილმა**

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-
მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხევიით
დავინახავისგან ვიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გააზიაროთ გაუფრთხილდეთ მასში დაგაქმილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.
რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41



რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე;
გაერცვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცვლება ზაზა უგულავა 595343056
დამკავშირებელი: ვალერიან უფულები

ვიდა. „მე ასე მგონია, რომ ჩემ სიცოცხლეში ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ, არც სიკვდილი მაშინებს ან ამის შემდეგ, რადგანაც ვიცი, ინგილო ბავშვებს ღირსეული აღმზრდელები ჰყავთ, ინგილო ხალხს ქართული ენა არ დაავინწყდება, რისთვისაც მე მთელი სიცოცხლე ვიბრძოდი“ - უთხრა მან მასწავლებლებს მისალმების დროს.

საქართველოდან ჩამოსული მასწავლებლები ხშირად დადიოდნენ სოფიო ყულოშვილთან სახლში და ისიც მათ უამბობდა თავისი განვლი-

ლი ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებს და საჭირო რჩევებს აძლევდა ახალგაზრდა მასწავლებლებს.

სოფიო ყულოშვილი 1946 წელს გარდაიცვალა და იგი დიდი პატივით დაკრძალეს კახისტავის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში თავისი მამამთილის, წმინდა მღვდელმონაქვე მიქაელ ყულოშვილის გვერდით.

სერგო კერესელიძე

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი სვიმონ თოთიბაძე

1862 — 1936

დეკანოზი სვიმონ გრიგოლის ძე თოთიბაძე 1862 წელს ქუთაისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრაში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, რის შემდეგაც სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

1884 წლის 24 ივნისს სვიმონმა გურიის ეპარქიის კანცელარიაში მთარგმნელად დაიწყო მუშაობა. 1886 წლის 1 მარტს გურიის ეპარქიის გაუქმებასთან დაკავშირებით (შეიქმნა გურია-სამეგრელოს ერთიანი ეპარქია) დროებით უშტატოდ დარჩა. 1889 წლის 6 იანვარს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა (დადიანი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 13 იანვარს მღვდლად დაასხა ხელი და ზენობანის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განაწესა. იმავე წლის 15 მარტს ახალშენის მაცხოვრის აღდგომის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. იმავე წლის 24 მაისს ბათუმის ოლქის სასულიერო გამომძიებლად დაადგინეს, ხოლო 26 ივნისს დაინიშნა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ფინანსების შემმონმებელი კომისიის წევრად. 1890 წლის 11 იანვარს საჯავახოს ოლქის მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1890 წლის 5 ივნისიდან 1892 წლის 1 სექტემბრიდან იყო ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრი. 1890 წლის 17 სექტემბრიდან 1892 წლის 1 სექტემბრამდე იყო გურია-სამეგრელოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს ოზურგეთის მაზრის განყოფილების წევრი. 1890 წლის 17 ნოემბერს ჯვარცხ-



დეკანოზი სვიმონ თოთიბაძე
განმოსილი, XX ს-ის 30-იანი
წლების დასაწყისი

მის სასოფლო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1892 წლის 30 მარტს ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. საკათედრო ტაძრის მესამე მღვდლად დაინიშნა. 1892 წლის 16 აპრილს გათავისუფლდა საჯავახოს ოლქის მთავარხუცესის პოსტიდან. 1892 წლის 30 ივნისს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა. 1892 წლის 1 სექტემბრიდან 1900 წლის 1 იანვრამდე უსასყიდლოდ ასწავლიდა ბათუმის კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლაში საღვთო სჯულს. 1892 წლის 24 სექტემბერს ბათუმის წმ. მარინეს სახ. ქალთა სკოლაში საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1895 წლის 30

მაისიდან ბათუმში ახალი ქართული ტაძრის აღმშენებელი კომიტეტის წევრია. ეს ტაძარი შენდებოდა 1888 წლის 17 ოქტომბერს კავკასიაში იმპერატორ ალექსანდრე III-ის სასწავლებრივად გადარჩენის გამო. 1896 წლის 14 მაისს ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის სკუფია უბოძეს. 1899 წლის 19 იანვარს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) ოთხი წლის ვადით ბათუმის საქალაქო დუმაში სამღვდელოების მხრიდან დეპუტატად განაწესა. 1899 წლის 19 ოქტომბერს ბათუმის ალ. პუშკინის სახ. დაწყებით სასწავლებელში საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1900 წლის 1 იანვრიდან 1909 წლის 1 ივლისამდე იყო საღვთო სჯულის პედაგოგი ბათუმის ქალთა გიმნაზიაში. 1901 წლის 6 მაისს „კამილაკვა“ ეწყალობა. 1903

წლის 11 იანვარს ოთხი წლის ვადით ხელმეორედ აირჩიეს ბათუმის საქალაქო დუმაში. 1904 წლის 27 აპრილიდან მღვდელი სვიმონი ბათუმის საკათედრო ტაძარში მეორე მღვდლის ადგილზე გადაიყვანეს. 1905 წლის 15 მაისს მან სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1905 წლის 11 ივლისიდან ბათუმის საკათედრო ტაძრის მესამე მღვდლის ადგილზეა.

ქართველი მწერალი და სამხედრო მოღვაწე, ვიცე-პოლკოვნიკი დავით სამსონის ძე კლდიაშვილი, რომელიც 1882-1905 წლებში ბათუმში მსახურობდა, თავის მოგონებებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ მღვდელ სვიმონის შესახებ წერდა: „... სამკითხველოს გარდა, დიდი მაცადინობის შემდეგ, გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში. აქ როტშვილის ქარხანას ქონდა აგებული ფიცრული მუშების სასადილოსათვის და აქ გაიმართა საკვირაო სკოლა. რა თქმა უნდა, ეს მოგვარდა დიდი მაცადინობის და გაჭირვების შემდეგ. სკოლის პასუხისმგებელ გამგეთ იყო მღვდელი სვიმონ თოთიბაძე. როგორც იქნა მთავრობა დასთანხმდა თოთიბაძის გამგებლობაზე, დართო ნება იმ აზრით, რომ მღვდელი უფრო საიმედო იქნებოდა. თოთიბაძე ახალგაზრდა მღვდელი იყო, გულწრფელი, განვითარებული, თანამედროული მოწინავე აზროვნების პიროვნება. ამ თვისებებმა ბევრი სიმწარე გამოაცდევინეს მას, მაგრამ იგი მუდამ მაგრათ იდგა თავის პოზიციასზე და ამიტომაც დიდი პატივისცემა ქონდა დამსახურებული, ნამეტურ ქართველობაში. მის პასუხისმგებლობაში გახსნილი საკვირაო სკოლა მან დაუქვემდებარა ისიდორე რამიშვილს, ჩხეიძეს და მის ამხანაგებს და ესენი განაგებდნენ სკოლას. სკოლაში აუარებელი ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბრები. რამდენჯერ ვყოფილვარ ამ სკოლაში და ყოველთვის გაცხებული ვრჩებოდი, როცა ვხედავდი რა ხალხით, რა გატაცებით ეკიდებოდნენ, ევლებოდნენ ამ სკოლას ეს ხალხი, რომელიც სალამომდე ქარხანაში მუშაობდა, სალამოს სადგომზედ მიიღებნდა და ისევ, დაუსვენებელი, მორბოდა სკოლაში. საკვირაო ერქვა სკოლას, მაგრამ მაცადინობა კვირა დღეების გარდაც იყო“.

1906 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოებამ გააგზავნა საპროტესტო დეპეშა უწმინდესი სინოდის წევრისა და სანქტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ ანტონის (ვადკოვსკი) სახელზე ავტოკეფალიის თაობაზე, რასაც მოჰყვა უწმინდესი



ბათუმის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი

სინოდის მიერ რამდენიმე სასულიერო პირისთვის სასჯელის დადება. ამასთან დაკავშირებით სოციალურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ტალღაში“ უცნობი ავტორი ფსევდონიმით „კონია ჭყავშანელი“ წერდა: „როგორც სჩანს, ძალიან გაუგავრება სამღვდლოება სინოდის განკარგულებას საქმის გამოძიებამდე მღვდლების — სვიმონ თოთიბაძის, ეპიფანე ჩხაიძის და ლავრენტი ნულაძის — სამსახურიდან გადადგომის შესახებ. თითქმის ვერც ერთ მღვდელს ვერ ნახავთ, რომ არ ამბობდეს: „საკვირველია სინოდის განკარგულება, აღნიშნული პირები ჩვენი მინდობილობით, ჩვენივე სურვილის გამომხატველნი იყვნენ, სამართლიანი მოთხოვნისთვის თუ სასჯელია საჭირო, ჩვენ ყველა დასჯის ღირსნი ვართ, თორემ ამ მღვდლების დასჯა სინოდს რა ჭკუაში მოუვიდაო?“

მე შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი ბახვის საბლალოჩინო ოლქის ეკლესიების კრებულთა კრებას, რომელმაც შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა: „ჩვენ, ბახვის საბლალოჩინო ოლქის ეკლესიების კრებულმა, თავის კრებაზე მოვისმინეთ რა ცნობა სინოდის მიერ შესახებ ჩვენი რწმუნებულ მღვდლების — სვიმონ თოთიბაძის, ეპიფანე ჩხაიძის და ლავრენტი ნულაძის — დასჯის შესახებ, მიტროპოლიტ ანტონთან დეპეშით გაგზავნილ პროტესტის გამო დავადგინეთ შემდეგი: 1) გამოვდივართ რა იმ მოსაზრებიდან, რომ ჩვენ მტკიცეთ მოვითხოვთ იმ მოთხოვნების სავსებით განხორციელებას, რომელიც გატარებული იყო ჩვენს პეტრიციაში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და რომ შემოხსენებულ პირთაგან გაგზავნილი დეპეშა არის და იყო ჩვენი სურვილის გამომხატველი და ჩვენივე მინდობილობით გაგზავნილი, ამიტომ პროტესტს ვუცხადებთ სინოდს აღნიშნულ განკარგულებისათვის; 2) მტკიც-



დეკანოზი სვიმონ თოთიბაძე ოჯახით

ცეთ მოვითხოვთ ყ-დ სამღვდლო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის გიორგისაგან, რომ მან არავითარ შემთხვევაში არ მოიყვანოს სისრულეში სინოდის განკარგულება, როგორც უსამართლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენის მხრით, შეწყვეტილ იქნება იმასთან, როგორც ადგილობრივ მღვდელმთავართან ყოველივე დამოკიდებულება“. ამ რეზოლუციას ხელი მოაწერა ბახვის ოლქის ყველა მღვდელმა, დიაკონმა და მედავითნემ.

1910 წლის 8 ივნისიდან 1913 წლის 16 მარტამდე მღვდელი სვიმონი იყო ბათუმის ოლქის მთავარბუცესი. 1914 წლის 22 ნოემბერს ბათუმის მიხაილოვის სამხედრო ციხესიმაგრის კაპელანად დაინიშნა. რამდენიმე თვეში მასვე დაევალა ბათუმის სამხედრო ჰოსპიტლის კაპელანობა. 1915 წლის 2 ივლისს იგი წმ. ვლადიმერის IV ხარისხის უმახვილო ორდენით (სხვა ვერსიით — წმ. ანას III ხარისხის ორდენით) დაჯილდოვდა. 1918 წელს დეკანოზის წოდება მიენიჭა. 1922/1923 წლებში და 1924 წლის აგვისტოს გამოს-

ვლების დროს ხელისუფლებამ მრავალი სასულიერო პირი დახვრიტა, ზოგიც ამ ამბის შემხედვარე შეშინდა და უარი თქვა მსახურებაზე. მათ რიცხვში იყო დეკანოზი სვიმონიც, რადგან 1925 წლის 31 აგვისტოს შედგენილ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის სასულიერო პირთა ჩამონათვალში იგი აღარ იხსენიება მოქმედი სამღვდლოების რიგებში. იგი იმ სასულიერო პირთა სიაში იყო, რომელთაც გაიხადეს ანაფორა და აღარ ჰქონდათ სურვილი, გაეგრძელებინათ ღვთისმსახურება. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან საერო სამსახურში გაატარა. ყოფილი დეკანოზი სვიმონი 1936 წლის 26 აპრილს გარდაიცვალა.

ჰყავდა მეუღლე — ნინო ქაიხოსროს ასული ჯაყელი (დაბ. 1868 წ.) — და შვილები: სტრატონი (1890-1973 წწ., პედაგოგი); თამარი (1893-1960 წწ., მეუღლე სამსონ ჩხიკვიშვილი); ქეთევანი (დაბ. 1896 წ.); შუშანიკი (დაბ. 1898 წ.); ანდრია (დაბ. 1902 წ.); ვერონიკა (დაბ. 1906 წ.); ნიკოლოზი (დაბ. 1908 წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №53111; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1892 წ. №17; 1901 წ. №11; 1905 წ. №11-12; გაზეთი „ტალღა“ 1906 წ. №14, გვ. 2; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1913 წ. №9; 1914 წ. №22; გაზეთი „საქართველო“ 1915 წ. №52, გვ. 4; ჟურნალი „მნათობი“ 1925 წ. №8-9, გვ. 217-218; გაზეთი „კომუნისტი“ 1936 წ. №99, გვ. 4.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპატრიარქოსო ეკლესიის-მონასტრის ფოტოები, ბათუმში, დაგვიკავშირდით, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავინებან ვინაა ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

ბათუმში, გაზეთს გაუფრთხილდით მასში დაგაქვითი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერო: ვლასი ჯიბლაძე; გაფრცხვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაფრცხვლება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ახლაც ცარიელია. შევლენ მარტოდ-მარტო მ. დეკანოზი და მთავარ-დიაკონი, იქნება ხანდახან მათ შეჰყვეს მნათეც და გამოვლენ ისევ ისინი, მორჩა და გათავდა. ვისთვის არის აშენებული ეს საღმრთო სახლი? მართლმადიდებელ ქრისტიან ხალხისთვის, არა? დიალ, მათთვის და ეს ხომ მრევლია: მაშ, მრევლი არა ჰყავს ამ ეკლესიას? მაშ, ამოდენა ქალაქში მრევლი არ ეყოლება? მრევლი საკმაოდ ჰყავს, მაგრამ არ დაიარება ეკლესიაში. მიზეზი? მიზეზად ეს მოჰყავს ხალხს, რომ იქ (ეკლესიაში) არა გვესმის-რა და რისთვის წავიდეთო, რადგან მომეტებულწილად ქართულად არ სრულდება საღმრთო მსახურებაო.

მოგეხსენებათ, ყველა გემოვნებას და სიამოვნებას მისდევს. შარშან მოგვხედა ღმერთმა და შეადგინეს მარიამის ოთხკლასიან დედათა სასწავლებელში მოსწავლე ქალთაგან მგალობელთა გუნდი, მღ. მ. გ. ღვინიაშვილის ლოტბარობით შეკრებილ ქალებმა იწყეს საამო ტკბილის ხმით გალობა. ახლაც დაიძრა ჩვენი მძინარა მრევლი და იწყეს მუყაითად სიარული ეკლესიაში. ნამეტნავად კვირა-უქმე და ბედნიერ დღეებში ტვეა აღარ იყო ჩვენს ეკლესიაში; ქალაქის ყველა მხრიდან და ქუჩებიდან მიეშურებოდა ხალხი ეკლესიისკენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბედნიერება ჩვენებურად, სიღნაღურად, დღე მოკლე გამოდგა და ზემოხსენებულ მწერივით ისევ თავის ადგილზე გაჩერდა ჩვეულებრივად. ჯვარცმის კვირის აქეთ ჩვენს ეკლესიაში აღარ გაგვიგონია ქალთაგან გალობა და აღარც ხალხს გაუჭაჭანებია იქ. რად მოჰხდა ასე? ამბობენ, ინტრიგებზეა საქმე აშენებულიო. ზოგიერთნი კი ეკონომიას (დაზოგვას) აბრალებენ. მღ. მ. გ. ღვინიაშვილს ეძლეოდა თვეში 10 მანეთი და თავის საქმეს ძლიერ სინდისიერად ასრულებდა. სოფ. მაშნაა-



მღვდელი გიორგი ღვინიაშვილი

რიდან თითქმის ყოველდღე დაიარებოდა ქ. სიღნაღში. სოფ. მაშნაარი, თუმცა ახლოა სიღნაღზე, მაგრამ გზა? ოჰ, გზას ნულარ მეტყვიო. გინდ მაშნაარიდას სიღნაღს. აი, ამ ჯოჯოხეთ გზებზე მოსიარულე კაცისთვის დაიშურეს თვეში 10 მანეთი, რომელიც მარტო ფეხსაცმელს არ ეყოფოდა".

1901 წელს მღვდელი გიორგი ნაყოფიერი და თავდადებული სამსახურისათვის საგვერდულით დაჯილდოვდა, ხოლო 1905 წლის აღდგომას სკუფია უბოძეს.

სამწუხაროდ, მისი საეკლესიო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ადრეულ ასაკში შეწყდა. მღვდელი გიორგი ბოროტმოქმედების მსხვერპლი გახდა. 1908 წლის 3 აგვისტოს მოძღვარი სოფ. მაშნაარიდან ქ. სიღნაღში ცხენით გაემგზავრა, რა დროსაც უცნობმა პირმა სიცოცხლეს გამოასალმა. მკვლეელი შემთხვევის ადგილიდან

მიიმალა. მოგვიანებით მღვდელ გიორგის ოჯახს სახელმწიფო ხაზინიდან 133 მანეთის ოდენობით პენსია დაენიშნა.

ჰყავდა მეუღლე — ნადეჟდა რაფაელის ასული (დაბ. 1871 წ.) და ერთი ვაჟი: ირაკლი (დაბ. 1900 წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 488, აღწერა 1, საქმე №2541; ფ. 489, აღწერა 1, საქმე №48047; საქმე №62080; საქმე №62156; საქმე №64713; გაზეთი „ივერია“ 1890 წ. №28, გვ. 1; №42, გვ. 3; 1903 წ. №235, გვ. 2; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1891 წ. №4; 1892 წ. №6; 1897 წ. №16; 1898 წ. №24; 1899 წ. №4; 1902 წ. №7-8; 1905 წ. №9; Газета „Кавказь“ 1908 წ. №179, გვ. 3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1910 წ. №5.

მოამზადა მღვდელმა გიორგი მაჩურიშვილმა

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის მონასტართა ფოტოგაზ, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავიწყებინებან ვიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქცილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56. რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41



რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეჯია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგოშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კურსელიძე, ბულალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკავშირებელი: ვალერიან ჯუღელი

კიევ-პეჩერის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე რუდნიკი ეყრდნობა „უკრაინის თავდაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭოს 2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებების შესახებ“ პრეზიდენტის № 820/2022 განკარგულებას „რელიგიური ორგანიზაციების უკრაინაში საქმიანობის ცალკეული ასპექტებისა და პერსონალური, სპეციალური ეკონომიკური და სხვა შემზღუდავი სანქციების შესახებ“.

„უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფისა დასკვნების გათვალისწინებით, უკრაინის კულტურისა და საინფორმაციო პოლიტიკის სამინისტროს № 06/34/2234-23 წერილის საფუძველზე, ნაკრძალი 2023 წლის 29 მარტიდან შეთანხმების გაუქმების შესახებ გატყობინებთ“, - ვკითხულობთ წერილში.

უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიაში აცხადებენ, რომ მათ ლავრა 29 მარტამდე უნდა დატოვონ. ამის შემდეგ ადგილზე მუშაობას დაიწყებს სახელმწიფო ქონების მიღება-ჩაბარების კომისია.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი გიორგი ღვინიაშვილი 1867-1908

მღვდელი გიორგი ილიას ძე ღვინიაშვილი 1867 წელს თბილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, მედავითნის ოჯახში დაიბადა. მისი წინაპრები საეკლესიო გლეხებად ითვლებოდნენ და ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოსა და დედაეკლესიას.

სასულიერო პირი იყო მღვდელ გიორგის პაპა — მღვდელი ზაქარია იოსების (ზოგიერთი საბუთით — იესეს) ძე ღვინიაშვილი, რომელიც 1774 წელს კახეთის სოფელ ახაშენში საეკლესიო გლეხის ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე წერა-კითხვა, გალობა, საღმრთო ისტორია და საეკლესიო ტიპიკონი თბილისში, კათოლიკოს ანტონ II-ის კარზე ისწავლა. 1800 წელს კათოლიკოსმა ანტონ II-მ (ბაგრატიონი) დიაკვნად აკურთხა. 1801 წელს მღვდლად დაასხა ხელი და ახაშენის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარში განაწესა. დაჯილდოებული იყო 1812 წელს რუსეთ-საფრანგეთის ომის დროს მოჭრილი ბრინჯაოს ჯვრით. მღვდელი ზაქარია 1829 წლის 30 აპრილს გარდაიცვალა. დაკრძალულია ახაშენის ტაძრის ეზოში.


ჰყავდა მეუღლე — მართა გიორგის ასული როსტიაშვილი (დაბ. 1789 წ.) და შვილები: თებრონია (დაბ. 1808 წ.), მღვდელი დიმიტრი (დაბ. 1809 წ.), გიორგი (დაბ. 1815 წ.), ეკატერინე (დაბ. 1819 წ.), მიხეილი (დაბ. 1822 წ.), სიდონია (დაბ. 1822 წ.), მედავითნე ილია (დაბ. 1827 წ.).

მამა — ილია ზაქარიას ძე ღვინიაშვილი წლების განმავლობაში მსახურობდა მედავითნედ კახეთის სხვადასხვა სოფელში და თავისი მუყაითი და ერთგული სამსახურით სამღვდელოებისა და მრევლის სიყვარული დაიმსახურა. მან თავისი ვაჟები — გიორგი და ლეონტი (1872-1935 წწ., დეკანოზი, თელავის ღვთაების ტაძრის წინამძღვარი და ალავერდის ოლქის მთავარხუცესი 1931-1935 წლებში) — კეთილშობილ ადამიანებად აღზარადა, რომელთაც ბავშვობიდანვე უწერგავდა უფლისა და სამშობლოს

სიყვარულს, მოყვასისადმი თავდადებასა და სამართლიანობისათვის ბრძოლის აუცილებლობას. ორივე მათგანი ღირსეული სასულიერო პირი გახდა და თავიანთი ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში.

გიორგი ღვინიაშვილმა სწავლა დაიწყო თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ, 1887 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა. სემინარიაში სწავლის დროს იგი ხელმძღვანელობდა სემინარიის ადგილობრივი გალობის საეკლესიო გუნდს. 1890 წლის 6 თებერვალს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც უცნობი ავტორი სემინარიის მგალობელთა გუნდის ლოტბარს ბრალს სდებდა კარბელაანთ გალობის კილოს თვითნებურ შეცვლაზე. მისი აზრით, ეს გალობა საერო სიმღერას უფრო ჰგავდა, ვიდრე საეკლესიოს. იმავე წლის 28 თებერვალს გიორგიმ გაზეთ „ივერიაში“ ვრცელი პასუხი გასცა ბრალმდებელს: „თქვენის გაზეთ „ივერიის“ მე-28 #-ში ერთი თქვენი მოამბე აღიარებს თავის მწუხარებას შესახებ კარბელაანთ კილოს ქართულ საეკლესიო გალობის გამო, რომლის კილოსაც, კორესპონდენტის სიტყვით, მე არა ვსჯერდები და ჯერ საზოგადოდ მთელს საეკლესიო გალობას ვუცვლი კილოს და მერე განსაკუთრებით „უფალო შეგვიწყალენ“-ს ჩემებურად „ვთხზავ“, რის გამოც გალობას ეძლევა სხვა თვისება და ხასიათიო.

ძრიელ კარგი, ბ-ნო კორესპონდენტო, და რომელს გალობას ეძახით კარბელაანთ კილოს და რით განირჩევა სემინარიის ქართულ ხოროს გალობა იმ კილოსაგან? მგონია რომ არაფრით, რადგან წინად იყო და კარბელაშვილები ასწავლიდნენ საეკლესიო ქართულს გალობას სემინარიაში და ეხლა კიდევ — მღვდელი ა. მოლოდინაშვილი ნოტებით, რომელიც დაწერილია ივანოვისაგან კარბელაშვი-



გიორგი ღვინიაშვილი
სემინარიის სწავლის პერიოდში

ლების მგალობელთა დასის მეოხებით, რომელთა შორის მონაწილეობას იღებდა თვით მღვდელი ა. მოლოდინაშვილი. სჩანს, რომ სემინარიაში უსწავლელიათ და ასწავლიან თითოეულს წევრს იმ მგალობელთა დასისას, რომლის გალობის კილო და თვისებაც თქვენს ესტეტიურს გრძნობას აკმაყოფილებს. მაშ ეხლა რაღა გუნება გეცვალათ? მხოლოდ მე გულწრფელად შემოძლიან ვსთქვა, რომ ვიყავ და ვარ იმ კარბელაანთ კილოს მომხრე და მოყვარული, რომელიც, როგორც თქვენც ამტკიცებთ, არის გავრცელებული და უკვე დამკვიდრებული აღმოსავლეთს საქართველოში.

შემდეგ განსაკუთრებით ბ-ნი მოამბე თანაუგრძნობს კარბელაანთ კილოზე „უფალო შეგვიწყალენ“-ს, რომელიც ვითომ გამიგზავნია დავიწყების არხივში და იმის მაგიერად „შემითხზავს ახალი უფალო შეგვიწყალენი, რომელიც უფრო საერო სიმღერას ჰგავს, ვიდრე საეკლესიო გალობას“.

აბა, ჰკითხეთ თითონ ვ. კარბელაშვილს, დაგემონებებათ ამაზე, თუ არა. ან არა და შემოიარეთ მთელი კახეთი და ჰკითხეთ გალობის მცოდნეებს: ყ. მენთეშაშვილს, რომელმაც ბენაშვილს ქართული გალობა გადააღებინა ნოტებზე, ან კიდევ შუამთის მონასტრის ილუმენს მ. ფილარეტს, რომელსაც კარბელაშვილების განსვენებული მამისაგანა აქვს პირდაპირ ნასწავლი ქართული გალობა საფუძვლიანად და რომელთანაც სოფ. ველისციხე-

ში რამდენჯერმე მიგალობნია. თითქმის მთელს კახეთში, ყველა ეკლესიებში გალობენ იმ „უფალო შეგვიწყალენ“-ს, რომელსაც კორესპონდენტი ჩემგან შეთხზულს ეძახის, და თუ ესეა, მაშასადამე, ჩემგნით შეთხზული უფალო შეგვიწყალე ყოფილა კარბელაანთ კილო, რადგან თქვენც შემომწმებით, რომ კარბელაანთ კილო დამკვიდრებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ხოლო მე იქაური გალობა ვიცი და თუ ნოტებზე დამინერია ის გალობა, ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ ახლად შემითხზავს, არამედ გადამიღია ნოტებზე ზეპირი ცოდნა ხოროს სასწავლებლად. აქედგან სჩანს, რომ თქვენ თითონ არა გცოდნიათ, თუ რამდენ გვარი უფალო შეგვიწყალე აქვთ კარბელაშვილებს.

მგონი, რომ ისევ სჯობდა: ჯერ კარგად გაგეგოთ, ბ-ნო მოამბე, უფალო შეგვიწყალეს ვითარება თუ რამდენად შეთხზულია და უკან ჩამორჩენილი კარბელაანთ კილოს, და მერე ისე გეჭიროსუფლნათ“.

1890 წელს, უკვე V კურსიდან, საკუთარი თხოვნის საფუძველზე გიორგი გათავისუფლდა თბილისის სასულიერო სემინარიიდან. 1891 წლის 3 მარტს საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) იგი დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 9 მარტს მღვდლად დაასხა ხელი და ახიელის მთავარანგელოზთა სახ. ტაძრის წინამძღვრად განაწესა. 1892 წლის 4 მარტს ქისტაურის წმ. ნინოს სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1897 წლის 29 ივლისს შიბლიანის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1898 წლის 24 ნოემბერს ბაქოს გუბერნიაში, ჯევათის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში განამწესეს (თუმცა, როგორც საბუთებიდან ირკვევა იგი იქ არ ჩასულა). 1899 წლის 14 იანვარს მღვდელი გიორგი მაშნაარის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს და იმავე სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. მასვე მიენდო სიღნაღის მაზრის I და II ოლქებში არსებული ბიბლიოთეკარის უფროსის თანამდებობა. 1901 წელს იგი სიღნაღის წმ. მარინეს სახ. სასწავლებელში საეკლესიო გალობის პედაგოგად დაინიშნა.

1903 წელს ნოემბერში გაზეთ „ივერიაში“ უცნობი კორესპონდენტი, ფსევდონიმით „სიღნაღელი“, ქ. სიღნაღის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ტაძარზე, იქაურ სასწავლებელსა და მღვდელ გიორგი ღვინიაშვილის ღვანლზე მოგვითხრობს და დადებით შეფასებას აძლევს მის მოღვაწეობას: „ქ. სიღნაღი, 1 გიორგობისთვე. ...ჩვენი ეკლესია მთავარანგელოზისა მუდამ ცარიელი იყო; უნდა გამოვცადე,

◀ Около сел. Машнари, въ 3-хъ верстахъ отъ Сигнаха, 3-го августа вечеромъ неизвестнымъ убитъ священникъ о. Гвиніевъ, возвращавшійся верхомъ въ Сигнахъ. Убийца свылся.

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი ალექსი თევზაძე

1864-1933

დეკანოზი ალექსი კარპეზის ძე თევზაძე 1864 წელს ქუთაისის გუბერნიაში ქუთაისის მაზრაში, სოფ. მუხალრუაში სასულიერო წოდების ოჯახში დაიბადა. ზოგიერთ გვიანდელ საბუთში იგი თევზაძედაც იხსენიება.

მამა – **კარპეზ ლაზარეს ძე თევზაძე**, ერისკაცი გახლდათ და სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული.

სასულიერო პირი იყო მისი პაპა – **მღვდელი ლაზარე გაბრიელის ძე თევზაძე** (1805-1868), რომელიც ჯერ მამასთან მედავითნედ მსახურობდა, ხოლო 1848-1868 წლებში იყო მუხალრუის წმ. კვირიკესა და ივლიტას სახ. ტაძრის წინამძღვარი. ჰყავდა შვილები: მღვდელი ლუკა (1825-1903 წწ.), მაკარი (დაბ. 1829 წ.), კარპეზი (დაბ. 1830 წ.), მედავითნე მოსე (1837-1922 წწ., მისი მეუღლე იყო ტობანიერში მცხოვრები მღვდელ ნიკოლოზ უღრელიძის ასული – პარასკევა).

სასულიერო პირი იყო პაპის მამა – **მღვდელი გაბრიელ ოთარის ძე თევზაძე**, რომელიც 1789 წელს იმერეთის სამეფოში სახელმწიფო ყმის ოჯახში დაიბადა. ქართულ ენაზე საღმრთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, ტიბიკონი და გალობა გაბრიელმა ხონის მონასტრის წინამძღვარ, მღვდელ-მონაზონ ანტონთან ისწავლა. 1802 წლის 9 მარტს ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა (წერეთელი) მღვდლად დაასხა ხელი და წიაღუბნის წმ. კვირიკესა და ივლიტას სახ. ტაძარში განაწესა. 1833-1835 წლებში ასევე იხსენიება კუშუბაურის ჯვრის ამალლების სახ. ტაძარშიც. ჰყავდა ვაჟი – მღვდელი ლაზარე (1805-1868 წწ.).

ალექსი ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, რის შემდეგაც სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო, რომელიც 1890 წელს მეორე ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

1890 წლის 23 სექტემბერს ალექსი დიაკვნად აკურთხეს და თბილისის აისორების წმ. თომა მოციქულის სახ. ტაძარში განეწესა და ტაძართან არსებულ სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. აქედან 1891 წლის 8 ოქტომბერს თბილისის წმ. სოანე ღმრთისმეტყველის სახ. ტაძართან არსებულ სკოლაში გადავიდა. 1893 წლის 6 სექტემბერს სკოლაში ნაყოფიერი სამსახურისათვის მადლობა გამოეცხადა. 1893 წლის 12 ნოემბერს ტერ-აკოფოვის სამ-კლასიან სკოლაში საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1897 წლის 16 თებერვალს საქართველოს ეგზარქოსმა ვლადიმერმა (ბოგოიავლენსკი) მღვდლად დაასხა ხელი და ერეგის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველის სახ. საკათედრო ტაძრის კრებულ-



სოლოლაკის მაცხოვრის ამალლების ტაძარი


ში განაწესა. 1897 წლის 18 სექტემბერს მღვდელი ალექსი საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს ერეგის განყოფილების წევრად აირჩიეს. 1899 წლის 16 თებერვალს საქართველოს ეპარქიალურმა სასწავლო საბჭომ პედაგოგიურ დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მადლობა გამოუცხადა. 1899 წლის 8 ოქტომბერს ახალი ბაიაზეთის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1900 წლის 28 აპრილს ერეგის საქალაქო დაწყებით სახალხო სასწავლებელში საღვთო სჯულის პედაგოგად დაინიშნა. 1900 წლის 28 ივნისს კავკასიის სამისიონერო საზოგადოებისაგან დაევალა შეწირულების შეგროვება თბილისში წმ. თეოდოსის სახ. სამლოცველო სახლის ასაშენებლად. 1900 წლის 12 ნოემბერს სამლოცველო სახლი გაიხსნა და მღვდელი ალექსი წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1905 წლის 9 თებერვალს დამტკიცდა წმ. თეოდოსის სახ. ხსენებული სამლოცველო სახლის წინამძღვრად. 1906 წლის 27 თებერვალს თბილისის მაზრის VII ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ აირჩიეს. 1906 წლის 17 დეკემბერს სოლოლაკის მაცხოვრის ამალლების სახ. ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მღვდელი ალექსი წლების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას სხვადასხვა სკოლაში, რის გამოც არაერთი მადლობა და ჯილდო დაიმსახურა. 1912 წელს საქართველოს ეგზარქოსმა ინოკენტიმ (ბელიაევი) დაუშინებულად გაათავისუფლა სკოლიდან. სამწუხაროდ, მღვდელმა ალექსიმ სამართალი ვერ იპოვა. 1913 წლის 18 მარტს ჩატარდა ქ. თბილისის საბჭოების კრება, სადაც ერთ-ერთ საკითხად

მისი თხოვნაც განიხილეს. ოქმში ვკითხულობთ: „მცირე ახსნა განმარტება გამოიწვია საკითხმა – მიეცეს თუ არა შემწეობა ქალაქის სკოლების სამლო სჯულის მასწავლებლად ნამყოფს მღვდელ თებზაძეს. მღვდელი თებზაძე მასწავლებლად 12 წელიწადს ყოფილა და, ქალაქის რევიზორთა სიტყვით, იგი კარგ მასწავლებლად ითვლებოდა. ერთის წლის წინად საქართველოს ეგზარქოსს კი, ეპისკოპოსს პიმენის მოხსენების



დეკანოზ ალექსის მეუღლე მარია ბრიგორივი



დეკანოზი ალექსი თებზაძე

თანახმად (იგულისხმება ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი პეგოვი, 1912 წლის 13 დეკემბრიდან ერევნის ეპისკოპოსი 1915 წლის 12 თებერვლამდე – გ. მ.), დაუთხოვნია, როგორც რუსულის ენის თავისუფლად არ მცოდნე და უხეირო მასწავლებელი. ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას დაუდგენია, მღვდ. თებზაძეს აღმოუჩინოს 300 მანეთი ერთდროული დახმარება. მას ქალაქის გამგეობაც მიმხრობია. პენსიათა და შემწეობათა გამწვანებელ კომისიას კი ერთის ხმის წინააღმდეგ (ხმ. პართენ გოთუასი) დაუდგენია, უარი ეთქვას მღვდ. თებზაძეს შემწეობაზე, რადგანაც 15 წელიწადს არ უმსახურნია და ამიტომ შემწეობა არ დაუმსახურებიაო“.

სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ხმოსანმა პართენ გოთუამ: „მღვდელი თებზაძე კარგ მასწავლებლად ითვლებოდა. რევიზორები მასზე მუდამ საუკეთესო აზრისანი იყვნენ, მაგრამ ეპისკოპოსმა პიმენმა კი ასე არ შეჰხედა და დაითხოვა. სწორედ მის დათხოვნის შემდეგ დაიწყო უთანხმოება ქალაქსა და ეგზარქოს შორის. იმედი მაქვს, ქალაქის საბჭოს მსჯელობა ექნება საერთოდ ამ უთანხმოების შესახებ და თავის უფლებებს დაიცავს; ამიტომ ამას ეხლა თავს დავანებებ და ვიტყვი, რომ მღვდელი თებზაძე სამსახურიდან თავის ნებით არ წასულა, არც ქალაქს დაუთხოვნია, არამედ მსხვერპლი გახდა ზემოხსენებულ უთანხმოებისა, რისთვისაც მას შემწეობა აუცილებლად უნდა მიეცეს, თუმცა 15 წელიწადს არ უმსახურნია“.

ქალაქის საბჭომ გაითვალისწინა პართენ გოთუას სიტყვა, მღვდელ ალექსის დამსახურება და ხმის უმეტესობით დაადგინა, დაჩაგრულ მოძღვარს გადაეცეს 300 მანეთი დახმარება.

1915 წლიდან მღვდელი ალექსი იყო თბილისის სანთლის ქარხნის ჯერ დროებითი, შემდეგ კი – მისი მმართველი. 1916 წელს მღვდელმა ალექსიმ საქართ-

ველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა ტყავზე ნაწერი ორი სახარება (ერთს აკლდა თავი და ბოლო). 1918 წლის 12 მარტს მღვდელ ალექსის დეკანოზის წოდება მიენიჭა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) თავის მოგონებებში საუბრობს იმ უდისციპლინობებზე, რომლებიც 1923-1924 წლებში, საკათალიკოსო საბჭოს სრული შემადგენლობის დაპატიმრების შემდეგ ხდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. იგი წერს: „ვინც 1923 წლის ამბები იცის, ის ადვილად მიხვდება, რომ ეს ხობა (გულისხმობს ეპისკოპოს დავითის (კაჭახიძე) რეზოლუციას, მღვდელ ბ. კანდელაკზე დეკანოზის წოდების მინიჭების თაობაზე – გ.მ.) მიმართულია იმდროინდელ ერთ მეტად გავლენიან (დღეს კი ყოფილ) დეკანოზისადმი, მაგრამ ყოვლადსამღვდელოს უყურადღებოდ არ დაუტოვებია დანარჩენებიც; დეკ. თებზაძე (რომელმაც ჯერ მიიწვია მღვდელმთავარი ტაძრის დღესასწაულზე, შემდეგ კი წირვისათვის შემზადებულ ეპისკოპოსს შემოუთვალა – ნულა შენუხდებო) არამც თუ ღირსია სამსახურიდან დათხოვნისა (სწერს დავით ეპისკოპოზი მაისის 17 №147), არამედ განკვეთილი უნდა იქნას მღვდლის ხარისხიდან“.

1933 წლის 1 მაისს შედგენილ მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელთა კრების, ქ. თბილისის ტაძრების ჩამონათვალში დეკანოზი ალექსი კვლავ სოლოლაკის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძრის წინამძღვარია.

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე თავის მოგონებებში დეკანოზ ალექსი თებზაძის მოულოდნელ გარდაცვალებაზე წერს: „დეკ. ვასილ მატათაშვილი მიაწერეს ვერის ახალ სასაფლაოს უტაძროდ – მასვე მიაწერეს ამაღლების ტაძარიც, რომლის დეკანოზი ალექსი თებზაძე ჭკუაზე შეიშალა და კაცს სიკვდილი არ აცალეს, ისე მის ადგილზე მიუშვეს მატათაშვილი. თებზაძის



აპვლე გრიგორიანი ქალიშვილებით და სიკაეებით. შუაში თეთრი ანაფორით დეკანოზი ალექსი თევზაძე

ცოლი მივარდნია კათალიკოსს – დაგვაცადეთ სიკვდილი, გაგიუბულ კაცს სულ ნუ გადამირევთო! გვადროეთ სიკვდილი და შეგვიბრალეთო!“. მართლაც, დეკანოზი ალექსი 1933 წლის 13 ივნისს გარდაიცვალა.

დედა ეკლესიაში ერთგული და თავდადებული სამსახურისთვის მღვდელი ალექსი დაჯილდოებული იყო: 1898 წლის 6 მაისს – საგვერდულით; 1902 წლის 6 ივნისს – სკუფიით; 1909 წლის 6 მაისს – „კამილაკით“; 1914 წლის 15 მაისს – სამკერდე ოქროს ჯვრით; 1916 წლის 6 მაისს – ნმ. ანას III ხარისხის უმახვილო ორდენით.

ჰყავდა მეუღლე – მარიამ ჰავლეს ასული გრიგორიევი (დაბ. 1873 წ.) და შვილები: ანასტასია (დაბ. 1891 წ.); ეკატერინე (დაბ. 1893 წ.); ალექსანდრე (1895-1967 წწ., მეუღლე ელენე და შვილები: ოთარი (მისი მეუღლე ლია ონანოვი) და ნინო (გათხოვილი ნიკოლოზ ავალიანზე); ოლა (დაბ. 1900 წ.); ალექსანდრა (დაბ. 1902 წ.); სოფიო (დაბ. 1905 წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №4105; საქმე

№48566; საქმე №50783; აქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 723, აღწერა 1, საქმე №1043; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; გაზეთი „ივერია“ 1890 წ. №119, გვ. 2; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1899 წ. №22; 1905 წ. №9; გაზეთი „სახალხო გაზეთი“ 1913 წ. №850, გვ. 3; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1914 წ. №10; 1916 წ. №10-11; გაზეთი „საქართველო“ 1916 წ. №98, გვ. 2; №101, გვ. 4; Журнал „Вестник военного духовенства“ 1916 წ. №11-12; გაზეთი „კომუნისტი“ 1933 წ. №136, გვ. 4; გაზეთი „თბილისი“ 1967 წ. №73, გვ. 4.

ლიტერატურა: კ. ცინცაძე „რაც გამახსენდა“ ქ. თბილისი 2007 წ., გვ. 322-323; კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი, 2008წ. გვ. 83; გვ. 92; დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე „მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან“ 2013წ. გვ. 799-800.

მომზადა მღვდელმა გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს განვიხილოთ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ. ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მილაშვილი), მარიამ გავუა, ნინო გავომიშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტერი: ელასი ჯიბლაძე; გაერცელები: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ელერიან ჯუღელი



განსაცდელში ჰპოვებს, მისთვის ნუხს და განიცდის და მთელი თავისი ძალ-ლონით შეენევა მას სიკვდილამდე.

ვისაც სიყვარული გააჩნია, არ უგულვებელყოფს უცხო, არამედ სიყვარულით შეინყნარებს მას და მყისვე მოასვენებს. ვისაც სიყვარული გააჩნია, იგი აღასრულებს ღვთის ნებას და ქრისტეს ქეშმარიტი მონაფეა, რამეთუ ჩვენმა მაცხოვარმა ასე უთხრა სანატრელ მოციქულებს: „ამით უწყოდნიან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მონაფენი ხართ, ოდეს იყვარებოდეთ ურთიერთს“.

ვისაც სიყვარული გააჩნია, იგი საკუთრად არაფერს მიიჩნევს, არამედ ყველაფერი, რაც აბადია, სხვისთვის ნებავს. ვისაც სიყვარული გააჩნია, არავის თვლის უცხოდ, არამედ ყველას თავის მეგობრად ხედავს, და არასოდეს აღშფოთდება და არ გაიხარებს ძმის ბოროტების გამო, და არც

ცილს დასნამებს, და არც არავის მტრობას ჩაიდებს გულში, ეშმაკის გარდა, არამედ ყველაფერს სულგრძელებით მოითმენს.

ნეტარია კაცი, რომელმაც სიყვარული მოიპოვა და ასე წარსდგა ყოველთა დამბადებელი ღმერთის წინაშე, რომელმაც უწყის თავის ბეჭდით აღმბეჭდილნი და შეინყნარებს მათ თავის სასუფეველში თავის ანგელოზებთან ერთად და ისინი დამკვიდრდებიან ქრისტესთან. რადგან ძე ღვთისა სიყვარულისთვის მოვიდა ამქვეყნად და სიყვარულით გაგვიღო სამოთხე, სიყვარულის გამო გვიჩვენა ზეცად აღმავალი გზა, რამეთუ განდგომილნი და ღვთის მტრები ვიყავით და სიყვარულით შეგვარიგა მამას, ამის გამო გვმართებს თქმად, რომ ღმერთი სიყვარულია და ვინც სიყვარულით იარსებებს, იგი სამარადისოდ ღმერთთან იქნება.

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი იოანე ოდიშვილი

1886-1954

დეკანოზი იოანე გიორგის ძე ოდიშვილი 1886 წელს თბილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. სიონში გლეხის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, სადაც ხუთი კლასი ისწავლა. სამწუხაროდ, ოჯახური პირობების გამო, იოანემ ვერ შეძლო სემინარიის დასრულება და 1905 წლის დასაწყისში ვლადიკავკაზის ეპარქიაში, ლარსის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მედავითნის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. იმავე წლის 17 აგვისტოს სასულიერო უწყებაში მიიღეს და შტატში დაამტკიცეს. 1908 წლის 20 მარტს სანების ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. იმავე წლის 14 ნოემბერს, თავისი თხოვნის საფუძველზე, შტატიდან გავიდა. აქედან მოყოლებული, იოანე რამდენიმე წელი სოფელში ცხოვრობდა და მეურნეობით იყო დაკავებული. დაახლოებით 1916/1917 წლებში გაიარა თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებული სამღვდლო კომისია და ხელდასხმაზე ნებართვა მიიღო.

1918 წელს იოანეს დიაკვნად და მღვდლად დაასხეს ხელი და კაიშაურის წმ. გიორგის სახ. ტაძ-

რის წინამძღვრად დაინიშნა. 1923 წელს ეკლესიების მასობრივად დახურვის გამო, დროებით უეკლესიოდ იყო. 1924 წლის 2 ივლისს დუშეთის მაზრის აღმასკომის მიერ კაიშაურის ტაძარი კვლავ დარეგისტრირდა და მოქმედი გახდა. 1925 წლის 27 ნოემბერს შედგენილ წილკნის ეპარქიის სამღვდლოთა ჩამონათვალში მღვდელი იოანე კვლავ კაიშაურის ტაძრის წინამძღვარია.

1925 წლის ბოლოს მღვდელი იოანე ბოდბის ეპარქიაში, ჰერეთის ოლქში, სოფ. ლელიანის მთავარანგელოზთა სახ. ტაძარში გადავიდა. იმ პერიოდში ლელიანის ტაძარი გაუქმებული იყო. მრევლი 120 კომლისაგან შედგებოდა. 1926 წლის 10 იანვარს ბოდბის ეპარქიის კანცელარიის გამგე მღვდელი მელიტონ ბეგიაშვილი წილკნელ ეპისკოპოს პავლეს (ჯაფარიძე) სწერდა: „დუშეთის მაზრის სოფ. კაიშაურის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი იოანე ოდიშვილი გადმოვიდა ბოდბის ეპარქიაში და ამბობს, რომ მსახურობდა თქვენთან. საეპარქიო კანცელარია გაცნობებთ, ხომ არ გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო მისი ჩვენს ეპარქიაში სამსახურისა“. ეპისკოპოსმა პავლემ მისწერა, რომ არაფერი იყო დამაბრკოლებე-




ცხინვალის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი

ლი მიზეზი მის გადასვლაზე და იქ მსახურებაზე. მღვდელი იოანე ისე სწრაფად და მოულოდნელად გადავიდა წილკნის ეპარქიიდან, რომ ვერ მოასწრო ეკლესიის ქონების გადაბარება მთავარხუცესზე. ამასთან დაკავშირებით, 1926 წლის 21 დეკემბერს წილკნის ეპარქიის III ოლქის მთავარხუცესი, დეკანოზი ბესარიონ მალანია ეპისკოპოსს პავლეს სწერდა: „უმორჩილესად და უგულსმოდგინეთ გთხოვთ კეთილინებოთ და განკარგულება გაცეთ, რომ კაიშაურის წმ. გიორგის ეკლესიის ყოფილმა მღვდელმა იოანე ოდიშვილმა ჩააბაროს სამრევლო საბჭოს ეკლესია თავის ქონებით. მღვდელი ოდიშვილი ამჟამად მსახურობს გურჯაანის რაიონში, სოფ. ლელიანში, ბოდბის ეპარქიაში“. ეპისკოპოსმა პავლემ დაადგინა: „სამრევლო საბჭომ მოსთხოვოს მღვდელ ოდიშვილს ჩააბაროს ეკლესია თავისი ქონებით, და თუ კი იგი ამას არ ინებებს, მაშინ სამრევლო საბჭო ვალდებულია საერო მთავრობის დახმარებით მოითხოვოს ეს საქმე“. როგორც ჩანს, მღვდელი იოანე ჩავიდა წილკნის ეპარქიაში, შეასრულა მეუფე პავლეს ლოცვა-კურთხევა და მალე-


ვე დაბრუნდა ლელიანის სამრევლოში.

1926 წლის 27 აპრილიდან 8 ივნისამდე მღვდელ იოანეს დროებით ჩააბარებული ჰქონდა აფენის სამრევლოც. 1927 წლის 24 იანვარს ბოდბელი ეპისკოპოსი სტეფანე (კარბელაშვილი) სიღნაღის მაზრის პარტკომის თავმჯდომარეს, მოქალაქე მოსე ვარამაშვილს წერდა: „1926 წლის 6 დეკემბერს მღვდელ იოანე ოდიშვილს სოფლის ბავშვებმა, როდესაც ისინი ფეხბურთს თამაშობდნენ, დაუწყეს სტვენა, ღრიანცელი, ესროლეს ქვები და ფეხში გაარტყეს, მიაყენეს შეურაცხყოფა“. 1927 წლის 30 დეკემბერს ეპისკოპოსი სტეფანე საკათალიკოსო საბჭოს სწერდა, რომ „მღვდელი იოანე ოდიშვილი ატარებს სამსახურსა და ცხოვრებაში ხარისხისადმი არაშესაფერ ხაზს“ (სამწუხაროდ, მეუფე სტეფანე წერილში არ უთითებს მიზეზს, თუ რა დაინახა მოძღვრის ცხოვრებაში არაშესაფერი). 1928 წელს დეკანოზმა იოანე მერებაშვილმა უარი თქვა აფენის სამრევლოში მსახურებაზე, რის გამოც აღნიშნული სამრევლო ლელიანის ტაძარს მიენერა და ორივეს წინამძღვრობა მღვდელ იოანეს დაევალა. 1935 წელს იგი კვლავ იხსენიება ლელიანისა და აფენის სამრევლოების წინამძღვრად. XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს, როდესაც ქვეყანაში დაიწყო მასობრივი რეპრესიები და ტერორი მოძღვარი იძულებული გახდა დროებით მიეტოვებინა საეკლესიო მსახურება და ანაფორა გაიხადა.

1944 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) მღვდელი იოანე სასულიერო ხარისხში აღადგინა და თბილისში, დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახ. ტაძრის კრებულში განამწესა. 1944 წლის 8 სექტემბერს მღვდელი იოანე უწმინდესსა და უნეტარეს კალისტრატეს სწერდა: „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის არშის სოფ. საბჭოს და სნოს სოფ. საბჭოს სოფლებში მცხოვრებთ,



დეკანოზ იოანეს გარდაცვალების ცნობა



დეკანოზი იოანე ოდიშვილი

მიზა ღუდუშაურმა, გაბო გელიაძემ, სერგო ოდიშვილმა, გახა ავსაჯანიშვილმა და სოლომონ ოდიშვილმა პირადად მთხოვეს დროებით მივიდე აღნიშნულ სოფლებში და შეუსრულო ქრისტიანული წესები მათ სხვა მორწმუნეთა დავალებით. ამიტომ გთხოვთ თქვენო უნეტარესობავ, დროებით მომცეთ მივლინების მონაშობა აღნიშნულ მუნიციპალიტეტის სოფლებში, რომ შეუსრულო ყოველგვარი ქრისტიანული წესები როგორც მათ, ისე კიდევ სხვა მორწმუნეებსაც რომლებიც მომართავენ თხოვნით. უწმინდესმა კალისტრატემ ამ თხოვნას ასეთი რეზოლუცია დაადო: „ხელის მონერითა და ბეჭდის დასმით დასტურდება, რომ ამის წარმომადგენელს დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელს ივანე ოდიშვილს ნება ეძლევა წავიდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საბჭოს სოფლებში სიონში, გარბანში, ტყშირ-

ში (ტყარშეტში — ნ. შ.) და სნოს სოფლის საბჭოს სოფელ კარკუჩაში, ახალციხეს, ჯუთას და ართხომში და შეუსრულოს მორწმუნეთ ქრისტიანული წესები, როცა ისინი მიმართავენ მას 4 სექტემბრიდან 25-მდე“.

1945 წელს გაიხსნა ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარი და უწმინდესი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით მღვდელი იოანე მის წინამძღვრად დაინიშნა. 1949 წელს იგი ისევ მღვდლის ხარისხშია. 1950 წელს უკვე დეკანოზის წოდებით იხსენიება. ქ. თბილისში დეკანოზი იოანე ორჯონიკიძის ქ. 74-ში ცხოვრობდა.

1954 წლის 19 თებერვალს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, პოლიევქტოს სოფრომის ძე გაგოშიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთათვის გ. ი. გოგოლაშვილს სწერდა: „ამით მოგახსენებთ, რომ სტალინარის (ცხინვალის) ეკლესიის დეკანოზი იოანე ოდიშვილი ამა წლის 12 თებერვალს გარდაიცვალა“.

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1879, აღწერა 1, საქმე №27; ფ. 1880, აღწერა 3, საქმე №3; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ვ. კარბელაშვილის ფონდი, საქმე №55, გვ. 255; საქმე №72, გვ. 146; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №34, გვ. 155; გვ. 226; საქმე №1630; საქმე №1800, გვ. 7; საქმე №2048; Журнал „Владикавказские епархиальные ведомости“ 19055. №17-18; 19085. №14-15; №51.

ლიტ: „სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის ისტორია“ შემდგენელი ბერ-დიაკონი კონსტანტინე (ლურსმანაშვილი), ქ. თბილისი 2018 წ., გვ. 72.

მომზადა მღვდელმა გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხევიით დავინფორმირებთ ვინაშთ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanani@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გავრცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კეჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გავრცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკავალმონებელი: ვალერიან ჯულელი

რადღება მიაპყრონ ადამიანის უფლებებისა და რელიგიური თავისუფლების დარღვევას, რომელსაც განიცდის ამ ეკლესიის მრევლი და მისი მეთაურები. ასევე დისკრიმინაციას, რომელიც კიევის ლავრიდან მათ გამოძევებამდე მივიდა, ლავრის, რომელიც მათ ნანგრევებიდან აღადგინეს", - ვკითხულობთ განცხადებაში.

**კიევის პატრიარქის ლავრასთან
დაკავშირებით კულტურის
სამინისტროს სასარგებლოდ
სასამართლომ კიდევ ერთი
განაჩენი გამოიტანა**

კიევის ეკონომიკურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე უზრუნველყოს კიევის პატრიარქის ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემის პროცესში კომისიის ნორმალური მუშაობა. ამის შესახებ უკრაინის კულტურისა და საინფორმაციო პოლიტიკის მინისტრმა ალექსანდრე ტკაჩენკომ განაცხადა.

ინფორმაციას უკრაინული საინფორმაციო სააგენტო უნიან.ნეტ-ი ავრცელებს.

„ჩვენ გვაქვს კიევის ეკონომიკური სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. დაკმაყოფილებულია ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნა, რომ არავინ ჩაერიოს სამინისტროს მუშაობაში, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა ძალაში. ასე რომ, ვფიქრობ, დღეიდან ექსცესები არ იქნება კომისიის მუშაობის დროს“, - განაცხადა ტკაჩენკომ.

მისივე თქმით, ამ დრომდე გრძელდება დიალოგი კომისიის წევრებსა და უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის (მოსკოვის საპატრიარქო) წარმომადგენლებს შორის.

„ჩვენ ვხედავთ მონასტრის წარმომადგენლების ცივილიზებულ მიდგომის ნიშნებს კომისიის მუშაობისადმი. ვფიქრობ, ეს დააჩქარებს მის საქმიანობას და საბოლოოდ მიგვიყვანს იქამდე, რომ სახელმწიფო კვლავ განაგებს ნაკრძალს კანონის შესაბამისად“, - თქვა მინისტრმა ალექსანდრე ტკაჩენკომ.

ისტორიის ფურცელი
მღვდელი გიორგი ბოჭორიძე
1884-1939

ყოფილი მღვდელი, ისტორიკოსი, ეპიგრაფიკოსი, საარქივო საქმის ორგანიზატორი გიორგი თადეოზის ძე ბოჭორიძე 1884 წლის 20 აგვისტოს თბილისის გუბერნიაში, თიანეთის მაზრის სოფ. ნაციხვარში, მღვდელ თადეოზ ბოჭორიძისა და თამარ ქააძის ოჯახში დაიბადა.

მამამისი, მღვდელი თადეოზი, წარმოშობით რაჭის მაზრის სოფ. ჯვარისაგან იყო, გვარად ბოჭორიძელი. მიღებული ჰქონდა შინაური განათლება. 1863 წელს იმერეთის ეპარქიაში, ზედა შავრას წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1867 წლის 24



მღვდელი თადეოზ ბოჭორიძე

მაისს აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და ბახტრიონის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში დაადგინეს. იმავე წლის 7 სექტემბრიდან დართლოს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარშია. 1871 წელს ნაციხვარის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1876 წლის 15 აგვისტოს დი-

აკვნად აკურთხეს. 1878 წლის 11 იანვრიდან ისევ დართლოს ტაძარში მსახურობს. 1879 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ეგზარქოსმა იოანიკემ (რუდნევი) მღვდლად დაასხა ხელი და ნაციხვარის ტაძრის წინამძღვრად განაწესა. 1888 წლის 26 მარტს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1904 წლის აღდგომას სკუფია უბოძეს. 1910 წლის 19 მაისს მოხუცებულობის გამო შტატიდან გავიდა. 1910 წლის 16 სექტემბერს ეკლესიაში 47-წლიანი ერთგული სამსახურისთვის წელიწადში 300 მანეთი პენსია დაენიშნა. ამ ეტაპზე მისი გარდაცვალების წელი უცნობია.

ჰყავდა მეუღლე — თამარ კაცოს ასული (დაბ. 1850 წ.), და შვილები: **გაბრიელი** (დაბ. 1872 წ.); **სიდონია** (დაბ. 1877 წ.); **ანა** (დაბ. 1879 წ.); **მღვდელი გიორგი** (1882-1939 წწ.); **გრიგოლი** (დაბ. 1884 წ., დაამთავრა ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი).

1900 წელს გიორგიმ დაამთავრა თელავის სასუ-

ლიერო სასწავლებელი პირველი ხარისხის დიპლომით და იმავე წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩააბარა. სწავლის პერიოდში იგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში განწევრიანდა და ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც სემინარიიდან გარიცხეს. ამან ვერ შეაჩერა ახალგაზრდა, თავისუფლებას მოწყობილი სტუდენტი. კახეთში სოფელ-სოფელ დადიოდა და არალეგარულ ლიტერატურას ავრცელებდა, ფარულად კრებებს, მიტინგებს აწყობდა. 1906-1907 წლებში მეფის არმიაში მსახურობდა. 1907 წლის 15 სექტემბერს თუშეთში, ალვანის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. 1907 წლის 1 ოქტომბერს მატანის სკოლაში გადაიყვანეს. 1908 წლის 1 ოქტომბერს ბაქოს საოლქო სასამართლოში კანცელარიის მეორე განყოფილების თანამშრომლად დაინიშნა. 1909 წლის 4 თებერვალს თბილისის სასწავლო საოლქო კომიტეტმა საგარეჯოს სახალხო-სამინისტრო სკოლაში მასწავლებლად განაწესა. 1909 წლის 14 სექტემბერს საგარეჯოს ორკლასიან სკოლაში გადაიყვანეს. 1910 წლის 1 ოქტომბერს ყანდაურას სკოლაში დაინიშნა. ამ პერიოდში ჯვარი დაინერა სოფ. ჩაილურის მკვიდრზე, ანა ვეგენის ასულ ქევიშვილზე (დაბ. 16.12.1890 წ.).

1911 წლის 8 მაისს ალავერდელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) გიორგი დიაკვნად აკურთხა. 1911 წლის 11 მაისს ბაქოს ეპისკოპოსმა პიმენმა (პეგოვი) მღვდლად დაასხა ხელი და გორის მაზრაში, ჯავის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1911 წლის 13 ივლისს ქვარების ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1911 წლის 26 აგვისტოდან კაჭრეთის წმ. გიორგის სახ. ტაძარშია. 1914 წლის 6 აპრილს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1916 წლის 23 დეკემბერს სკუფია უბოძეს. 1917 წელს მღვდელი გიორგი კაკაბეთის ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს.

ახალგაზრდა მღვდელი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი თაოსნობით ორ სოფელში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, მრევლის ძალა და ენერჯია მან სოფლისთვის სასიკეთო საქმეებისთვის წარმართა. მისი ხელმძღვანელობით სოფლის ახალგაზრდები უვლიდნენ გზებს, აშენებდნენ საზოგადოებრივ შენობებს, ეხმარებოდნენ ქვრივ-ობლებს. მამა გიორგის ინიციატივით კაჭრეთში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო კოოპერატივი, ხოლო ნანიანში ჩამოყალიბდა საკრედიტო ამხანაგობა. იმდენი ეცადა, ბაზრობაც დააწესებინა და სოფლის ბოლოს რკინიგზის ბაქანი გაამართვინა.

აი, რას წერდა ქართული პრესა მღვდელ გიორგის მოღვაწეობის შესახებ: „სოფელი კაჭრეთი ხუთ პატარ-პატარა სოფლად ანუ უბნად არის დაყოფილი: აგრამ-დარჩიეთი, ნანიანი, ქიტუანთ-უბანი, დაბლა-კაჭრეთი და ზემო-უბანი. აქედან აგრამ-დარჩიეთი ქოდალოს მღვდელსა ჰყავს სამწყსოთ მითქმული, და ჩვენ დანარჩენებს კი ერთი

მღვდელი გყავს და სამი ეკლესია: ზემო უბანში შტატის ეკლესია, ნანიანში მითქმული და ქიტუანთ-უბანში ბეჟიკო სოლოლაშვილისაგან თავის შვილებით თავისი საკუთარი ხარჯით აშენებული საგვარეულო ეკლესია. ჩვენი მღვდელი მამა გიორგი ბოჭორიძე ძლიერ სათნო და პატიოსანი კაცია და თავის მოვალეობის აღსრულების მოყვარე, ამ მხრით მას ვერავინ დაემდურება, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ერთსა და იმავე დროს — სამ ეკლესიაში ღვთისმსახურება შეუძლებელი არის. ხალხი კი ამას არ დაგიდევს. წყალ-კურთხევას, ბზობას და აღდგომას, ყველა უბანი თავის ეკლესიაში ნდომულობს მღვდელს, ყველა უბანი თავისთვის გაიწვევს, ერთმანეთს არ ეკარებიან — მღვდელი კი ერთია და აბა, რომელ ერთს გაჰყვებს. ჩვენ ზემო უბანში კანცელარია გვაქვს და მღვდელი ცოლ-შვილიანათ მოთავსებულია აქვე კანცელარიასთან ერთს ძველ ორ-ოთახიან ფიცრულ სახლში. მღვდელი თხოულობს: არ შემეფერება, როგორც მოძღვარს და, მეტადრე, ცოლ-შვილის პატრონს, კანცელარიასთან ასე ახლო ცხოვრება — ან თითონ ესევე სახლი გადამიტანეთ ცოტა კანცელარიაზე მოშორებით და ან სხვა ამიშენეთ“.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს მამა გიორგის მახლობელი სოფლებიდან 5000-მდე კაცი შეუყურია და საბრძოლო ყიჟინა დაუცია: „ქრისტიანობის მთავარი პრინციპი სიყვარული და დათმობაა, მაგრამ როცა სამშობლოს ბედი წყდება, ჭეშმარიტ მართლმადიდებელს უფლება არა აქვს, ლოცვის ამარა დარჩეს. საქართველოს თავისუფლებისთვის ჩვენი მღვდელმთავრები ლაშქარს ჯვრით, ხმლითა და დროშით მიუძღოდნენ. დაე, მონობის უღლის დასამხობად დღესაც ასეთი შემართებით გავისარჯოთ“ — უთქვამს მას მიტინგზე. მღვდელი გიორგი მონანილეობდა 1917 წლის 8-17 სექტემბერს გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე.

1918 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მამა გიორგიმ სწავლა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, ისტორიის განხრით გააგრძელა. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს ეკლესიაზე განხორციელებული ტერორის შედეგად ასობით ტაძარი დაიკეტა. მამა გიორგი იძულებული გახდა, მიეტოვებინა მღვდელმსახურება და თავი მეცნიერებისთვის მიეძღვნა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინსპექტორად და არქივარიუსად, ხოლო 1927 წლიდან ძველი საბუთების განყოფილების გამგედ. 1934-1937 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომელია.

გიორგი ბოჭორიძემ არქივსა და მუზეუმში მუშაობის დროს უდიდესი მუშაობა გასწია საარქივო

ფონდების დასადასტურებლად, რუსეთიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მიღებული მასალის დასაბინავებლად. XX ს. 20-იან წლებში, როდესაც საქართველოს ეროვნულ საგანძურს დაღუპვის რეალური საფრთხე ემუქრებოდა, მან მოიარა საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, მათ შორის საინგილო, შეაგროვა უნიკალური ისტორიული მასალა. 1925 წელს გაზეთი „კომუნისტი“ მისი მოგზაურობის შესახებ წერდა: „ამ დღეებში კახეთიდან თბილისს დაბრუნდა სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ინსპექტორი გ. ბოჭორიძე, რომელმაც თან ჩამოიტანა მრავალი ისტორიული ნივთი; მათში აღსანიშნავია:

ბოდბის მონასტრის ქონებიდან წამოღებული: ორასზე მეტი მე-XVIII-XIX სს. ხელთ ნაკერი ძვირფასი ქსოვილები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოქრომკედით და მარგალიტით ნაკერი ომოფორი მე-XVIII ს., შემკული მარგალიტით ასხმული ხუთი ხატი, ძვირფასი ხელოვნება; ხელით ნაკერი დიდი ხატი „წმ. ნინოსი“, მშვენიერი ხელოვნება; აბრეშუმის სხვადასხვა ფერი ქსოვილი და სხვა;

სიღნაღის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის პ. ჩახნაშვილის მიერ გადმოცემული, სოფ. კარდენახის ყოფ. მცხ. ილია აფხაზის სახლიდან წამოღებული ძველი ტალიანი თოფები 9 ცალი, შემკული ვერცხლითა, სადაფითა, ძვლითა და ზოგიერთ ოქროს ზარნაშითა და წარწერითაც; სიგრძე ერთი თოფისა 2 არშ. 14 ვერშოკი;

კარდენახიდან — წყლის გამოყვანის დროს საბას მონასტერთან აღმოჩენილი განძიდან გადარჩენილი 8 ცალი არაბული ვერცხლის ფული;

საგარეჯოდან — „მადლის ქვა“ დავით გარეჯელისა; მისივე კვერთხის თავი, რომელიც წარმოადგენს ჯვარს ათონის ხელოვნებისა და სხვა;

ნინოწმინდიდან — ძველი ზარბაზანი, XVIII საუკუნის, შემკული ლომების ქანდაკებით და სხვადასხვა სახეებით;

ხაშმის წმ. გიორგის ეკლესიის ქონებიდან — ხურჯინი ფიცრისა ტყავგადაკრული, რომლითაც გადმოცემით მტრის შემოსევის დროს გახიზნავდნენ ხოლმე ეკლესიის განძეულს, წიგნებს და სხვა. იგი აქლემზე ასაკიდებელია და შემოტანილი უნდა იყოს სპარსეთიდან ალბათ რომელიმე გამარჯვების შემდეგ;

მარტყოფიდან — ნინოწმინდელ-რუსთველ მიტროპოლიტის დროშა, შინდის ფერი, რომლითაც იგი წინ უძღოდა ჯარს ომის დროს, მე-18 საუკუნის. მისივე პანაგია ბაჯალლო ოქროსი, შემკული ძვირფასი თვლებით და სხვა.

ყველა ეს ნივთები გადაეცემა ერთ-ერთ მუზეუმს“.



მღვდელი გიორგი ბოჭორიძე ერთად

1923-1934 წლებში გიორგი ბოჭორიძემ აღწერა 900 არქიტექტურული ძეგლი, გამოავლინა და დააბინავა 2260 ისტორიული ღირებულების ნივთი, 540 ხელნაწერი წიგნი, 200 ძველი დასტამბული წიგნი, 3550 სიგელ-გუჯარი, 3 ნუმიზმატიკური კოლექცია, 28 ეპიგრაფიკული ძეგლი და სხვა. მრავალი განადგურებული ტაძრის აღწერილობა, დაკარგული წარწერები მეცნიერებას მისი დაულალავი მოღვაწეობის წყალობით შემორჩა. 1923-1926 წლებში ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის შედეგია მისი მონოგრაფიები „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“ (1925.), „თუშეთი“ (1933.), „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“ (1934.). 1995 წელს გამოიცა მისი „იმერეთის ისტორიული ძეგლები“, რომლის არსებობა ცნობილი არ იყო და რომელიც გამოავლინა ხელოვნებათმცოდნე ც. ჩაჩხუნაშვილმა (ავტოგრაფი დაცული იყო საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სარესტავრაციო სახელოსნოს არქივში). მცირე გამოჩინების გარდა, გიორგი ბოჭორიძეს მეცნიერული ნაშრომების გამოცემა სიცოცხლეში არ დასცალდა. მის ნაშრომებში მოცემულია მის მიერ მოვლილი საქართველოს კუთხეების დეტალური აღწერა სოფლების მიხედვით. მის მიერ აღწერილია ეკლესია-მონასტრები და საერო დანიშნულების ნაგებობები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ისტორიული დოკუმენტები, მინაწერები, საკულტო და საყო-



მღვდელი გიორგი ბოჭორიძე პირველ საეკლესიო კრებაზე, ღვას მასამა რიგში მარჯვნიდან მეოთხე

ფაცხოვრებო ინვენტარი, ნუმიზმატიკური მასალა. მოგზაურობის დროს მან შეკრიბა და ჩაწერა მოსახლეობაში შემორჩენილი, ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებული გადმოცემები და თქმულებები. თავისი მოღვაწეობის დროს მიაკვლია უამრავ მნიშვნელოვან სიძველეს, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სოფელ ჯვარისას (მისი მშობლიური სოფელი რაჭაში) ეპიგრაფიკული ძეგლი და თაბორის ოთხთავი (XI ს.). გიორგი ბოჭორიძის ნაშრომთა დიდი ნაწილი დღემდე გამოუცემელია.

ღვანლმოსილი მეცნიერი XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა. 1937 წელს იგი დააპატიმრეს. იმავე წლის 28 დეკემბერს ე. წ. „სამეულმა“ იგი გაასამართლა და ბრალად წაუყენა, რომ — „1936 წელს თბილისის კონტრევოლუციური მენშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე კანდელაკმა მოახდინა მისი

გადაბირება და გაანერჩინა ამ ორგანიზაციაში“. მართალია იგი დახვრეტას გადაურჩა და მხოლოდ ციხე აკმარეს, მაგრამ 1939 წელს კავკასიიდან გადასახლება მიუსაჯეს. სამწუხაროდ, მან გადასახლების ადგილამდე ვერ მიაღწია. გზად ბოროტმოქმედებმა გაძარცვის მიზნით მატარებლის ვაგონში სიცოცხლეს გამოასალმეს (გადმოცემით ეს მოხდა 27 სექტემბერს).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №41306; საქმე №57627; კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, გ. ბოჭორიძის ფონდი, საქმე №5; სსიპ — შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია/სამინისტროს არქივი, I განყოფილება (უშიშროების არქივი), ფ. 8, ოქმი №77; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1900 წ. №14-15; 1901 წ. №12; 1904 წ. №5-6; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1910 წ. №7; 1911 წ. №9; №16; №18; 1914 წ. №7; 1912 წ. №2; 1917 წ. №1-2; გაზეთი „ხმა კახეთისა“ 1912 წ. №2, გვ. 4; გაზეთი „კომუნისტი“ 1925 წ. №154, გვ. 3.

ლიტ: „ორი ფიქალწერილი“, საისტორიო მოამბე, წ. 1, 1925 წ.; „ფურცელანთებული ქრონიკა“, იქვე; „ძველი ქართული საბუთები და ხელნაწერი წიგნები“, საქართველოს არქივი, წიგნი I, 1926 წ.; „ჯვარისას ძეგლი“, საქართველოს არქივი, წიგნი III, 1927 წ.; „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“, ქ. თბილისი, 1922 წ.; „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“, ქ. თბილისი, 1994 წ.; „იმერეთის ისტორიული ძეგლები“, ქ. თბილისი, 1995 წ.

მომზადა მღვდელმა გიორგი მაჩუროშვილმა

© **საავტორო უფლება დაცულია**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპატრიარქოს ეკლესიამონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავსგან ვიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოჭუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გავუა, ნინო გავომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გაერცელეზა: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცელეზა ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

რიარქოში პატრიარქის რწმუნებულის მოვალეობას დერკოსის მიტროპოლიტი აპოსტოლოსი ასრულებდა.

უკრაინის პრეზიდენტი რომის პაპს შეხვდა

იტალიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში უკრაინის პრეზიდენტი, ვოლოდიმირ ზელენსკი, რომის პაპ ფრანცისკეს შეხვდა ვატიკანში პაპ ფრანცისკესა და უკრაინის პრეზიდენტს შორის დიალოგი 40 წუთს გაგრძელდა. ძირითადად ისა-

უბრეს ომის შედეგად უკრაინაში შექმნილ ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ ვითარებაზე.

პაპმა ფრანცისკემ ვოლოდიმირ ზელენსკის ზეთისხილის რტოს ბრინჯაოს სკულპტურა აჩუქა მშვიდობის ნიშნად. ასევე ვატიკანის მიერ გამოცემული დოკუმენტების კრებული.

საპასუხოდ პრეზიდენტმა კათოლიკური ეკლესიის მეთაურს უკრაინელი მხატვრის, ალექსი რევიკის ნამუშევარი "დანაკარგი 2022-58" უსახსოვრა, რომელიც ომის შედეგად გარდაცვლილ ბავშვებს ეძღვნება.

ისტორიის ფურცელი
მღვდელი სტეფანე ბაიდაშვილი
1870-1910

მღვდელი სტეფანე ბაიდაშვილი 1870 წელს თბილისის გუბერნიაში, ქ. თბილისში, მოქალაქე მიხეილ მიქელის ძისა (დაბ. 1825წ.) და ანასტასია დავითის ასულ (დაბ. 1828წ.) ბაიდაშვილების ოჯახში დაიბადა. ჰყავდა და — ნინო, რომელიც გათხოვილი იყო ალექსი საველის ძე ჩოხელზე.

1887 წელს სტეფანემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. 1887 წლის 27 სექტემბერს ბაქოს გუბერნიაში, I ოლქში, ალტი-აგაჩის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. იქიდან თბილისის მაზრაში, VI ოლქში, გერგერის მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1896 წლის 23 აპრილს შემახის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში დაადგინეს. 1897 წლის 5 ოქტომბერს დააკენად აკურთხეს და წინანდლის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განამწესეს. 1897 წელს მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში, რის გამოც ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა. 1898 წლის 2 დეკემბერს თბილისში, სოლოლაკის მაცხოვრის ამაღლების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. ამ ტაძარში მსახურების დროს მამა სტეფანემ შეისწავლა ტაძრის ისტორია, პლატონ იოსელიანის ღვაწლი ამ ტაძრის აშენების საქმეში და შემდგომში, 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით: „სოლოლაკის ამაღლების ეკლესია ტფილისში“. 1899 წელს თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ კომისიას ჩააბარა გამოცდები და მიიღო ხელდასხმის ნებართვა. 1899 წლის 13 ივნისს მღვდლად დაასახეს ხელი და ქვეშის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში გაამწესეს.


მღვდელი სტეფანე დაუზარელი და შეუპოვარი მოძღვარი გახლდათ. იგი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ და საეკლესიო საქმიანობაში,

ბევრს მოგზაურობდა ბორჩალოს მაზრაში, იკვლევდა საეკლესიო სიძველეებს და ანუგეშებდა იქ მცხოვრებ ქართველებს, რომელნიც ქვემო ქართლში მომრავლებულ თათრებისა და სომხებისგან ძლიერ შევიწროებულნი იყვნენ. იგი არ ერიდებოდა დაპირისპირებას არც გაზულუქებულ თავადაზნაურობასთან, არც ქრთამზე დახარბებულ სახელმწიფო მოხელეებთან, სომეხ დიდგვაროვნებსა თუ მაჰმადიან მოღვაწეებთან, რამაც საბოლოოდ იმსხვერპლა კიდეც. მანამდე კი, მოძღვარი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ხმამაღლა ქადაგებდა ქართული საქმისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად. იმჟამინდელ პრესაში მრავლად დაიბეჭდა მისი მამხილებელი სტატიები.

1900 წლის 9 თებერვალს გაზეთ „ივერიაში“ უცნობმა ავტორმა ფსევდონიმით „—შვილი“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ეკლესიის საქმე სოფ. შულავერში“, სადაც ვკითხულობთ: „სოფელ შულავერში მართლმადიდებელთათვის დაწყებული იყო ასაშენებლად ეკლესია, რომლისთვისაც 1895 წელს საქართველოს ექსარხოზმა დაამტკიცა კომიტეტი, ამ კომიტეტის შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და ამ ხუთ წელიწადში შეიკრიბა რამოდენიმე ფული. ამა 1900 წელს კომიტეტი დაპირებისამებრ ელის მისის მალაყოვლადუსამღვდლოესობის საქართველოს ექსარხოზისაგან 1000 მანეთს შულავერის ეკლესიის სასარგებლოდ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ აქამომდე ალაგი არსადა სჩანს ეკლესიის აღსაშენებლად. მღვდელი სტეფანე ბაიდაშვილმა ის აზრი წარუდგინა კომიტეტს, რომ საეკლესიოდ არჩეულ უნდა იყოს ადგილი შუა სოფელში, ბ-ნ ყალამქაროვებისაო. კომიტეტმა მოიწონა ეს აზრი, მაგრამ ბ-ნი

ყალამქაროვები არ დასთანხმდნენ ამ ადგილის დათმობას. როგორც გამოჩნდა საქმეებიდან, ეს ადგილი საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ყოფილა საუფლისწულო ქართველ მეფეებისა, ზედა მდგარა კარის ეკლესია და მოშორებით ნიში. ამ დროს დროებით მმართველს საქართველოსას, ბ-ნს კრილოვს, ყალამქაროვების მამა-პაპისათვის დროებით ჩაუბარებია პატრონობა ქართველ მეფეთა საუფლისწულო მამულისა. გასულა ხანი, ეკლესია დაქცეულა (თუ დაუქცევიათ?), ყალამქაროვებს აუშენებიათ საცხოვრებელი სახლები, ხოლო ნიში ეხლაც სდგას, ამ ბოლო დროს საქართველოს მამულების გამიჯვნის დროს ყალამქაროვებს გამოუცხადებიათ, რომ ვმფლობელობთ როგორც სახელმწიფო მამულს, რადგანაც დიდი ხნის დასახლებულნი ვართ აქაო. არ არის საკვირველი ეს შეცდომა, რადგან მაშინ, როდესაც ყალამქაროვებს ჩავარდნიათ ეს მამული, ისეთი დროს იყო, რომ ამისთანა საქმისთვის არავის ეცალა. ამ საგნის შესახებ შუამდგომლობა იყო აღძრული ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომელმაც უკვე მისწერა შულავერის მაზრის უფროსს ბ-ნ ლახოვსკის, გამოიძიეთ, რა საბუთით მფლობელობს ყალამქაროვი ამ მამულსაო. იმედი, ბ-ნი ლახოვსკი, როგორც მაზრის უფროსი, ამ სასარგებლო საქმისათვის ჯეროვანს გულის ტკივილს გამოიჩენს. როგორც შევიტყუო, რატევანის ეკლესიის საქმის ხელმეორედ გამოძიება მიუხდვიათ მათის უსამღვდელოესობის, ეპისკოპოსის კირიონისთვის. იმედი, მალე დაბოლოვდეს ეს საქმე. სანატრელია, სასულიერო წოდებამ შეჰკრიბოს ცნობები იმ ძველის ტაძრების შესახებ, რომლებიც ბორჩალოს მაზრაშია, რადგან, როგორც ეტყობა, ბევრი სხვა საეკლესიო ადგილ-მამულიც უნდა იყოს სხვათაგან დაჩემებული“.

1901 წლის 25 დეკემბერს, სოფ. ბოლნისში მღვდელმა სტეფანემ აკურთხა ეკლესიის გალავანი და ახალი სამრეკლო, რომელნიც აშენდა ბ-ნ ბასილაშვილის მეცადინეობით. თვით ეკლესია აშენებული იყო XVII ს-ის I ნახევარში, როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლისაგან, მათის შვილის — გედალის სულის საცხოვრებლად, როგორც ამის შესახებ წინა კედლის ნარწერა გვაუწყებს. კურთხევაზე შეკრებილი საზოგადოება ფრიად მოხარული იყო, რომ ამ XX ს-ში მაინც აღმოჩნდა ისეთი ქართველი, რომელმაც არ დაიშურა თავისი ღვაწლი და ყურადღება მიაქცია იმ უძველეს ნაშთს, რომლის ეზონი და მიდამონი მორწყული იყო იქ მცხოვრებთა მამა-პაპის სისხლით. ბოლნისის ქართველობამ ბ-ნ ბასილაშვილს შრომისათვის, რომელიც მან იკისრა ეკლესიის გასახლებლად, დიდი მადლობა გადაუხადა. ეკლესია მიანერეს ქვეშის შტატის ტაძარს.



მატნის ტაძარი, სადაც ბოლოს მსახურობდა მამა სტეფანე

1902 წელს მღვდელი სტეფანე გაზეთ „ივერიაში“ სომხების „კაი კაცობაზე“ აქვეყნებს სტატიას. აი, რას წერდა იგი: „ბორჩალოს მაზრაში, მოშავრის ხეობაზე, სოფ. დმანისიდგან დაყოლებული ახლანდელ არახლომდე, მთელი ჩვენი ძველი ნაშთი ან თათრების ხელშია და ანადგურებენ, ან-და „არამიანცებს“ უპყრიათ. ავილოთ ახლა ის ეკლესიები, რომლებიც-კი არიან მებატონის მამულებზე. ეს ორი თუ სამი წელიწადია აშკარად ველარ ბედავენ „ძმთაშვილები“ ტაციობას, მაგრამ აქა-იქ ხუცურად ნაწერ ქვებს აძრობენ და მათ მაგიერ კედლებში სმენ სხვა ქვებს ზედ-ნარწერით „არამიანცულს“ ენაზე. არავინ ჰყავს დამშლელი, ვინაიდგან ჩვენმა „აღმაშენებლებმა“ დაათავეს, დაყიდეს მამულები და სამუდამოდ გადასცეს მელიქ-აღებს. ვისაც ეს საქმე ეინტერესება, ნუ დაიშურებს ორიოდ მანეთს და ერთი ამოიხედოს, შეხედოს კვირაცხოვლის ეკლესიას სოფ. აკაურთაში, დაათვალიეროს მისი შიგნითი და გარეთი კედლები, რომ ნათლად დაინახოს და შეიტყოს „არამიანცების“ საქმენი საზღაპრონი. სოფ. ტანძიაში გაუქმებული, მშვენიერ გეგმაზე აშენებული ღვთისმშობლის სახელობაზე ეკლესია მხედრულის ზედნარწერით, დღეს თუ ხვალ ჰრჩებათ სომხებს; აგრეთვე, სოფ. ქვეშიც. რატევანში კიდევაც გადაუკეთებიათ თავიანთ წესზე და არ შერცხვენიათ იმისი, რომ თვით ეკლესიის ამშენებელი ქართველი თავადი ბ. ბარათაშვილი

შიგ ასაფლავია. ბოლნისის (ხატის სოფელი) წმიდა გიორგის ეკლესია დიდი ხანია მონათლეს „სურფ გეურქათ“.

საინტერესო სტატია გამოქვეყნდა 1902 წლის 23 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ სათაურით „სოფლის სამღვდელოების გაჭირვებული ცხოვრება“, სადაც მოძღვარმა ვრცლად მიმოიხილა სამღვდელოების მძიმე მდგომარეობა სოფლად, დაუფარავად ისაუბრა პრობლემებზე და ქართველი საზოგადოებისაგან მეტი გულისხმიერება და თანადგომა მოითხოვა.

1901 წელს ახალშენ ეკატერინენფელდში მცხოვრებმა ქართველებმა განიზრახეს ეკლესიის აშენება და სამრევლო სკოლის დაარსება. ამ კეთილ ნამოწყებას სათავეში ჩაუდგა მღვდელი სტეფანე, რომელმაც 1902 წელს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე რამდენჯერმე მიმართა ქართულ საზოგადოებას დახმარებისათვის, რათა ბორჩალოელ ქართველთა მძიმე მდგომარეობაში შესულიყვნენ და დახმარების ხელი გაეწვდინათ მათთვის. ადგილზე შეგროვდა 40 თუმანი და აღმოჩნდა, რომ კიდევ საჭირო იყო ერთი ამდენი. ოთხი თვის განმავლობაში გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა მოწოდება „ბორჩალოელ ქართველთა გულის შემატკივართა მიმართ“, მაგრამ უშედეგოდ. განმარებული მოძღვარი 1902 წლის 3 სექტემბერს იმავე პრესის ფურცლებზე წერდა: „დახეთ ქართველის ბედს, შავი ზღვიდგან კასპიის ზღვამდე ერთი ისეთი ქართველი არ აღმოჩნდა, ერთი შაური მაინც მოეწოდებინა (კაპსიის ზღვის იქითა მხრიდგან მხოლოდ ერთი თუმანი მოგვივიდა). ეკლესია უნდა ეეგოს ისეთს ერს, რომელსაც ოცი თუ უფრო მეტი წელიწადი იგი არ უნახავს. ღვთისმსახურებას იგი გაიგებს თავის სამშობლო ენაზე და სულიერად მაინც დასტკებება და სულიერ დატკობას მრავალი ბედნიერება მოაქვს ოჯახში ანუ ცხოვრებაში, ვისაც უცდია. ჩვენნი ძმანი, დღეს მშვენივრად მოლაპარაკენი წემეცურს ენაზე და მსმენელნი „კირკაში“ ლიუტერის სწავლისა, ეღირსებიან გაიგონ მშობლიური ხმები და გალობანი. ახალ მოზარდებს ველარ მოუხერხებიათ თავის ღვიძლს ენაზე საუბარი. ამათ მაინც ავაცდენთ სკოლისა და ეკლესიის საშუალებით იმ განსაცდელს, რომელიც შემდეგში მოელის. თუ არ გეცოდებათ ხალხისაგან და ბედისაგან ჩაგრული ერი, შეიცოდეთ მაინც იმათი ახალთაობა, ჩვილნი, უსუსურნი. საჭიროა ღრმა ყურადღება მიექცეს ჩვენს მოწოდებას, მერე-კი „ურემი რომ გადაბრუნდება, სულ სხვა გზა გამოჩნდება“. მახსოვს შემახაში 1896 წელს, იანვრის პირველს, შემახის სობოროს თათრებმა შესწირეს 30 თუმნის ფარდაგი და ხალიჩები. თათარი ეხმარება რუსს და ქარ-

თველს და დღეს ჩვენ, ჩვენივე ძმისთვის ხელის განოდება გვეზარება. აბა კლუბი იყოს ასაშენებელი, ან მოშავრისა თუ დმანისის ხეობაზე სანადიროდ გასვლა?“

მღვდელი სტეფანე არ ერიდებოდა არც სასულიერო პირებთან დაპირისპირებას მათი უმოქმედობის გამო და ხმამაღლა ამხელდა პრესის ფურცლებზე. 1902 წლის 27 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში“ მან ამხილა თბილისის მაზრის, VI ოლქის მთავარბუცესი. მართალია, იგი მოძღვრის სახელსა და გვარს არ ახსენებს წერილში, მაგრამ საეკლესიო საბუთებით ცნობილია, რომ ეს პიროვნება გახლდათ მთავარბუცესი, მღვდელი სილიბისტრო ალექსის ძე ხუნდაძე. აი, რას წერდა იგი: „ამას წინად „ტფილისის ფურცელმა“ მთელს ბორჩალოს ერთი ფრიად სათაკი-

დგება ტახია დავითის ასული, მეუღლე სალომე ესტატელი შვილებითურთ, წინა მიხეილის ასული და სიმე ანაველის ძე ჩოხელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საცა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებულის ქ. მეტეხის მღვდლის

სტეფანე მიხეილის ძე ბაიდაშვილი
გამოსვენება კვირას, საკუთარ სახლიდან, იაზოვის ქ. დილის 10 საათზე; წირვა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის სიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1-204)

მღვდელ სტეფანეს ნაპროლოზი გაზეთ „სახალხო გაზეთში“

ლო სახელი უწოდა: „ნეხვის გროვა“. მართლაც ეს კუთხე „ნაგვის მხარეა“. აქ არეულან ქართველებთან ერთად ყველა მხრის ხალხი, ყველა მათგანი თავის სალამურზე ცეკვავს, რასაც გულგრილად უყურებენ ჩვენი აქაური მოთავეები: გინდა ვაება-ტირილით, გინდ გაზეთ-ჟურნალების პირით გამოაცხადე ამ მხრის გაჭირვება, ამათთვის სულ ერთია. რამდენი ილაღადეს ამ მცირე ხანში ჩვენმა გაზეთებმა, მაგრამ დღესაც არა ისმის რა საიმედო. „ნეხვის გროვას“ ან-კი ვინ მიაქცევს ყურადღებას, ვის რად უნდა! უნდა ეყაროს შემოდგომამდე, ბოლოს დალპეს. სიხარულით მიეგება ბორჩალოს მართლმადიდებელი ერი და თვით სამღვდელოებაც უწმიდესი სინოდის განკარგულებას, რომ 1899 წლიდგან დ. შულავერში გაიხსნა შტატი კეთილ-მოწესე მღვდლისაო. ვიმედოვნებდით, რომ ტფილისის მაგივრად კეთილ-მოწესე მღვდელი იცხოვრებდა დაბა შულავერში, ე. ი. მისდამი მინდობილ ოლქში, მიაქცევდა ყურადღებას საქართველოს დანგრეულ ნაშთთ, რომლებიც აქაურმა თათრებმა საქონლის გომებად დახადეს, უვიც მდაბიო ხალხს გაუმრავლებდა სკოლებს, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, სამის წლის განმავლობაში სამი თვე არ უცხოვრია შულავერში და სულ სამჯერ არ შამოუვლია ოლქი, და ერთი სკოლაც არ გაუხსნია“. მისი ამ წერილის გამო, სა-

ეკლესიო მმართველობამ 1902 წლის 12 დეკემბერს მღვდელი სილიბისტრო გაათავისუფლა შულავერის სამრევლოდან და გადააყენა მთავარხუცესის პოსტიდან.

მღვდელი სტეფანე იყო ბოლნისის ეკლესიის ასაშენებელი კომიტეტის თავჯდომარე. 1903 წელს ამ ეკლესიას 30 მანეთი ფული შესწირა სომეხთა კათალიკოსმა, რისთვისაც მას მამა სტეფანემ გაზეთ „ივერიას“ საშუალებით მადლობა გამოუცხადა. 1903 წელს იგი საგვერდულით დაჯილდოვდა. 1904 წლის 12 აპრილს სიღნაღის მაზრაში, ქოდალოს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1905 წლის 28 იანვარს გორის მაზრაში,



მღვდელი სტეფანე გაიდაშვილი

მუხრანის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარში დაადგინეს. იმავე წლის 20 სექტემბრიდან სოფ. მეტეხის ღვთისმშობლის მიძინების სახ. ტაძარშია. 1910 წლის ზაფხულში მღვდელ სტეფანეს პრობლემები შეექმნა, რამაც საბოლოოდ შეიწირა მისი სიცოცხლე. ქართული პრესა აქტიურად აშუქებდა ამ მოვლენებს.

1910 წლის აგვისტოს ბოლოს მღვდელი სტეფანე პრესის ფურცლებზე წერდა: „ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, დამიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგი წერილი. თქვენის გაზეთის აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში, სოფელ მეტეხიდან გვატყობინებდნენ, ვითომც „18 ივლისს მე შევვარდნოდე ბარნაბიშვილებს და რევოლუციით მათი ამოწყვეტა მომენდომებიოს“. ეს ცნობა სიმართლეს არის მოკლებული და განზრახ მოგონილია ჩემდა სავნებლად. ბარნაბიშვილებმა სასამართლოშიაც მიჩივლეს, მაგრამ სასამართლომ გამამართლა, რის დასამტკიცებლადაც რედაქციას ვუდგენ ოლქის სასამართლოს დადგენილებას №63487 ჩემი გამართლების შესახებ“.

1910 წლის ნოემბრის დასაწყისში გაზეთი „სახალხო გაზეთი“ წერდა: „როგორც გვწერენ, 4 ნოემბერს, გორიდან 4 ვერსტით მოშორებით, ორი უცნობი თავს დასცემია სოფელ მეტეხის მღვდელ ბაიდაშვილს და რევოლუციით მიძიმედ დაუჭრიათ. უცნობთ დამალვა მოუსწვრიათ. ბოროტმოქმედების ადგილს მაზრის უფროსი წასულა. როგორც ამბობენ, მღვდელზე თავდაცემის მიზეზი პირადი შურისძიების ნაყოფია“. მომდევნო დღეს იგივე გაზეთი კვლავ წერდა: „გორის მაზრის სოფელ მეტეხის მღვდელი ს. ბაიდაშვილი, რომელიც 4 ნოემბერს გორის მახლობლად უცნობებმა დასჭრეს, უკვე გარდაიცვალა. როგორც გადმოგვცეს, მოკლულს ორი თავდაცემი უცვნია და სიკვდილამდე ქალაღზე მო-

უსწვრია მათის გვარების დაწერა“. დასაფლავების დღეს მისი ცხედარი ქ. თბილისის ჩუღურეთის ნმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში მიასვენეს, სადაც აღესრულა წირვა და წესის აგება. დაკრძალეს კუკიის ნმ. ნინოს სახ. ეკლესიის სასაფლაოზე.

დარჩა მეუღლე — სალომე ევსტათის ასული (დაბ. 1875 წ.) და შვილები: მარიამი (დაბ. 1898 წ.); ნიკოლოზი (დაბ. 1901 წ.); თამარი (დაბ. 1902 წ.).

წყარო: საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, აღწერა 1, საქმე №47995; Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1899 წ. №14; 1903 წ. №9; 1904 წ. №9; 1905 წ. №3-4; №21-22; გაზეთი „ივერია“ 1900 წ. №30, გვ. 2-3; 1902 წ. №9, გვ. 2; №85, გვ. 2-3; №90, გვ. 2-3; №123, გვ. 3; №156, გვ. 3; №186, გვ. 2; №229, გვ. 3; გაზეთი „სახალხო გაზეთი“ 1910 წ. №100, გვ. 4; №151, გვ. 2; №152, გვ. 1; გვ. 4.

მომზადდა მღვდელმა გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპარტიველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოგრაფი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავინებან ვინსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაუფილი მასალის გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გავომიშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გაერცელება: ცარი ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტორაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზახა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი



პირველმა მერმა, რომელმაც დაამტკიცა ერთსქესიანი მშობელთა უფლებები სასამართლოს თანხმობის მოთხოვნის გარეშე, განაცხადა, რომ ახალი აკრძალვა „ასეთი ოჯახებისთვის განწესებული უკანასკნელი სილაა“.

**ბენელუქსის ქვეყნების
ეპისკოპოსთა კრება**

მიმდინარე წლის 6 ივნისს ბელგიის სამიტროპოლიტოში, ქალაქ ბრიუსელში ბენელუქსის ქვეყნების ეპისკოპოსთა კრება გაიმართა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბელგიის მიტროპოლიტი ათენაგორა (მსოფლიო საპატრიარქო). კრებაში მონაწილეობდნენ დუბნის მიტროპოლიტი იოანე (მოსკოვის საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის რუსული ტრადიციის სამრევლოთა სამთავარეპისკოპოსო), ნემცის ეპისკოპოსი მარკოზი (რუმინეთის საპატრიარქო), ეპისკოპოსი დოსითეოსი (საქართველოს საპატრიარქო), მიტროპოლიტი ანტონი (ბულგარეთის საპატრიარქო) და ბელგიის მიტროპოლიტი ათენაგორას დამხმარე ეპისკოპოსი - აპოლონიადის იოაკიმე.
ეპისკოპოსებმა ილოცეს ბელგიის ყოფილი

მიტროპოლიტის, ნეტარხსენებული პანტელეიმონისათვის, რომელიც 2023 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა და 2010-2013 წლებში ასრულებდა ბენელუქსის ეპარქიალური კრების თავმჯდომარის მოვალეობას.

სხდომაზე ისაუბრეს ბენელუქსის ეპარქიალური კრების წევრთა საქართველოში სტუმრობაზე, გაიხსენეს და ერთმანეთს გაუზიარეს ის შთაბეჭდილებები, რაც მათ საქართველოში ამ მომლოცველობითი ვიზიტისა და საქართველოს უნეტარეს პატრიარქთან შეხვედრისას მიიღეს.

ეპისკოპოსებმა მოსაზრებები გამოთქვეს ბელგიაში მართლმადიდებლურ სამრევლოთა აღიარების პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, განიხილეს ვალონიის რეგიონში რელიგიის სწავლების საკითხში მოსალოდნელი შესაძლო ცვლილებები და ბელგიის პენიტენციურ სისტემაში მოძღვრის ინსტიტუტის საკითხი. ასევე, ეპისკოპოსებმა ისაუბრეს მათ საეპისკოპოსოებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ბენელუქსის ეპარქიალური კრების მომდევნო სხდომა 2023 წლის 6 ნოემბერს დაიგეგმა.

ისტორიის ფურცელი

პროტოდიაკონი ამბროსი ახოზაძე

**„სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, არასოდეს უარყოფ ღმერთს, სამშობლოსა და დედას“
1903-1977**

პროტოდიაკონი ამბროსი იოანეს ძე ახოზაძე 1903 წლის ოქტომბერში ქუთაისის მოქალაქის ოჯახში დაიბადა. 1921 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1920 წელს, სწავლის პერიოდში, ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლექუა) იმავე სასწავლებლის კარის ეკლესიის კერძო დიაკვნად დაადგინა. 1921 წლის 1-7 სექტემბერს ესწრებოდა გელათში გამართულ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის III საეკლესიო კრებას.

XX ს-ის 20-იან წლებში რუსეთში გაემგზავრა და მოსკოვის მიხ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, სადაც მხოლოდ ორი კურსი ისწავლა.


სამშობლოში დაბრუნებულმა ამბროსიმ კვლავ დედა ეკლესიას მიაშურა. 1928 წლის 19 იანვარს

ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა დავითმა (კაჭახიძე) იგი დიაკვნად აკურთხა და ქუთაისის მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახ. ტაძრის კრებულში დაინიშნა. 1928 წლის ბოლოს თბილისში, ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში, შტატგარეშე დიაკვნად განაწესეს. შემდეგ რამდენიმე თვე მსახურობდა სიონის საპატრიარქო ტაძარსა და ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარში. 1929 წლის 30 ივნისიდან ქაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის შტატგარეშე დიაკონია. 1931 წლის 12 მაისს შედგენილ მცხეთა-თბილისის ეპარქიის სამღვდელოების სიაში უკვე პროტოდიაკვნის ხარისხშია. 1932 წლის 5 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) სიონის საპატრიარქო ტაძარში გადაიყვანა და შტატის პროტოდიაკვნად დაამტკიცა.

პროტოდიაკონი ამბროსი მეტად განათლებული და ერუდირებული პიროვნება ყოფილა. გარდა ამისა, გულშიჩამწვდომი იყო მის მიერ ჩატარებული წირვა-ლოცვა, განსაკუთრებით ძველი ქართული კილოთი ნაკითხული სახარება და კვერექსები. 1932 წლის 26 სექტემბერს უწმინდესი კალისტრატე სიონის ტაძრის კრებულით ალავერდის საკათედრო ტაძარს ესტუმრა. მას თან ახლდა პროტოდიაკონი ამბროსიც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მლოცველებსა და სამღვდლოებაზე დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა პროტოდიაკონის ხმამ და მსახურებამ.

პროტოდიაკონი ამბროსი 1937 წელს დაწყებულ რეპრესიებს ვერ გადაურჩა. 1937 წლის 9 დეკემბერს იგი დაატუსაღეს ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით. იმავე წლის 26 დეკემბერს სამეულმა გაასამართლა. მის საბრალდებო დასკვნაში წერია: „რომ პროტოდიაკონი ამბროსი ახალგაზრდებში ეწეოდა აგიტაციას, განწყობილი იყო კონტრევოლუციურად, არის კათოლიკოს-პატრიარქის აგენტი და დავალებული აქვს მისგან ხელისუფლების მიმართ უარყოფითად განწყობილ ადამიანებთან ურთიერთობა. ეწეოდა ქადაგებას ეკლესიის გარეთ. ზოგადად, იგი უკიდურესად მტრულად არის განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ“.

დაპატიმრებამდე პროტოდიაკონი ამბროსი თბილისში, ვერის აბანოს წინ ცხოვრობდა. ამბობენ, როდესაც შინიდან გამოჰყავდათ, ტირილით დასდევნებია ფეხმძიმე მეუღლე. ერთ-ერთ ჩეკისტს ფეხმძიმე ქალისთვის წიხლი ისე ჩაურტყამს, რომ მას მუცელი მოშლია. თავზარდაცემულ პროტოდიაკონ ამბროსის ვერაფერი უღონია უმწეო მეუღლის დასახმარებლად. თავდაპირველად მას დახვრეტა მიუსაჯეს. ამით უფრო მისი დაშინება უნდოდათ. უთქვამთ: თუ სარწმუნოებას არ უარყოფ, განაჩენს დღესვე აღვასრულებთო. მან კი უპასუხა: „სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, არასოდეს უარყოფ ღმერთს, სამშობლოსა



18 წლის კარკო დიაკონი ამბროსი გელათში გაგართულ მისამ საეკლესიო კრებაზე. ზედა რიგში მარჯვნიდან მეორე

და დედასო“. როცა ვერ გატყეს, შანთით დაუნვეს მაჯები. აუტანელი ტკივილებისგან კრუნჩხვები დამართნია, ამ დროს დაუზიანეს ფეხიც. ტანჯვანამების შემდეგ იგი 10 წლით ჩრდილოეთ ურალში გადაასახლეს.

1943 წელს ხელისუფლების ნებართვით გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნდნენ სიკვდილს გადარჩენილი სასულიერო პირები. მათ შორის იყო პროტოდიაკონი ამბროსიც.

არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) მეტად საგულისხმო ცნობას გვანვდის გადასახლებიდან ახალდაბრუნებული პროტოდიაკონ ამბროსისა და საქართველოს იმჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს შეხვედრაზე. „მან პატრიარქ კალისტრატეს ჰკითხა: როგორ შეგეძლოთ ჩემად ყოფილიყავით, როცა იცოდით, სად ვიყავით და როგორ გვექცეოდნენო. მაშინ პატრიარქმა დაიჩოქა და უთხრა: — შემინდეთ. რას ვიფიქრებდი, — ამბობდა მამა ამბროსი — რომ პატრიარქი ისევე უფლებო ტუსადი იყო, როგორც ჩვენ,

ოლონდ მავთულხლართების გარეშე... წამება, რომელიც ძიებისა და პატიმრობის დროს გადავიტანე, დამავინყადა. ის კი, რომ პატრიარქმა დაიჩოქა, დღემდე გულს მითუთქავსო“.

1945 წელს უნმინდესმა კალისტრატემ იგი ისევ სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოდიაკვნად დანიშნა.

დაზიანებული ხელებით წმინდა ბარძიმის ხელში დაჭერა რომ აღარ შეეძლო, უარი უთქვამს მღვდლად კურთხევაზე. „მღვდლობის ბედნიერება რომ მქონოდა, მხოლოდ ხის ჯვარს ვატარებდი, რადგან მაცხოვარი ხის ჯვარზე გააკრეს და მე ვინა ვარ, რომ ოქროს ჯვარი მეტარებინაო“.

პროტოდიაკონი ამბროსი მეტად კოპნია კაცი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მარტო ცხოვრობდა, სულ გაუთოებული და სუფთა სამოსი ეცვა, სამოქალაქო ტანსაცმელში დადიოდა, წვერგაკრეჭილი სიარული უყვარდა. უაღრესად თავმდაბალი და თბილი პიროვნება იყო. არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა. ყველა პატივისცემით ეპყრობოდა, რადგან წვალეზამოვლილი და სარწმუნოებისთვის თავგანწირული ადამიანი იყო. მატერიალურად ძალიან უჭირდა. შეეძლო მაღალხელფასიანი სამსახური ემოვა, მაგრამ ფიქრადაც არ მოსვლია ეკლესიიდან წასულიყო, რადგან ეს ღალატის ტოლფასად მიაჩნდა.

პროტოდიაკონ ამბროსის იცნობდა და უდიდეს პატივს მიაგებდა რუსეთის პატრიარქი ალექსი I (სიმენსკი), რომელიც ხშირად ჩამოდიოდა საქართვე-



კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე სტუმრად თელავში. მარჯვნიდან მორჩა პროტოდიაკონი ამბროსი, 1946წ.

ლოში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ იგი მას ფულით არ დახმარებოდა. მოსკოვიდანაც ხშირად უგზავნიდა საჩუქრებსა და შემოწირულობას. ერთხელ ოქრომკედით მოსირმული ძალიან ლამაზი სტიქარიც კი გამოუგზავნა. 1952-1960 წლებში მელქისედეკ III-ის (ფხალაძე) პატრიარქობის ხანაში პროტოდიაკონი ამბროსი არ მსახურობდა. 1960 წლის 4 მარტს ისევ დაინიშნა სიონის ტაძარში.

XX ს-ის 50-60-იან წლებში სახელმწიფო ყოველწლიურად უზრდიდა ეკლესიას საშემოსავლო გადასახადებს, რის გამოც სასულიერო პირს უჭირდა თვიდან თვემდე თავის გატანა და საშემოსავლო დავალიანების გადახდა. მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის აპარატი ხშირად ატყობინებდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ასეთი მღვდელმსახურების თაობაზე. ერთ-ერთი შეტყობინებით ცხადი ხდება, რომ პროტოდიაკონ ამბროსს 466 მანეთი და 50 კაპიკი ჰქონდა გადასახდელი. წერილში მითითებულია გადახდის ბოლო ვადა — 29 მარტი. პროტოდიაკონი ამბროსი აღწერს რა თავის გასაჭირს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს სთხოვს დახმარებას: „მე ნახევრად მშვიერი დავდივარ ჩასაცმელის გარეშე, ფულიც არ მაქვს, რით გადავიხადო გადასახადი?“.



ნიკვა სიონის საკათედრო ტაძარში. პროტოდიაკონი ამბროსი და მის უკან ნილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კარატიშვილი)

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში



კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, მისგან მარჯვნივ
დეკ. ნაუზ შავინიძე, მარცხნივ პროტოდიაკონი ანდროსი,
უკან დიაკონი კ. ეფიმიოვი. 1947წ. 9 თებერვალი

მძიმედ ავადმყოფობდა, რის გამოც სისტემატური მსახურება აღარ შეეძლო. XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოს თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ტაძარში გადავიდა. 1970 წლის 1 იანვარს მან შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართა უწმინდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს (სიდამონიძე): „ვისაც მე ვახსოვარ დაპატიმრებამდე და გადასახლებამდე მას თვალწინ წარმოუდგება პროტოდიაკონი ამბროსი ახოზაძე ჯანსაღი და ჩვენი წმინდა ტაძრის მშვენიერება. დიახ, ეს მე გახლავართ 1937 წლის დაპატიმრებამ, რეპრესიებმა შეარყიეს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა... გთხოვთ გადამიყვანოთ პენსიაზე“.

1970 წლის 23 იანვარს მან კვლავ მისწერა კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემს: „დიდნად დაპატიმრებისა მე გავხდი სწული და ეს კარგად იცოდა განსვენებულმა კალისტრატემ და შენც, დიდო ადამიანო, მაგრამ ჩემი წუთიერი გონების დაკარგვა იშვიათად მე სრულებით ხელს არ მიშლიდა ჩემს სამსახურში. ახლა კი საკითხი ასე დგას — მე შესაჭიროება ხანგრძლივი დასვენება და მუდმივი საექიმო რეჟიმი. ამისათვის მივმარ-

თე მე ყოვლადსამღვდელო ზინობის (მაჟუგა), რომ მოეცა ჩემთვის ხანგრძლივი დასვენება და მთელი დეკემბერი და იანვარი ვისვენებ“. წერილის ბოლოს იგი ასეთი თხოვნით მიმართავს უწმინდეს ეფრემს: „გთხოვთ, უწმინდესო მეუფეო, ამა წლის 1 იანვრიდან გამომიყვანოთ პენსიაზე. დამენიშნოს იმდენი, რომ პური მქონდეს არსობისა და სახსარი მკურნალობისა. მე საპენსიო სალაროს წევრი გახლავართ 1960 წლიდან. საპენსიო გადასახადიც გადახდილი მაქვს სრულად 1970 წლის 1 იანვრამდე. სიმდაბლით, პროტოდიაკონი ამბროსი ახოზაძე“.

უწმინდესი ეფრემის ბრძანებით, ეკლესიაში თავდადებული და მრავალწლიანი ერთგული სამსახურისათვის პროტოდიაკონ ამბროსის, როგორც გამონაკლისს, ყოველთვიურად 100 მანეთი დაენიშნა.

პროტოდიაკონი ამბროსი 1977 წელს გარდაიცვალა. კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის (დევედარიანი) ლოცვა-კურთხევით მისი ცხედარი კუკიის წმ. ნინოს სახ. ტაძრის ეზოში, საკურთხეველის უკან დაასაფლავეს.

წყარო: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1880, აღწერა 3, საქმე №3; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630; საქმე №3641; საქმე №3607; სსიპ — შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია/სამინისტროს არქივი, I განყოფილება (უშიშროების არქივი), ფ. 8, ოქმი №75.

ლიტერატურა: ცინცაძე კალ. „ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, ქ. თბილისი 1994წ., გვ. 89-90; ჟურნალი „კარიბჭე“ 2009წ. 24, გვ. 35-37.

მოამზადა მღვდელმა
გიორგი მაჩურიშვილმა

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხმავი დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გახეთ საუფროსილდით მასში დაგაქვლილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GES7LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტური: ელასი ჯიბლაძე;
გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკავალბონებელი: ვალერიან ჯუღელი





15 ივნისის სხდომა დისტანციურად, ელექტრონულად გაიმართა. სხდომა გაიხსნა ორი ანგარიშის წაკითხვით: 1) ამერიკის სამთავარეპისკოპოსოს და მსოფლიო საპატრიარქოს შერეული კომისიის შეხვედრის შესახებ, რომელიც ფანარში მართვა-გამგეობის დებულების შესახებ შედგა და 2) ამერიკის ეპარქიული სინოდის წევრებისა და მსოფლიო პატრიარქის შესახებ, რომელიც 2023 წლის 5 აპრილს ფანარში გაიმართა.

ამერიკის ეპარქიული სინოდის წევრი მიტროპოლიტები ანგარიშების წაკითხვის შემდეგ გაკვირვებულნი დარჩნენ, რადგან სამთავარეპისკოპოსოდან მათთვის იქამდე უწყებულ ინფორმა-

ცია მკვეთრად განსხვავდებოდა ანგარიშებში წაკითხულისაგან.

სხდომაზე მიტროპოლიტმა ელპიდოფორემ დასვა ღვთისმსახურებისას სამმაგი მოხსენიების (პატრიარქის, მთავარეპისკოპოსისა და ადგილობრივი მიტროპოლიტის) საკითხი, მიტროპოლიტების ოლქებად გადაკეთებისა და მიტროპოლიტთა დამცრობის საკითხი, იმგვარად, რომ მიტროპოლიტთა ტიტულში გაჩნდება სახელ-

წოდება მცირე აზიის რომელიმე ძველი ქალაქისა და მთავარეპისკოპოსს თავად შეეძლება მათი დადგენა „ოლქის მთავრებად“, რასაც მსოფლიო პატრიარქიცა და ფანარის სინოდიც ცალსახად ენინააღმდეგებიან.

კრებაში მონაწილე მიტროპოლიტები მიიჩნევენ, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს მსოფლიო პატრიარქისა და ფანარის სინოდის გადანყვეტილებები და მითითებები, მთავარეპისკოპოსი ელპიდოფორე კი მიიჩნევს, რომ მას, როგორც მთავარეპისკოპოსს, უფლება აქვს წამოაყენოს საკუთარი მოსაზრებები და პოზიციები.

ისტორიის ფურცელი

მღვდელი გიორგი აბდუშელიშვილი

1898-1935

მღვდელი გიორგი დავითის ძე აბდუშელიშვილი 1898 წელს ქუთაისის გუბერნიამი, შორაპნის მაზრის სოფ. ბჟინევში აზნაურის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა სოფლის სამრევლო-საეკლესიო სკოლა. 1921 წელს, როდესაც საქართველოს გასაბჭოება მოხდა და სამღვდელოებას უმძიმესი წლები დაუდგა, გიორგი ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა დედა ეკლესიას. მან შესაბამისი მომზადება გაიარა და შედავითნობა ისწავლა. 1924-1927 წლებში იგი ქუთაის-გაენათის ეპარქიის სხვადასხვა ტაძრებში წიგნისმკითხველად მსახურობდა და ადგილობრივი სამღვდელოებისა და მრევლის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

როგორც საეკლესიო ისტორია მოგვითხრობს, 1917 წლის 12 მარტის (ახ. სტ. — 25 მარტი) სვეტიცხოვლის ტაძარში ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მარგვეთის ეპარქია შედიოდა ქუთაის-გაენათის ეპარქიაში და ცალკე მღვდელმთავარი თავდაპირველად მას არ

ჰყოლია. 1925 წლის 10 ოქტომბრის საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით, იგი დამოუკიდებელ ეპარქიად გამოცხადდა. მარგვეთის ეპარქიის სამწყსოში შედიოდა: „ზემო იმერეთი (ტერიტორია — ნაწილი გაენათის ძველი ეპარქიისა), — ეხლანდელი შორაპნის მაზრა. კათედრა მღვდელმთავრისა — არგვეთში, რეზიდენცია საჩხერეში. მღვდელმთავრის პატივი: „მარგველი ეპისკოპოსი“.

1926 წლის 22 იანვარს ოზურგეთის წმ. დიდმოწამე მარინეს სახ. საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ვარლამი მახარაძე მარგველ ეპისკოპოსად გამოარჩიეს. იმავე წლის 7 მარტს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) და წინონმიდელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ (ცინცაძე) ეპისკოპოსად აკურთხეს (მონაზვნად აღკვეცის გარეშე).




საჩხერის წმ. ნინოს ტაძარი, 1915 წ.

1927 წელს მარგველმა ეპისკოპოსმა ვარლაამმა (მახარაძე) ახალგაზრდა მედავითნე გიორგი დიაკვნად აკურთხა და საჩხერის წმ. ნინოს სახ. საკათედრო ტაძარში დანიშნა. ამ ეტაპზე ხელდასხმის ზუსტი თარიღის დადგენა არ მოხერხდა. 1927 წლის 10 ოქტომბერს შედგენილ მარგვეთის ეპარქიის მოქმედი ტაძრებისა და სამღვდელოების გრაფაში იგი უკვე მთავარდიაკონია. ორი წლის განმავლობაში დიაკონი გიორგი გახლდათ ეპისკოპოს ვარლაამის პროტოდიაკონი და ყველგან თან ახლდა მის მეუფებას. 1928 წლის 27 სექტემბერს ეპისკოპოსი ვარლაამი ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებით მმართველად გადაიყვანეს, ხოლო მარგვეთის ეპარქია ისევ ქუთაის-გაენათის ეპარქიას მიენერა. 1929 წლის 12 იანვარს ეპისკოპოსი ვარლაამი საბოლოოდ გათავისუფლდა მარგვეთის ეპარქიიდან და დამტკიცდა ცხუმ-აფხაზეთის კათედრაზე. ამასთან დაკავშირებით, მთავარდიაკონი გიორგი უადგილოდ დარჩა. მან ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ დავითს (კაჭახიძე) სთხოვა, სამღვდელო ხარისხში აყვანა. ამასთან დაკავშირებით, 1929 წლის 28 აპრილს მიტროპოლიტი დავითი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ს (ციციქიშვილი) სწერდა: „საკათალიკოზო სინოდის მიერ, 1928 წლის ივნისის 26 განჩინებით, დაარსებულია სამღვდელო-საეკლესიო მსახურთა კანდიდატების გამომცდელი კომისია, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს 1907 წლის გამოსაცდელი პროგრამით. რადგანაც მარგვეთის ეპარქიაში არაა ახლა საკუთარი მღვდელმთავარი, ამ ეპარქიის პროტოდიაკონი გიორგი აბდუშელიშვილი დარჩა უადგილოდ; ეპარქიას არა აქვს არავითარი საშვალეობა მას აძ-

ლიოს ის ჯამაგირი, რომელსაც იგი ღებულობდა ეპარქიიდან. ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს მიეცეს მას სამსახური, რომ თავი ირჩინოს, ხოლო ასეთ სამსახურად უნდა ჩაითვალოს მღვდლობა. ითხვისში თავისუფალია მღვდლის ადგილი; მრევლი თხოულობს მათ მღვდლად გამწესებულ იქმნას მთავარდიაკონი გიორგი აბდუშელიშვილი. რადგან მამა გიორგის არ შეუძლია გამოცდა ჩააბაროს 1907 წლის პროგრამის მიხედვით, ამიტომ ვშუამდგომლობ კურთხეულ იქმნას იგი მღვდლად უეგზამენოდ. თუ თქვენი უნეტარესობა ამას იწებებს, მაშინ

მოახდინეთ განკარგულება, თქვენმა ქორეპისკოპოსმა იეროთეოსმა აკურთხოს იგი მღვდლად, რათა მამა გიორგის არ დასჭირდეს ზედმეტი ხარჯების განწევა და დროის დაკარგვა ქუთაისში ჩამოსვლით. თბილისიდან პირდაპირ საჩხერეში წავა“. 1929 წლის 1 მაისს ამ თხოვნაზე მისმა უწმინდესობამ შემდეგი ბრძანება განაჩინა: „თანახმა ვარ გიორგი აბდუშელიშვილის, საჩხერის საკათედრო ტაძრის ყოფილი მთავარდიაკონისა, მღვდლად ხელდასხმისა, აქ აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით, ითხვისის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის შტატზე“.

1929 წლის 2 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქრისტეფორემ (ციციქიშვილი) მთავარდიაკონ გიორგის მღვდლად დაასხა ხელი და ითხვისის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძრის წინამძღვრად განაწესა. 1930 წლის დასაწყისში მღვდელი გიორგი ურბნისის ეპარქიაში



საპარტიალო სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (გაპაუ) კოლეგიის განსაკუთრებული სათათბირო ოქმი მღვდ. გიორგის გადასახლების შესახებ



მღვდელი გიორგი აბაშვილიშვილი ერისკაცობაში

გადაიყვანეს და ატოცის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა. 1931 წელს კვლავ იხსენიება ამ ტაძრის წინამძღვრად. 1932 წლის 1 ოქტომბერს მღვდელი გიორგი, როგორც ოფიციალურად დარეგისტრირებული მღვდელმსახური, აღარ ჩანს არცერთ ეპარქიასა და სამრევლოში. 1933 წლის 7 მარტს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი სვიმეონი (ჭელიძე), რომელიც იმ პერიოდში განაგებდა მარგვეთის, ჭყონდიდის, ნიკორწმინდისა და ცაგერის ეპარქიებსაც, საქართველოს საკათალიკოსო სინოდს სწერდა: „სინოდის საქმეთა გამგის დეკ. მ. ნაცვლიშვილის შეკითხვაზე, მღ. გ. აბაშვილიშვილის შესახებ პატივი მაქვს მოგახსენოთ — მარგვეთის ეპარქიაში მსახურობს მთავარხუცესი დეკ. ბ. ვაშაძე და დეკ. დიომიდე ვაშაძე, ეს

უკანასკნელი უკვე გარდაიცვალა. სხვა მღვდლებიც არიან, როგორც მე ცნობები მომდის, მაგრამ რომელ მრევლზე არიან მიმაგრებული არ ვიცი. თუმცა მღვდელმოქმედებას ასრულებენ პერიოდულად, მათი ვინაობა კი არ ვიცი. ისინი გადასახადის გამო, თავად გაურბიან საეპარქიო მთავრობასთან ურთიერთობას. სვანეთშიც არიან მღვდლები, როგორც მე ვიცი, მაგრამ არც მათზე არ მაქვს ცნობები. ჩემს შეკითხვაზე ფოსტით თუ კერძო სამი წელია ცნობები არ მომდის და არც მირონი წაუღიათ. არ მესმის როგორ ასრულებენ ნათლობებს. მოსიარულე მღვდლები არიან სხვადასხვა რაიონებში, მე ვფიქრობ, რომ მათ უნდა ალუკრძალოთ მანდატის მიცემა ადგილობრივი ეპარქიის მმართველობის შეთანხმების გარეშე. ასეთი მოძღვრები სიებში არ არიან შეტანილნი, რადგან არ გვაქვს ცნობები სად მსახურობენ“. როგორც ვხედავთ, მღვდელ გიორგიზე ზუსტი ინფორმაცია არ ჰქონდა მეუფე სვიმეონს, იმიტომაც არ იყო იგი შეტანილი ოფიციალურ სიებში.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების არქივის განყოფილებაში დაცული საბუთებიდან ჩანს, 1932 წელს მღვდელი გიორგი სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას) მუხლის საფუძველზე დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს. 1933 წელს იგი ხელმეორედ დაიჭირეს და იმავე წლის 17 ნოემბერს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. 1934 წლის 19 მარტს მისი საკითხი ხელმეორედ გადაიხინჯა, მაგრამ იგი კვლავ პატიმრობაში დატოვეს. მღვდელი გიორგი 1935 წლის 2 აპრილს გადასახლების ადგილზე გარდაიცვალა.

წყარო: საქართველოს საპატრიარქოს არქივი, აღწერა 1, საქმე №1630, გვ. 74; საქმე №1709, გვ. 50; საქმე №1800, გვ. 25; სსიპ — შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია/სამინისტროს არქივი, I განყოფილება (უშიშროების არქივი), ფ. 8, ოქმი №12.

მომზადა მღვდელმა
გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის მონასტრთა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხმავი დაზინყებისგან ვიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქვდილი მასალის გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ზოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შილაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკავადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი დავით სუხიაშვილი 1869-1919

დეკანოზი დავით დარისპანის ძე სუხიაშვილი 1869 წლის 1 მაისს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფ. სანაბლეში, გლეხის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, რის შემდეგაც სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, რომელიც 1888 წელს დაამთავრა.

1887 წლის 6 დეკემბერს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) დავითს სტიქარი უკურთხა; 1889 წლის 29 იანვარს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) იგი დიაკვნად აკურთხა და იმავე წლის 8 თებერვალს მღვდლად დაასხა ხელი და ფარცხნალის მაცხოვრის აღდგომის სახ. ტაძარში განაწესა; 1891 წლის 21 ივლისს იმერეთის ეპარქიის სამზრუნველოს წევრად დანიშნეს; 1892 წლის 19 ნოემბერს ხარაგაულის ოლქის სამღვდლოებამ სასულიერო დეპუტატად აირჩია; 1897 წლის 10 მაისს საგვერდულით დააჯილდოვეს; 1898 წლის 29 მარტს ხარაგაულის ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1899 წლის 5 თებერვლიდან იმერეთის ეპარქიალური სასწავლო საბჭოს შორაპნის მაზრის განყოფილების წევრია. 1901 წლის 30 აპრილს სკუფია უბოძეს. 1901 წლის 20 ივნისს დაინიშნა საგამოცდო კომისიის წევრად შორაპნის მაზრის იმ სკოლებისა, რომლებიც მესამე ხარისხის დიპლომებს გასცემდნენ. 1905 წლის 6 მაისს „კამილაკა“ ეწყალობა. 1905 წლის 12 სექტემბრიდან შორაპნის მაზრის შემოსავალ-გასავლის ნიგნების სარევიზიო კომისიის წევრია. 1906 წლის 20 მარტს ბოსლევის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. ტაძარში გადაიყვანეს. 1907 წლის 12 აგვისტოს დაადგინეს ხარაგაულის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწედ. 1908 წლის 18 იანვარს დანიშნეს შორაპნის სამაზრო განყოფილების ხაზინადრად. 1910 წლის 28 დეკემბრიდან მთავარხუცესის მოვალეობის შემსრულებელია. 1911 წლის 14 აპრილს მთავარხუცესად დამტკიცდა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „შინაური საქმეები“ წერდა: „მ. დეკანოზ ლამბაშიძის ადგილზე (იგულისხმება სამრევლო ტაძარი — გ.მ.) მღვდლად მისივე შვილი მ. ქსენოფონტე ლამბაშიძე აირჩიეს, ხოლო ბლალორჩინად — სოფ. სანაბლის მღვდელი დ. სუხიაშვილი“.


1911 წლის 6 მაისს მღვდელი დავითი სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვდა. 1911 წლის 4 აგვისტოს აჭარის ლეთისმშობლის მიძინების სახ. ტაძრის

წინამძღვრად განაწესეს. 1911 წლის 29 სექტემბერს აჭარის (ძირულის) ორკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1911 წლის 28 ოქტომბერს ისევ აირჩიეს სასულიერო დეპუტატად. 1913 წლის 23 იანვარს მღვდელმა დავითმა აკურთხა სოფ. ძირულის ორკლასიანი სკოლის ახალი შენობა. 1912 წელს მღვდელ დავითს პოლემიკა ჰქონდა გამართული იმერეთის ეპარქიის რამდენიმე მოძღვართან და გაზეთ „შინაური საქმეების“ რედაქტორ მღვდელ სიმონ მჭედლიძესთან, თითქოს მამა დავითი წინააღმდეგი იყო ჟურნალ-გაზეთების გამოწერისა თავის სამთავარხუცესო ოლქში. თავის საბოლოო წერილს იგი ამ სიტყვებით ამთავრებს: „ამბობენ: ნაკლი და დანაშაულობა უნდა გამოქვეყნდეს, გამოშვიურდეს და ამით გასწორდებიანო. ჯერ ერთი, რომ ეს საშუალება არც ისე უებარია და მეორედ - ერთადერთი ქართული სასულიერო ორგანო გვაქ და ისიც კვირეული ხან ორკვირეულიც და რაღაც თექვსმეტ გვერდამდე და ესეც რომ ჩვენ ნაკლულევანებაზედ წერით ავამსოთ, სხვა გონების მასალა სადღა ვეძიოთ. ნუ თუ ეს გავგავითარებს, აგვამალლებს ხალხის თვალში, ნუ თუ ამაშია, ვკითხავ მ. ვაშაძეს, კულტურის შთანასახი? ეს იყო ასე საყაყანოთ გამხდარი ამბავი, მკითხველო, და რა არის ამ ჩემ მოქმედებაში და სიტყვებში სასირცხო? სასირცხო მე ჩემ დღეში არა ჩამიდენია რა, არც არავისთვის დამიშლია ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და თუ რამ ითქვა, ამგვარი ითქმის ხოლმე, სამღვდლოების კრებაზედაც, შესახებ რუსული სასულიერო იძულებით გამოსანერ ჟურნალზედ, მაგრამ ასეთი ცილი, როგორც მე მნამებენ, მათთვის არავის დაუნამებია. ამით ვათავებ ჩემ მოწინააღმდეგეებთან ბაასს“.

1916 წელს მღვდელ დავითის შესახებ ქართულ პრესაში უცნობი ავტორი, ფსევდონიმით — „წვეელი“, წერდა: „სოფ. აჭარა. ეს სოფელი მდებარეობს დაბა ზესტაფონიდან 12 ვერსის მანძილზე. მდებარეობა საუცხოვო აქვს, მას შუაში ჩაუდის 2 მდინარე, ძირულა და ჩხერიმელა. ამ სოფლის მდებარეობა მოგაგონებთ უფრო ნახევრად კუნძულს, რომელსაც დიდი სილამაზე აქვს. უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ ბევრ რამეებსა სწერენ ზემო იმერეთის კორესპონდენტები და ერთხმად აღიარებენ სოფლების ნაკლულევანებას, რაიც, ჩემის ფიქრით, დიდ სიმართლეს შეადგენს. და სწორედ

ეს სოფელიც არ ჩამორჩენილა მათ და ამ სოფელშიაც თავი უჩენია ბევრ ნაკლულევანებას. აი, როგორც, მაგალითად, აქაური მოძღვარი მოგაგონებთ იმ მღვდელს, რომელმაც მარტყოფის მონასტერში ქართველ ხალხს რუსულად უქადაგა (საუბარია მღვდ. იოანე თუშმალიშვილზე — გ.მ.). თუმცა მას აქ რუსულად ჯერ არ უქადაგანია, მაგრამ მისი სკოლის მონაფეებმა, რომლის გამგეთაც იგია, ბევრჯერ იგალობეს ეკლესიაში სლავიანურად, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მსმენელთა შორის. ეს მოძღვარი გახლავთ ბლალოჩინი და მას არა ერთი დიაკონი შეუძრუნებია მით, რომ გადაუყვანია თავის კერიდან მეორე სოფელში, რაც ისედაც ღარიბ მღვდელთა მისი პირდაპირ დახმობაა. მისივე მოთხოვნით, სამღვდლოებამ უნდა შეიძინოს ეკლესიებისთვის მის საბლალოჩინოში სლავიანური ბეჭდები და ეს ხომ საქართველოს ეკლესიის გადაგვარების ნიშანია. თუ მკითხველი არის დაინტერესებული გაიგოს, თუ ვინ არის ეს კეთილსინდისიერი მოძღვარი — ეს გახლავთ მამა დავით სუხიაშვილი და, იმედი მაქვს, რომ ის ამის შემდეგ ამ შეცდომებს შეასწორებს და ფეხსა ჰკრავს „ვოსტორგოვს“ და მის მიმდევარ მღვდლებს, კეთილ გზას დაადგება და მით განსაცდელისაგან იხსნის ისედაც გადაგვარებულ ქართულ ეკლესიას. სხვა შეცდომასთან ერთად, მას ვერც აქაურ სკოლის საქმე მოუწყვია ხეირიანად, რაიც, ჩემი მხრით, დიდი საყვედურის ღირსია. თავის სკოლაში საღმრთო სჯულის სწავლება რუსულ ენაზე პირველ წლის მეორე ნახევრიდან ან მეორე განყოფილებაში აქვს, ეს პროგრამის წინააღმდეგია და არა სასურველი მოვლენა ქართულ სკოლებში. იმედია, ამ შეცდომასაც შეასწორებს ეს მოძღვარი და მიბაძავს იმ კეთილსინდისიერ მოძღვრებს, რომელნიც ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნავენ“.

მამა დავითის წინააღმდეგ წარმოებულ პრესის კამპანიას და ვინმე „წველის“ ცილისმწამებლურ წერილს გაზეთში „ჩვენი მეგობარი“ პასუხი გასცა ასევე უცნობმა კორესპონდენტმა ვინმე „მ — ქ — ლი“-მ, რომელიც წერდა: „ძლიერ მოუხშირეს ამ ბოლო დროს ადგილობრივმა კორესპონდენტებმა



დაქანოვ დავითის გარდაცვალების ცნობა

აჭარის, იმავე ძირულის, ავ-კარგის შესახებ წერა. ვადევნებ თვალყურს ამ წერილებს, ვკითხულობ ზოგიერთ პირთა ხოტბა-შექებას და ზოგიერთთა-დაგებას, როგორც ჩვენში, საუბედუროდ, მოდაშია...

ადგილობრივი სამრევლო სკოლაც არ მოეწონათ ამ კორესპონდენტებს, რადგან მას სათავეში უდგას მათი ხოტბა-შესხმულ პირების მოწინააღმდეგე მღვდელ-ბლალოჩინი დავით სუხიაშვილი. ხან რა დაინუნეს და ხან რა. ბოლოს მისი სამინისტროთ გადაკეთებაც მოისურვეს. მათი იერიშები დაგვირგვინდა ბ. „წველის“ გამოსვლით გაზ. „საქართველოს“ ფურცლებზე. აქ კი მიუტოვებელი ცილისწამება გამოსჭვივის, მაგრამ მამა დავითი, როგორც სულიერი მამა, ყველაფერს ითმენს და მხოლოდ იმეორებს: „მიუტყვე უფალო, რამეთუ არა იციან, რასა იქმანო!“... და შეიძლება ეს სკოლა, მართლაც, მტკიცედ ვერ ადგეს ეროვნულ გზას, მაგრამ ეს ხომ საერთო ნაკლია ჩვენი სკოლებისა. მისი ეროვნულ ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროა სასწავლო პროგრამის ძირითადი გარდაქმნა და ეს კი არ ძალუძს ამ სკოლის მმართველს, ვისაც უსაყვედურებენ ამ სკოლის არაეროვნულ გზაზე სიარულს. კაცს ის უნდა უსაყვედურო, რაც მის ხელთ არის და არა ის, რასაც იგი ძალაუვნებურად ასრულებს“.

1916 წლის 15 მაისს მღვდელი დავითი წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. იმავე წლის ივლისში მისი მეცადინეობით შორაპნის ოლქის სამ-



დეკანოზი დავით სუსიაშვილი

ღვდულოებამ შეაგროვა შეწირულება (15 მან. და 55 კაპ.) და შესწირეს ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად. 1917 წლის 4 ივლისს მღვდელმა დავითმა გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში სამადლობელი წერილი გამოაქვეყნა: „ამხანაგო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „ჩვენი ქვეყნის“ საშუალებით დიდი მადლობა გამოუცხადო სოფ. აჭარის მცხოვრებ ნიკოლოზ (იგივე კოლია) მაქსიმეს ძე ებანოიძეს, რომელმაც თავისი ახლათ გარდაცვალებული შვილის, თინას, სახელობაზე 25 მანეთი შემოსწირა ძირულის ორკლასიან სასწავლებლის ფონდის გასაძლიერებლად“.

1917 წლის 8-17 სექტემბერს, როგორც იმერეთის

ეპარქიის დელეგატი და შორაპნის ოლქის მთავარხუცესი, მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე. 1919 წლის დასაწყისში კიდევ იხსენიება მთავარხუცესად და უკვე დეკანოზის ნოდება აქვს.

დეკანოზი დავითი 1919 წლის 16 მარტს გარდაიცვალა. იმავე წლის 21 მარტს შორაპნის საოლქო საბჭოს წევრი, მღვდელი იაკობ გველესიანი, ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარს (ლეჟავა) წერდა: „სამწუხაროდ შორაპნის ოლქის სამღვდლოებისა, მოკლევხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საბჭოს თავმჯდომარე, დეკ. დავით სუსიაშვილი, რომელიც დაკრძალულ იქნა სანაბლის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში — 19 ამა მარტს. მოვახსენებ რა ამაზე თქვენს მაღალყოვლადუსამღვდლოესობას, უმორჩილესად გთხოვთ ჯეროვან განკარგულებას“.

დეკანოზი დავითი ადრე დაქვრივდა. დარჩა შვილები: გრიგოლი (დაბ. 10.02.1891 წ., მუშაობდა რეინიგზაზე), ნატალია (დაბ. 28.02.1892 წ., პედაგოგი), მარტა (დაბ. 1894 წ., პედაგოგი), ნიკოლოზი (3.05.1896-24.02.1963 წ.), დარეჯანი (დაბ. 6.02.1898 წ.).

წყარო: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ან. 1, საქმე №57596; ქუთაისის ცენტრალური არქივი, ან. 1, საქმე №28011; საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, დოკუმენტი №6478.

ლიტ: Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1905 წ. №10-11; გაზეთი „შინაური საქმეები“ 1911 წ. №8, გვ. 12; 1912 წ. №37, გვ. 15; 1913 წ. №8, გვ. 10; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1916 წ. №10-11; გაზეთი „საქართველო“ 1916 წ. №168, გვ. 4; №194, გვ. 4; გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ 1916 წ. №199, გვ. 4; გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ 1917 წ. №69, გვ. 4.

მომზადა მღვდელმა გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვეთ სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს განვიხილოთ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

ათხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგაძლიერებული მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მიოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო ვაგოშაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, იაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბუღალტერი: ელასი ჯიბლაძე; გაერცვლება: ცარი ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცვლება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ეალერიან ჯუღელი



ისათვის ავტოკეფალიის მინიჭებას, ავაზაკურად შემოიჭრნენ აფრიკაში, ჩვენს სამოძღვრო და სულიერ გეოგრაფიულ იურისდიქციაში და მონამულეს ათასობით ნეოფიტი აფრიკელის ადვილად მონყვლადი სული.

- თქვენს წერილში არსად ასახელებთ ერთმორწმუნე ერის მიმართ თავდამსხმელი ქვეყნის სახელს - სწორედ ჩვენმა მართლმადიდებელმა რუსმა ძმებმა დაარღვიეს შეგნებულად ჩვენი მწყემსმთავარ ქრისტეს უკერველი კვართი.

- სამწუხაროდ, თქვენი სიყვარული იმავე

მზრუნველობას არ იჩენს ამ უდიდეს უსამართლობაზე, როგორსაც მიტროპოლიტ პავლეს შემთხვევაზე. ჩვენი უმდაბლესობის მონოდებების მიუხედავად, რომლებიც არათუ ერთ ადამიანს, არამედ ათასობით აფრიკელ მართლმადიდებელს ეხება, თქვენ გამაყრუებელად დუმხართ.


- ველით თქვენი მხრიდან ამ ქმედებების დაუყოვნებლივ დაგმობას და მხურვალედ ვლოცულობთ, რომ ჩრდილოელი ძმების ამ არაქრისტიანულმა და არაეკლესიურმა ქმედებებმა ხვალ თქვენც არ მოგიკაკუნოთ კარებზე".

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი

1866-1940

დეკანოზი იოანე ლავრენტის ძე ცქიტიშვილი 1866 წლის 1 იანვარს ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრის სოფ. საქარაში მღვდლის ოჯახში დაიბადა. 1884 წლის 30 მაისს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1884 წლის 1 სექტემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორის კანცელარიაში რიგით თანამშრომლად დაინიშნა. 1887 წლის 14 ოქტომბერს საჭილაო-ილორის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მედავითნედ დაინიშნა. 1888 წლის 13 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე) დიაკვნად აკურთხა და იმავე ტაძარში მედავითნის შტატში დატოვა. 1889 წლის 8 ნოემბერს ქ. ფოთის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ტაძარში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლის (დადიანი) სამღვდელმთავრო კრებულში დაადგინეს. 1890 წლის 14 ნოემბერს მღვდლად დაასხა ხელი და საჭილაო-ილორის წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვრად განაწესა. 1891 წლის 9 თებერვალს საქარის (გულბანდიანი) მაცხოვრის ჯვართამაღლების სახ. ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1894 წლის 8 აპრილიდან ბანოჯას წმ. გიორგის სახ. ტაძრის წინამძღვარია. 1895 წლის 16 იანვარს მღვდელი იოანე ბანოჯის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1895 წლის 10 ივნისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1901 წლის 1 სექტემბერს ქვიტირის ორკლასიან სასწავლებელში საღვთო სჯულის სწავლება დაეწყო. 1902 წლის 25 მაისს სკუფია უბოძეს. 1903 წლის 24 დეკემბერს ქუთაისის პირველ ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში საღვთო სჯულის პედაგოგად გადაიყვანეს და ამ პოსტზე დარჩა 1918 წლამდე. 1903-1914 წლებში, შეთავსებით, ქუთაისის ორწლი-



მღვდელი იოანე ცქიტიშვილი

ან პედაგოგიურ კურსებზე საღვთო სჯულის მასწავლებლად მუშაობდა. 1912 წლის 6 მაისს კამილაკა ეწყალობა. 1913 წლის 23 თებერვალს ზედა ქვიტირის სასაფლაოზე დაკრძალეს მღვდელი მოსე შავგულიძე, რომელიც 48 წელიწადი პატიოსნად ემსახურებოდა უფალსა და დედა ეკლესიას. ნირვა

და წესის აგება აღასრულა იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ (აღადაშვილი) სამღვდელთა თანამხმერთან, ხოლო წესის აგების შემდეგ ვრცელი ქადაგება წარმოთქვა მღვდელმა იოანე ცქიტიშვილმა, რომელიც ახლოს იცნობდა განსვენებულს. 1914 წლის 20 სექტემბერს ქუთაისის უფასო სკოლაში საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს. 1916 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დაჯილდოვდა.

1918 წლის 30 აგვისტოს მღვდელი იოანე ცქიტიშვილი ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს სწერდა: „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის ბრძანებით, 29 ივლისის 1918 წ. თარიღით, მე ვარ დამტკიცებული ქართული ენის შტატის მასწავლებლად პირველი ქუთაისის მაღალ დასაწყის სასწავლებელში. უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას განმათავისუფლოთ ზემორე აღნიშნული ეკლესიის სამრევლოს მღვდლობის თანამდებობისაგან და მიმანეროთ ქუთაისის რომელიმე ეკლესიას შტატზე“. იმავე წლის 2 სექტემბერს მიტროპოლიტმა ანტონმა ამ თხოვნას შემდეგი რეზოლუცია დაადო: „1918 წლის 2 ენკ. ბანოჯის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელს ი. ცქიტიშვილს უძღვნი ჩემ მღვდელმთავრულ ლოცვა-კურთხევას და გულწრფელ მადლობას მისი პატიოსანი და ერთგული სამსახურისათვის წინაშე წმ. ტრაპეზისა და გულისტკივილით ვათავისუფლებ ეპარქიაში სამსახურიდან. მოძღვრის არჩევამდე მღვდელმოქმედება აღასრულოს ამ მრევლში მღვდელმა ს. კახეთელიძემ“. სამწუხაროდ, 1918 წლის 18 სექტემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი და მამა იოანეს სადმე უშტატოდ მიწერა ვერ მოასწრო. ამასთან დაკავშირებით, 1918 წლის 24 ოქტომბერს მღვდელი იოანე უკვე ქუთაისის საეპარქიო საბჭოს სთხოვს დახმარებას, რათა იგი მიწერილ იქნას ქუთაისის საკათედრო ტაძარს ან ქალაქის რომელიმე ეკლესიას. წერილში მოძღვარი აღნიშნავს, რომ ქ. ქუთაისში იგი ცხოვრობს ორპირის ქუჩაზე. 1918 წლის ნოემბერში ქუთაისის კათედრაზე ახალი მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა) დაინიშნა. იმავე წლის 13 დეკემბერს მისი თავმჯდომარეობით შეიკრიბა ქუთაისის საეპარქიო საბჭო, რომელმაც განიხილა მოძღვრის თხოვნა და დაადგინა: „მრევლის სამსახურიდან გადამდგარი მღვდელი იოანე ცქიტიშვილი წირვა-ლოცვისათვის მიწეროს შტატგარეშედ ქუთაისის საკრებულო ტაძარს“.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში უღმერთო კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა სათავეში. მალევე, მათ სასულიერო პირებს სკოლებსა და სასწავლებლებში მუშაობა აუკრძალეს. აქედან გამომდინარე მამა იოანე სასწავლებლის

გარეთ დარჩა. იგი იძულებული გახდა კვლავ მოეთხოვა მრევლში სამსახური. საკათალიკოსო საბჭომ იგი აწყურის ეპარქიაში, ახალციხის წმ. მარინეს სახ. ტაძრის წინამძღვრად დანიშნა. 1922 წლის ივნისში კომუნისტების მიერ ეკლესიებში არსებული ქონების საყოველთაო აღწერის დროს ახალციხის წმ. მარინეს ტაძრის წინამძღვრად იხსენიება და ხელს აწერს საეკლესიო ქონების ჩაბარების აქტს. ამ დროს მას უკვე დეკანოზის პატივში ვხვდებით. 1922 წლის ბოლოდან დეკანოზი იოანე ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესად დაადგინეს.

ათეისტური რეჟიმის მმართველობის პერიოდში ეკლესიასა და სამღვდელთა უმძიმესი დღეები დაუდგა. 1922 წლის ბოლოს და 1923 წლის დასაწყისიდან მასობრივად დაიწყო ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვა. რასაც სამღვდელთა და მრევლის მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა. ამ საკითხში, მთავარხუცესი, დეკანოზი იოანე ცქიტიშვილი დახმარებასა და რჩევას ითხოვს ურბნელ ეპისკოპოს ქრისტეფორესაგან (ციციტიშვილი) და აწყურის ეპარქიაში დატრიალებულ მოვლენებს გულისტკივილით აცნობებს: „1923 წლის 30 მარტს, პარასკევს, დღის 3 საათზე, ადგილობრივი კომსოპოლიტები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რამდენიმე წითელარმიელი ჯარისკაცის თანხლებით, შემოესია ახალციხის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ეკლესიას, ჩაიბარეს იგი და დალუქეს. იგივე ბედი ეწია სომეხთა ეკლესიას, კათოლიკეთა ტაძარს, ებრაელთა სინაგოგას და მუსულმანთა მეჩეთს. ყველა ერის წარმომადგენელთ ახალციხეში თითო ეკლესია დაუტოვეს. ჩვენ დაგვრჩა წმინდა დიდმონაშემ მარინეს სახელობის ეკლესია. იმ დღეს, მე ვიყავი მწირველი სოფელ ტატანისში, რომელიც ახალციხიდან 9 ვერსითაა დაშორებული. ეს ამბავი იქ გავიგე საღამოს. ვცდილობდი თავის გამხნევებას, მაგრამ ძარღვებმა მაინც თავისი ჰქნეს. მარჯვენა ყურმა გამკრა, თავი გამირეკდა და ძირს დავეცი. ის ღამე ტანჯვით გავათიე, მეორე დღით გლეხებმა ურმით მიმიყვანეს ახალციხეში. მას შემდეგ ლოგინში ვწევარ. სამსახური აღარ შემიძლია. ჩემს მაგივრად მსახურობენ მოხუცი დეკანოზი ალექსანდრე ზედგენიძე და საფარის მონასტრის წინამძღვარი მღვდელმონაზონი ტიმოთე (რუსი). 3 აპრილს მოვიდა კომისია, ამაყენა ლოგინიდან, წამიყვანა ტაძარში და დაიწყო აღწერა. აღწერეს სანთლის საწყობის განჯინა, სადაც ინახებოდა სანთელი და საწყობის კუთვნილი ყველა საგნები. ამის შემდეგ ყველაფერი ჩაიბარეს და ჩამომართვეს გასაღები, რაზედაც მოვახსენებ თქვენს მეუფებას“.

დეკანოზი იოანე განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების მამათა მონასტრისათვის და საკათალიკოსო საბჭოს

სთხოვდა, გამოენახათ გზები და საშუალება, რათა იქ მცხოვრებ მონაზვნებს არ შეეწყვიტათ ლოცვა-ვედრება ერისა და საქართველოს გადარჩენისათვის, ამასთან დაკავშირებით მან წერილით მიმართა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ურბნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს: „თქვენს მეუფებას კარგად მოეხსენება, რომ ვარძიის მონასტერი ქართველი ერის სიამაყეა, როგორც უტყუარი საბუთი მისი წარსული დიდებისა, სარწმუნოების ფხიზელი დარაჯია, რადგან საზღვარზე დგას. მას გარს ახვევიან უცხო სარწმუნოების ერები, საიდანაც ხალხი ბლომად დაიარება დიდ დღესასწაულებში. ნახულობენ სავანეს და მით ეცნობიან ჩვენი ერის ისტორიას და სარწმუნოებას. ამ მონასტრის ცხოვრებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 15 აგვისტო (ძვ. სტილით), ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღე. ამ დღეს ტაძრის დღესასწაულია. ეს დიდებული მონასტერი თავისი წარსული სიდიადით, საქართველოს ყველა კუთხიდან, დიდძალ ხალხს იზიდავს ამ დღისათვის. მლოცველების რიცხვი იმდენად დიდია, რომ არსებულ მაღაროებში ვერ თავსდებიან და იძულებული ხდებიან კიბეებზე გაათიონ.

ჩემის აზრით, რომ სარწმუნოების ეხლანდელმა კრიტიკულმა ხანამ, მორწმუნე ერს გული არ გაუგრილოს და მით მონასტერმა ერთხელ და სამუდამოდ არ დაჰკარგოს თავისი მნიშვნელობა, საჭიროა მონასტრის სახელის ამაღლება. ეს კი მოხდება მაშინ, თუ ყოველწლივით ამ შესანიშნავ დღეს მღვდელმთავრის წირვა მოენციობა და დანარჩენ დღესასწაულებში წინამძღვარი შეასრულებს წირვას, მაინც და მაინც არქიმანდრიტის ხარისხში. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მლოცველებში სარწმუნოების გრძნობას ფრიად გააღვიძებს“.

1923 წლის 18 ივლისს დეკანოზი იოანე საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველს, ურბნელ ეპისკოპოსს ქრისტეფორეს (ციციქიშვილი) სწერდა: „ახალციხეში ცხოვრებამ გამოიწვია ჩემი ჯანმრთელობის დარღვევა, რაც მაიძულებს თავი დავანებო იქ სამსახურს. უმორჩილესად გთხოვთ განმანთავისუფლოდ ახალციხის სამრევლოს სამსახურიდან და ახალციხე-ახალქალაქის ოლქის მთავარხუცესის თანამდებობისაგან“. იგი იმავე დღეს გათავისუფლდა, მაგრამ დაევალა ახალციხეში ჩასვლა და საქმეების მონესრიგება. იმავე დღეს, თავისი თხოვნის თანახმად, დროებით სიონის საკათედრო ტაძრის უმტატო მღვდელმსახურად დაინიშნა.



მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე) და დეკანოზი იოანე ციციქიშვილი. 1929 წ.

1923 წლის 22 ოქტომბრიდან 1925 წლის 25 იანვრამდე ქვაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის კრებულის დაპატიმრების გამო, დეკანოზი იოანე აღნიშნულ ტაძარში აღასრულებდა წირვა-ლოცვებს. 1925 წლის 22 იანვარს დეკანოზი იოანე ეპისკოპოსს ქრისტეფორეს სწერდა: „უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს მაღალყოვლადუწმინდელმთავრობას დამნიშნოთ ტფილისის კალოუბნის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდლის თავისუფალ ადგილზედ“. 1925 წლის 25 იანვარს დაინიშნა, ხოლო 27 იანვარს წინამძღვრადაც დამტკიცდა. 1928 წლის 4 აპრილს ენქერი უბოძეს. 1931 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ კალოუბნის ტაძარი დახურა (შემდეგ კი სულ დაანგრია. დღეს იქ რუსთაველის კინო-თეატრი მდებარეობს). სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) უადგილოთ დარჩენილი მოძღვარი თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახ. ტაძარში მეორე მღვდლის ადგილზე გადაიყვანა და თბილისის ეკლესიების მთავარხუცესად დანიშნა. 1933 წლის აღდგომის დღესასწაულზე უწმინდესმა კალისტრატემ (ცინცაძე) დედა ეკლესიაში ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის იგი მიტრით დააჯილდოვა. 1934 წლის 8 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის VII საეკლესიო კრებაზე დეკანოზი იოანე სამი წლის ვადით აირჩიეს საკათალიკოსო სინოდის წევრის კანდიდატად. დეკანოზი იოანე 1940 წლის 28 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალეს 8 მარტს ქალაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე ქ. თბილისში. მამა იოანე ს. ჯორჯაძის ქუჩაზე ცხოვრობდა.

ჰყავდა მეუღლე — ლიდია ტატოს ასული (დაბ.



თბილისის კალუზნის ტაძარი

25.03.1868 წ.) და შვილები: გიორგი (დაბ. 15.11.1889 წ., იყო ხორუნჯი კაზაკთა კავალერისტთა პოლკში); ილია (დაბ. 20.07.1891 წ., სწავლობდა კიევის კომერციულ ინსტიტუტში); ვერა (დაბ. 14.10.1893 წ., მუშაობდა ქუთაისის მეორე საქალაქო აფთიაქში); შალვა (10.12.1894-20.03.1923 წწ., სწავლობდა პერმის სამედიცინო ინსტიტუტში, გარდაიცვალა მოულოდნელად ქ. ახალციხეში, სადაც დაკრძალეს დროებით სამარხში); ვახტანგი (დაბ. 16.08.1897 წ., იყო პროვიზორის თანაშემწე.).

წყარო: ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489, ანაწერი 1, საქმე №47969; საქმე №53077; უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, ან 1, საქმე №50; ქუთაისის ცენტრალური არქივი, ანაწერი 1, საქმე №26841; საქართველოს საპატრიარქოს

არქივი, ანაწერი 1, საქმე №279; საქმე №1505, ფურც. 73; ფურც. 161; ფურც. 168; საქმე №1509, ფურც. 25; ფურც. 40-41; საქმე №2091, ფურც. 4;

ლიტერატურა: Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1902 წ. №11; გაზეთი „შინაური საქმეები“ 1913 წ. №9, გვ. 12-13; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1912 წ. №11; 1916 წ. №10-11; სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო სინოდის უწყებათა კრებული 1928 წ. გვ. 32; გაზეთი „კომუნისტი“ 1923 წ. №64, გვ. 4; 1940 წ. №54, გვ. 4; ცინცაძე კ. „ქვაშეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“ თბ. 1994 წ., გვ. 219; კეზევაძე მ. „ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები“, ქ. ქუთაისი, 2008 წ. გვ. 47; გვ. 91.

მღვდელი
გიორგი მაჩურიშვილი

© საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის-მონასტრის ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხმავით დავინფორმირებთ პიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაგაჟდელი მასალის გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მონადგლის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მონადგლე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(მიოლაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგოშაშვილი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ელასი ჯიბლაძე;
გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტორაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი



ისტორიის ფურცელი

მღვდელი ნესტორ დევიძე

მღვდელი ნესტორ მაქსიმეს ძე დევიძე 1878 წელს ქუთაისის გუბერნიაში, შორაპნის მაზრის სოფ. არგვეთში მედავითნის ოჯახში დაიბადა. სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რის შემდეგაც სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა, რომელიც 1900 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1900 წლის 21 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) იგი დიაკვნად აკურთხა, მეორე დღეს მღვდლად დაასხა ხელი და ოკრიბაში, ციხიის მაცხოვრის ამალეების სახ. ტაძრის წინამძღვრად დაადგინა. 1901 წელს მთავარხუცესს, მღვდელ დავით სირბილაძის დავალებით შეადგინა 27 ტაძრისა და სამრევლოს აღწერილობა. 1902 წლის 17 ივნისს ციხიის სკოლის გამგედ და საღვთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნა. 1903 წლის 10 იანვარს არგვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მეორე მღვდლად განაწესეს. 1906 წლის 27 ნოემბერს საჩხერის ოლქის სამღვდლოებამ სამი წლის ვადით სასულიერო დეპუტატად აირჩია. 1907 წლის 6 ივნისს საჩხერის ოლქის მთავარხუცესის თანაშემწის კანდიდატად დაინიშნა. 1908 წლის 22 მარტს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1908 წლის 18 მაისს საჩხერის ოლქის სასულიერო გამომძიებლად დაადგინეს. 1908 წლის 27 მაისს ხელმეორედ აირჩიეს დეპუტატად. 1913 წლის 8 აპრილს სკუფია უბოძეს.

მღვდელი ნესტორი წლების განმავლობაში იყო არგვეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის გამგე, სადაც თავისი თავდადებული და დაუზარელი სამსახურით მრევლისა და მოსწავლეთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. გარდა არგვეთისა, იგი ცდილობდა სხვა სოფლებშიც შეეტანა განათლების შუქი. მისი მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული პრესისათვის. 1912 წელს გაზეთი „შინაური საქმეები“ მის შესახებ წერდა: „სოფ. ცხამი მდებარეობს დაბა საჩხერის მახლობლად. მდებარეობა სოფლისა მთავორიანია, გზები უვარგისია, რის გამო ხსენებული სოფელი მიყრუებულ-მივარდნილია. მთელ სოფელში, რომელიც შესდგება 90 კომლისაგან, წერა-კითხვა ეცოდინება მხოლოდ თხუთმეტიოდ კაცს. ცხამელებისათვის სწავლა-განათლებაზე ზრუნვით არ აუტკივებია თავი ჩვენ ღირს მამებს. დღემდის ცხამელები განიცდიდნენ დიდ სიბნელეს, დღეს კი მღვდლის ნესტორ დევიძის შრომით, ხსენებულ სოფლებს აღმოუბრწყინდათ ნათელი და ეჩვენათ გზა ცხოვრებისა. მღვდელ-

ლი ნესტორ დევიძე არ დაკმაყოფილდა იმით, რომ მან გაუხსნა თავის მრევლს არგვეთს ორკომპლექტიანი სამრევლო სკოლა, მან გარდასწყვიტა სხვა სოფლებებისათვისაც მოეტანა სარგებლობა და კიდევ შეუდგა შრომას. პირველად მღვდ. ნესტორ დევიძემ მიმართა ცხამელებს, როგორც უფრო, სხვასთან შედარებით, ჩამორჩენილებს. ხსენებული მღვდლის მდაბალმა ხასიათმა, გულკეთილობამ და სიყვარულით აღსავსე სიტყვებმა დიდი გავლენა იქონია ხალხზე, რომელმაც ერთ ხმათ დაადგინა განაჩენი სკოლის გახსნაზე ამა 1912 წ. აგვისტოს 26. თანახმად ამა განაჩენისა, მთავრობამ გაუხსნა ცხამელებს სამრევლო სკოლა, რომელშიდაც სწავლა უკვე დაიწყო. ბავშვების რიცხვი ორმოცდაათამდეა. ცხამელები, ცხამელების სკოლა და მისი ისტორია სამუდამოდ არ დაივიწყებენ მღვდელს ნესტორ დევიძეს და მუდამ მადლიერი იქნებიან მისი. ღმერთსა ვსთხოვ მსგავსი მღვდელ-მოძღვრები მრავალი აღმოჩენოდეს საწყალ ხალხს“. 1912 წლის 24 ნოემბერს ადგილობრივი მღვდლის ზაქარია აბაშიძის მიწვევით მღვდელი ნესტორი ჩავიდა სოფ. დურევში და აქაც აღანთო ლამპარი ცხოვრებისა. მან სიტყვით მიმართა სოფლებს და ცხადად დაუხატა სკოლის მნიშვნელობა და დაინიშნულემა მომავალი თაობებისათვის. ხალხი აღტაცებით შეხვდა მის მოწოდებას და 1913 წლის 10 იანვარს სოფ. დურევშიც გაიხსნა სამრევლო სკოლა. 1913 წლის 15 იანვარს მღვდელი ნესტორი უკვე სოფ. დარყს ეწვია და იქ განუმარტა ხალხს სწავლის მნიშვნელობა, მიუთითა მახლობელ სოფლებზე, სადაც უკვე მისი შრომით, არსებობდნენ სკოლები, რასაც ხალხი დადებითად შეხვდა. დარყელებმა მიიღეს მოძღვრის რჩევა და ერთხმად მიიღეს დადგენილება სკოლის გახსნაზე. 1913 წლის 14 მარტს აღნიშნულ სოფელშიც გაიხსნა სკოლა. როგორც ვხედავთ, ნახევარწელიწადში მღვდელ ნესტორის მეცადინეობითა და შრომით სამი სკოლა გაიხსნა, სადაც უამრავმა მოზარდმა მიიღო განათლება.

1917 წლის სექტემბერში მღვდელი ნესტორი საჩხერის ოლქის მთავარხუცესია და როგორც იმერეთის ეპარქიის დელეგატი მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაში.

სამწუხაროდ, ტრაგიკულად წარიმართა მღვდელ ნესტორის მოღვაწეობა საქართველოში კომუნ-

ნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ. ქვეყანაში დანყებული მასობრივი რეპრესების დროს, როდესაც დაუხურა მრავალი ეკლესია-მონასტერი და სამღვდლოება კანონგარეშედ გამოცხადდა, მოძღვარი იძულებული გახდა, შეენყვიტა მღვდელმსახურება. მან ანაფორა გაიხადა და საერო სამსახურში გააგრძელა სამსახური. ეს მოხდა დაახლოებით 1923 წელს. აქედან მოყოლებული იწყება მისი ტანჯვა და დევნა-შევიწროება, რა დროსაც უამრავი ცილისწამება და დამცირება გადაიტანა ყოფილი „მოკეთებებისგან“ და ადგილობრივი ხელისუფლებისგან.

1924 წელს საქართველოს პროფესიონიულ კავშირთა საბჭოს ყოველდღიური გაზეთი „მუშა“ თავის ფურცლებზე წერდა: „საჩხერის რაიონში არის არგვეთის თემი, სადაც არსებობს მთლიანი შრომის სკოლა, აღნიშნულ სკოლის გამგეთ არის ნესტორ დევიძე. განათლების დარგში მისი მუშაობა დიდად აღშფოთებს არგვეთის თემის მშრომელ გლეხობას. ნესტორ დევიძე ყოფილი მღვდელია. ის გაიპარსა იმ დროს, როცა ეკლესია დაუკეტეს. რამოდენიმე თვის შემდეგ ზემოხსენებული ეკლესია ისევ გახსნილ იქნა. დევიძემ შეიტყო რა ეკლესიის გახსნა, მიდის მრევლთან და ეხვეწება, რათა ეპატიებიათ მისთვის გაპარსვა, და ისევ მიელოთ „წმინდა მამათ“. მრევლმა ამაზე შემდეგი პასუხი გასცა - შენ დღეიდან გამოუსადეგარი ხარ ეკლესიისათვისაც და საზოგადოებისათვისაც. ზემო ხსენებული მდგომარეობიდან ის ხდება იმავე მრევლში მთლიანი შრომის სკოლის გამგეთ. რალა იმედი უნდა ჰქონდეს იმ მშრომელ გლეხს, რომ თავისი შვილი მიიყვანოს სკოლაში, როცა ხედავს რომ მის შვილს უნდა ასწავლოს მან, რომელიც გუშინ მას ტყავს აძრობდა, აგრეთვე მან, რომელმაც ორი კოოპერატივი გააკოტრა. საჭიროა შორაპნის მაზრის განათლების განყოფილებამ მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ გარემოებას“. სამწუხაროდ, ყოფილი მოძღვარი, რომელიც 20 წელზე მეტი სწავლა-განათლების საქმეს ემსახურებოდა საჩხერის მხარეში, აღზარდა უამრავი თაობა და საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე სკოლის არსებობას, უღმერთო კომუნისტებისთვის გამოუსადეგარი პიროვნება აღმოჩნდა. ის ხალხი, რომელიც მას ერთ დროს უდიდეს პატივს სცემდა, ენდობოდა და გულდასმით ისმენდა მის ქადაგებას, პარტიულებისგან შეშინებულნი ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ ამ ადამიანის დასაცავად.

1925 წლის მიწურულს უკვე მღვდელ ნესტორის უფროსი ვაჟი — შალვა დევიძე გაეხვა სერიოზულ სკანდალში და იგი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე მოხვდა. მართალია, წერილში ნახსენები არ არის, რომ იგი მღვდლის შვილია, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარების სიმძიმეს. უცნობი კორესპონდენტი ფსევ-



მღვდელი ნესტორ დევიძე

დონიმით „საჩხერელი“ დეტალურად აღწერს მის საქციელს და სტატიაში, რომლის სათაურია „დამნაშავე დაისჯება“ (წერილი სოფლიდან), შემდეგს გვიაბობს: „28 დეკემბერს სოფ. ივანწმინდის მცხოვრები ქაიხოსრო ქავთარაძე მოუძღვებოდა სურსათით დატვირთულ ურემს. როცა სოფელს დაშორდა დაახლოებით ვერსნახევეართ, მან შეუძახა ხარებს: ჰეი, ხარებო, რა მენშევიკივით მიიზლაზნებო“.

ამ შეძახებას ყური მოჰკრა საჩხერიდან მომავალმა ვილაც ახალგაზრდამ, რომელმაც დედა შეაგინა ქავთარაძეს.

როცა ქავთარაძემ მოჰკითხა თუ რათ აგინებს, მან იძრო რევოლვერი, მაგრამ მისმა მხლებელმა გლეხებმა დააკავეს. შეშინებულმა ქავთარაძემ მიატოვა ხარი-ურემი და გაიქცა.

ახალგაზრდა, რომელიც აღმოჩნდა სოფ. არგვეთის მცხოვრები შალვა ნესტორის ძე დევიძე, გამოედევნა მას და ესროლა. ქავთარაძე გადამხტარა ხრამში და ამ დროს ფეხი უღძვრია. გზაში გლეხები შემოხვედრიათ და ურჩევიათ მისთვის შეჩერებულიყო და შეხვედროდა დევიძეს.

ქავთარაძეც ასე მოიქცა და როცა დევიძე წამოენია, უკითხავს მისთვის, რათ მკლავო. დევიძეს კი პასუხის ნაცვლად უცემნია ქავთარაძისათვის ისე, რომ უკანასკნელს ცხვირში სისხლი წასკდა. ამ ჩხუბითა და დავიდარაბით მისულან სადგურამდის, სადაც ქავთარაძე დამალულა. დევიძეს მატარებელშიც კი უძებნია ქავთარაძე. საჭიროა

ეს ვაჟბატონი მკლავაძეობას გადააჩვიონ. მასა-
ლები ამ საქმის შესახებ გადაეცა სათანადო ორ-
განოს, რომელიც გამოიძიებს მას“.

1926 წელს ზემოთ ნახსენები გაზეთ „მუშის“
დამატება, ანტიმართლმადიდებლური ჟურნალი
„ტარტაროზი“ ისევ იცლის ყოფილ მოძღვარზე და
ამჟამად გაშარჟებულ ლექსს აქვეყნებს სათაურით
„ნესტორ-დევი“:

„ბედნიერია არგვითის თემი,
სანამ უცქერის ნახუცარ ნესტორს,
რომელსაც უგავს ცხვარი მაშკასა
და ქარხნის „ტრუბას“ კი ცხვირის ნესტო.
ეკლესიების ტვრევის და რღვევის
როცა გავარდა ხმა საშინელი, —
სწრაფად გაიძრო მან ანაფორა
და შეიკერა „სტაცკი“ შინელი...
და განაცხადა მოხერხებულად
ორი ზედიზედ მან განამზადა...
და „ნარობრების“ გამგესთან წარსდგა
ამ განცხადებით ეს არამზადა:
არ მინდა მღვდლობა, შორს გადვისროლე
მე ანაფორა და ქრისტეს ჯვარი.
გთხოვთ მომცეთ სადმე მასწავლებლობა.
არგვეთში არის, არ მითხრათ ვარი.
მეორეს გზავნის „მთავარ-ხუცესთან“ და სწერს:
მიიღეთ მხედველობაში,
რომ მე ვიყავი ქრისტეს მორწმუნე
მეტად დიდი ხნის განმავლობაში.
თუმც ანაფორა მე გავიხადე
რა მექნა? გავხდი იძულებული.
ჩუმად ვლოცულობ, ვსწირავ ყოველთვის
ღმერთის ძალაში დარწმუნებული.
თუ ამობრწყინდა ეკლესიისთვის
მზე მომავალში მტრების ჯინაზე, —
იცოდე: ისევ მე უნდა დავრჩე
ჩემს ძველ ადგილზე, ჩემს ძველ ბინაზე.
და ეს ნესტორი სასწაულ ძალით
მონაგარიშეთ აღმასკომშია...
ხელში უჭირავს მას ორი ნესვი,
როგორც ორ ხელში ერთი კომშია“.

როგორც აღნიშნუ-
ლი სტატიებიდან ჩანს,
ყოფილი მოძღვარი
ეკლესიიდან წასვლის
შემდეგ ჯერ არგვეთის
სკოლაში გამგედ მუ-
შაობდა, ხოლო 1924
წელს იქიდან გამოშ-
ვებიდან მალევე, მან
საჩხერის აღმასკომში
მონაგარიშედ დაიწყო
სამსახური. ამ ეტაპ-
ზე ჩვენთვის არ არის
ცნობილი, თუ როგორ
დაასრულა მან თავისი
ამქვეყნიური მოღვა-
ნეობა და როგორ წა-
რიმართა ამ ადამიანის
ტრაგიკული ცხოვრება.
მისი გარდაცვალების
წელი უცნობია.



გაშარჟებული მოძღვარი
შურნალ „ტარტაროზის“
ფურცელზე

ჰყავდა მეუღლე — მატრონა ალექსის ასუ-
ლი (დაბ. 14.11.1874 წ.) და შვილები: შალვა (დაბ.
18.08.1901 წ.), იოანე (დაბ. 20.05.1903 წ.), კლავდია
(დაბ. 4.02.1905 წ.), მარიამი (დაბ. 4.01.1910 წ.), დავი-
თი (დაბ. 24.08.1911 წ.).

წყარო: ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 489,
ანაწერი 1, საქმე №53042; საქმე №57663; საქართველოს
საპატრიარქოს არქივი, ახალი ანაწერი, საქმე №6478;

ლიტერატურა: Журнал „Духовный вестник
Грузинского Экзархата“ 1900 წ. №12-13; გაზეთი „ში-
ნაური საქმეები“ 1912 წ. №23, გვ. 10-11; №39, გვ. 14-
15; №42, გვ. 9-10; 1913 წ. №8, გვ. 11; №18-19, გვ. 17-
18; Журнал „Вестник Грузинского Экзархата“ 1913 წ.
№11; გაზეთი „მუშა“ 1924 წ. №469, გვ. 6; გაზეთი „კო-
მუნისტი“ 1925 წ. №2, გვ. 3; ჟურნალი „ტარტაროზი“
1926 წ. №31, გვ. 13; გაზეთი „საქართველოს რესპუბ-
ლიკა“ 2004 წ. №58, გვ.1

მღვდელი
გიორგი მაჩურიშვილი

საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-
მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხმავით
დავიწყებისგან ვიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგაჟილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა:
bokuchavanana1@gmail.com.
მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს
საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი
(მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგოშაშვილი,
თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, მულალტერი: ვლასი ჯიბლაძე;
გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

მღვდელმთავართა კრების დღის წესრიგი და ასევე განიხილა სხვადასხვა საკითხები.

მღვდელმთავართა გეგმური კრების სხდომები ათენში 9 ოქტომბერს, დილის 6:30-ზე, სამღვდელმთავრო ლიტურგიით დაიწყო და მას იერარქთა შორის ქირიტონით ყველაზე ახალგაზრდა, დრამის მიტროპოლიტი დოროთე გაუძღვა.

წმინდა სინოდის სასახლეში კრების სამუშაო სხდომები ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ გახსნა, წმინდა სინოდმა აირჩია თესალონიკის, პარამითიის და ფლორინის მიტროპოლიტები და დამხმარე ეპისკოპოსები.

10 ოქტომბერს სიტყვა მიეცეთ მღვდელმთავრად გამორჩეულებს. სინოდალური კომისიების თავმჯდომარე მღვდელმთავართა მიერ გაკეთდა 2022-23 საეკლესიო წლის მუშაობის შესახებ მოხსენება. 2024-2027 საეკლესიო წლებისათვის აირჩე ულ იქნა სინოდალური კომისიების ახალ შემადგენლობები და განიხილეს სხვადასხვა საკითხი.

11 ოქტომბერს, წინა სამუშაო სხდომათა ოქმების დამტკიცების შემდგომ მანის მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა წაიკითხა მოხსენება თემაზე - "მონაზონთა კანონიკური მდგომარეობა", რასაც მოჰყვა დისკუსია და დასკვნები.

ისტორიის ფურცელი

დეკანოზი იოსებ ყორჩიშვილი-მიქაძე-ფალავანდიშვილი 1769-1831

დეკანოზი იოსებ გიორგის ძე ყორჩიშვილი, შემდგომში — მიქაძე-ფალავანდიშვილი 1769 წელს ქ. თბილისში (სხვა ვერსიით — 1765 წ.), სამეფო მოხელის ოჯახში დაიბადა. მის წარმომავლობასა და გვარზე მაშინდელ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. 1812 წელს დეკანოზ იოსების შვილები — ნიკოლოზი და მიხეილი თავადობის დამტკიცებას ითხოვდნენ. მაშინ ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანმა საჩივარი შეიტანა — ეგენი თავადები არ არიან, მათი მამა იოსები მოვაჭრე ყონჩიას შვილიაო. უფრო გვიან ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი (პუპლია) აღნიშნავს ერთ თავის მოგონებაში: „იმათი პირველი გვარი გლეხნი იყვნენ და გვართ ყორჩიშვილები ერქოთ. ახლანდელს დროში... ნიკოლოზ თავის ეშმაკურის და გაიძვერა ხასიათით ჯერ აზნაურიშვილი შეიქნა და გვართ მიქაძე (მიქაძე) დაირქო, მასუკან თავადად იწოდა და გვართ ფალავანდოვი შეიქმნა“.

პუპლიას, ადრე კი მისი მამის, განცხადების სისწორეს ადასტურებს ორი საბუთი: ერეკლეს დროის საბუთი 1794 წლის დეკემბრისა, რომელშიაც იხსენიება „სიონის მღვდელი იოსებ ყორჩიშვილი“ („აქტიები“, II, 1142). მეორე საბუთი უფრო ვრცლად ადასტურებს დეკანოზ იოსების ყორჩიშვილობას. ეს გახლავთ ტორმასოვის განმარტება, თუ რატომ არ აღმოჩნდა სინოდისა და კაბინეტის საქმეებში იმის ცნობა, რომ სინოდის დეკანოზი იოსებ მიქაძე-ფალავანდიშვილი 1804 წელს ხორველობის დროს განუული შრომისათვის დაჯილდოებულ იქმნა ოქროს ძეწკვიანი ჯვრითო: „ამის მიზეზი ისაა, რომ იგი ამ დროს იწოდებოდა არა ფალავანდოვად, არამედ ყორჩიშვილად.

ეს მომდინარეობს საქართველოში რუსეთის მმართველობის გახსნამდე არსებული წესიდან. იოსებ დეკანოზის მამა იყო ყორჩი, პაპა კი — ყორჩიბაში. თანამდებობის აღმნიშვნელი ეს სახელები მაშინ გვარსაც გამოხატავდნენ. საბუთებით ისიც დასტურდება, რომ ყორჩიშვილების გვარი უკუაგდეს და მიქაძის გვარი დაირქვეს (ეს მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ყორჩიშვილი „ეშვილა“ მიქაძეს)“.

1802 წლის 24 მაისს კათალიკოსმა ანტონ II-მ (ბაგრატიონი) განუახლა სიგელი დეკანოზ იოსებს, რომელიც ამ საბუთით ერთდროულად იწოდება მიქაძედ და ფალავანდიშვილად, თანაც განმარტებულია, რომ ამათგან პირველი მემკვიდრეობით მიღებული გვარია, მეორე კი — მამაპაპეული.

როგორც ირკვევა, სიყრმის ასაკში დაობლებული იოსები სიონის ტაძრის დეკანოზმა (ზოგიერთი საბუთით — პროტოპრესვიტერმა) ნიკოლოზ მიქაძემ იშვილა, თავისი გვარი მისცა და მაშინდელ კვალობაზე შესაფერისი აღზრდა-განათლებაც მიაღებინა, ხოლო დეკანოზ ნიკოლოზის ძმამ, მღვდელმა ზაქარიამ (შემდგომში — ნეკრესელი მიტროპოლიტი ამბროსი) თავისი ერთადერთი ასული თინათინი ცოლად შერთო იოსებს. პლატონ იოსელიანი თავის წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ წერდა: „ამბროსი/ნეკრესელი, ნამღვდელავი, მოკვდა თფილისს 1799 წელსა (აქ ისტორიკოსი ცდება, ამბროსი გარდაიცვალა 1815 წელს — გ.მ.). ქალი მისი თინათინ იყო დედა ნ. ი. ფალავანდოვისა ლუბერნატორად ყოფილისა 1837 წელსა. ესე ამბროსი იყო უკანასკნელ ეპისკოპოსი ნეკრესისა, ლეკთაგან გაოხრებულისა“.

იოსებ და თინათინ მიქაძე-ფალავანდიშვილებს ჰყავდათ ოთხი ვაჟი: მიხეილი (გარდ. 1821 წ., დაკრძალულია მამა დავითზე), ნიკოლოზი (1790-1855), ზებედე და იასე (1803-1857) და ერთიც ქალი (გათხოვილი სარაჯიშვილზე). მღვდელი იოსები თავისი შვილებით 1795 წელს ტყვედ წაიყვანა ირანის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა თბილისის ალების დროს.

თავისი ოჯახის სამშობლოში „კეთილდღეობით“ დაბრუნებისათვის, დეკანოზ იოსების მეუღლეს თინათინს შილდის ღმრთისმშობლის ტაძრისათვის შეუწირავს 1791 წელს თბილისის სტამბაში დაბეჭდილი სახარება და ტრაპეზზე დასასვენებელი ხის ჯვარი. სახარებას აქვს შემდეგი მინაწერი: „ქ. ოდეს ღვთის მსჯავრითა, სამართლად, ცოდვათა ჩვენთათვის მხილებითა, ქალაქი ტფილისი ყოვლითურთ იავარ იქმნა და წარვიტყვევნით უსჯულოს ალა მახმად ხანისაგან, მაშინ ნეკრესთა ღვთისმშობლის მადლითა ღირს ვიქმენ თაყვანისცემად შილდას ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა ეკლესიისა. და შევსწირე წმინდა ესე სახარება მიქაძემ, ნეკრესელის ამვროსის ასულმან თინათინ და ამის პირველ შევსწირე წმიდას ტრაპეზზედ დასასვენებელი ჯვარი, წმინდა ხისა, ბერძნული, მოჭედილი ვერცხლ-ოქროსფერი, ვერ მოოჭვილითა. საოხად სულისა ჩემისა და ძეთა ჩემთა აღსაზრდელად — მიხაილისა და ნიკოლოზისა და გამოხსნად ძისა ჩემისა, ზებედეა, უსჯულოთა მათ ხელთაგან. ფებერვალს 28, ქორონიკონს უპდ, 1796 წ.“. შემდეგში, მართლაც, დეკანოზი იოსები თავისი ორი ვაჟით - მიხეილითა და ნიკოლოზით - დაბრუნებულა სამშობლოში, ზებედე კი ტყვეობაში დაკარგულა.

დეკანოზმა იოსებმა იასე, თავისი ნაბოლარა ვაჟი, 1803 წელს მოანათვლინა 17 წლის ალექსანდრე ჭავჭავაძეს. ეს იასე ფალავანდიშვილი გახლდათ 1832 წლის შეთქმულების გამცემი.

თავად იოსების ბიოგრაფიული მონაცემები ასე გამოიყურება. XVIII ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში კათოლიკოსმა ანტონ II-მ (ბაგრატიონი) იგი დიაკვნად აკურთხა და მალევე პროტოდიაკვნის წოდება მიანიჭა. 1794 წელს მღვდლად დაასხეს ხელი და სიონის საკათედრო ტაძრის კრებულში დაინიშნა. 1802 წლის 23 მაისს კათოლიკოსმა ანტონ II-ემ დეკანოზის წოდება მიანიჭა და ენქერით დააჯილდოვა. სწორედ ამ დაჯილდოების მეორე დღეს განუახლა ზევით ნახსენები სიგელი. 1804 წელს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1810 წლის 30 მარტს დაევალა თბილისის მთაწმინდის მამა დავითის ყოფილი მონასტრის მართვა-გამგეობა. 1810 წლის 3 მაისს საქართველოს ეკლესიის სასულიერო დიკასტერიის წევრად და პირველ მთავარბუცესად დაინიშნა. 1810 წლის 13 მაისს



სიონის საკათედრო ტაძარი

საგვერდულით დაჯილდოვდა. 1810 წლის 10 სექტემბერს დედა ეკლესიაში ერთგული და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის აღმასებით შემკული გამშვენებული ჯვარი უბოძეს. 1811 წლის 14 ივნისს წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. იგი ასევე დაჯილდოებული იყო 1812 წელს, რუსეთის დიდი სამამულო ომის დროს გამარჯვების ნიშნად მოჭრილი ბრინჯაოს ჯვრით.

მხატვარი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე თავადი დიმიტრი (დუშიკო) გიორგის ძე ფალავანდიშვილი (1869-1944) დეკანოზ იოსებ ფალავანდიშვილის შესახებ წერდა: „იოსებ ფალავანდოვი ფალავანდიანთ ჩამომავალი რომ ყოფილიყო, „საფალავანდოში“ მონაწილე იქნებოდა; „საფალავანდოში-კი მასა და მის შვილებს ერთი დღიურის ზომისა არც კი სჭერიათ. მასთანავე საერთო ფალავანდიანთ საგვარეულო შტოში შეტანილი იქნებოდნენ.“

იოსებ ფალავანდოვი სასულიერო პირი ყოფილა, როგორც საქმეებიდან სჩანს. ეს პირი მიქაძეების ჩამომავალი იყო, თუ უშვილებია, მათი თანამდებობა მაზედ გადმოსულა, ესე იგი, როგორც მიქაძეების საქმიდანა სჩანს, მიქაძეები ერეკლე მეფის დროს ჯვარის მტვირთველნი ყოფილან და ერთი მათგანი თბილისის სემინარიის რექტორადაც ყოფილა.

1820 წელს ნოემბრის 29 დღესა დეპუტატთა საკრებულომ დაადგინა და შერიცხა მიხეილ ფალავანდოვი და მისი ძმები: ნიკოლოზი და იასე თავად ფალავანდიანთ გვარში. სხვათა შორის, აი რასა ვკითხულობთ: „Грамоты данной въ 1802 году каталикоса патриархомъ царевичемъ антониемъ отцу его иосифу Георгиеву сыну Палавандову. подтверждающее ему сынь перваго протопресвитора и по оному доходы свидетельствующей объ усыновлений его иосифа, съ воли царя и его каталикоса княземъ Микадземъ, отдавшимъ ему все наследство и имение, которое по праву усыновления и принятой имъ его фамилий Микадзе совокупно съ своею

собственною и состоит во владений дома его Палавандова съ того самого времени“.

ამ დადგენილებაში მიქაძე თავადათ იხსენიება; მიქაძეების საქმეებში კი, როგორც ზევით მოვიხსენიე, ჯვარის მტვირთველნი იყვნენ. სწორედ იმ დროს, რა დროსაც მიხეილი ეძიებს თავადობას, ამავე დროს მიქაძეც — მიხეილის მახლობელი, ეძებს თავადობის ხარისხსა. დეპუტატთა საკრებულომ მიქაძეებს თავადობა არ მიანიჭა. ამ მიქაძეებიდან მემკვიდრეები აღარავინ დარჩა, იოსებ ფალავანდოვის მემკვიდრეებიდან მხოლოდ გუბერნატორის ქალი ელისაბედი — მეუღლე კონსტანტინე მუხრანსკისა ეხლახან გარდაიცვალა“.



მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი თავის წერილში „ქართული ეკლესია და სამღვდელოება“ (ერთის თვალის გადავლებით) ასევე ახსენებს სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზს იოსებ ფალავანდიშვილს: „თეოფილაქტეს ჩამოსვლისას სიონის კათედრის დეკანოზად ყოფილა იოსებ ფალავანდიშვილი, რომელსაც შემდეგი ბრძანება მისცა: „ამიერიდან სიონის ტაძარში, კვირა-უქმე და დიდ დღესასწაულების გარდა, ღვთისმსახურება რუსულ ენაზედაც უნდა იქმნეს კვირაში სამჯერ, რომელსაც შეასრულებენ ჩემთან ჩამოყოლილნი სამღვდელონი, სახელდობრ: სამშაბათს, პარასკევს და შაბათს, დანარჩენს სამს დღეს ქართულად ქართველმა სამღვდელოებამ“.

1813 წლის 13 აგვისტოს დეკანოზი იოსები საქართველოს პირველი ეგზარქოს ვარლამის (ერისთავი) მიერ შექმნილ საეგზარქოსო დიკასტერიის საეკლესიო მმართველობაში შეიყვანეს. 1815 წლიდან დეკანოზი იოსები უკვე ახლად შექმნილი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრია. 1818 წელს აღ-

მოსავლეთ საქართველოში საეკლესიო მტატების დაწესების შემდეგ, სასულიერო პირებს დაენიშნათ ოფიციალური ხელიფასები ხაზინიდან. დეკანოზ იოსების ხელფასი 120 მანეთით განისაზღვრა. 1826 წლის 18 აპრილს მამა იოსებს ეკლესიაში ერთგული და თავდადებული სამსახურის გამო იასამნისფერი კამილავეკით დაჯილდოვდა.

1830 წლის 28 ივნისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, დეკანოზი დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი კანტორას ატყობინებს, რომ იმავე კანტორის წევრი და სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იოსებ მიქაძე-ფალავანდიშვილი იმყოფება ავად და მასზედ დაკისრებული მოვალეობას ველარ ასრულებსო.

დეკანოზი იოსები 1831 წლის 14 მარტს გარდაიცვალა. მისი ცხედარი სიონის საპატრიარქო ტაძრის ეზოში დაკრძალეს. მის საფლავზე იყო წარწერა: „დეკანოზი იოსები, ივერიის თავადთაგანი ფალავანდოვი“.

წყარო: ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 487, ანაწერი 1, საქმე №65; ფ. 488, ანაწერი 1, საქმე №2698; ფ. 489, ანაწერი 1, საქმე №178; საქმე №1962; საქმე №2816; ლიტერატურა: გაზეთი „საქართველო“ 1917 წ. №52, გვ. 4; ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1917 წ. №9, გვ. 5-7; იოსელიანი პლ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ქ. თბილისი, 1978 წ., გვ. 252; ბერძნული მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“. ქ. თბილისი, 1980 წ., ტ. II, გვ. 190-191; „ძველნაბეჭდი ქართული გამოცემები“ II ტომი, ქ. თბილისი 2010 წ., გვ. 270.

მომზადა მღვდელმა გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპატრიარქოსო კალენდრის მონასტრის ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავინებან ვინსაღაც ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54 სარედაქციო კოლეჯია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შილაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერო: ელასი ჯიბლაძე; გაერცვლება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცვლება ზაზა უგულავა 595343056 დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

ინგუშმა ახალგაზრდებმა ქართული მართლმადიდებლური მონასტრის ეზო გაამწვანეს

22 ოქტომბერს, ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის ინგუშური კულტურის ცენტრის (ხელმძღვანელი ქ-ნი მარიამ ბეჭიტაშვილი) ინიციატივით გარემოსდაცვითი ღონისძიება - „დარგე ხე ინგუშეთის სახელით“ გაიმართა. ამ დღეს ინგუშმა ახალგაზრდებმა ქართველ მეგობრებთან ერთად თბილისში, გლდანის რაიონში, ინგუშეთის ქუჩაზე ქართველი და ინგუში ხალხების მეგობრობის ნიშნად სხვადასხვა სახეობის ხეები დარგეს (მათ შორის ინგუშეთიდან საქართველოში ჩამოტანილი ხეხილის ნერგებიც). ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც.

აქციის ფარგლებში მუსლიმმა ინგუშმა ახალგაზრდებმა ხეები დარგეს ინგუშეთის ქუჩას მიმდებარედ მშენებარე წმ. კირიონ კათალიკოსის მამათა მონასტრის ეზოშიც (წინამძღვარი - არქიმანდრიტი ისააკი (ფირცხალავა), რაც მართლმადიდებელი ქართველებისა და მუსლიმი ინგუშების ძმობისა და ტოლერანტობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. ორი ხალხის მეგობრობის ნიშნად ინგუშეთიდან ჩამოტანილი ნერგი მონასტრის ეზოში ახალგაზრდებთან ერთად დარგო მამა ისააკმაც. იგი



შეხვდა და ესაუბრა თბილისში მცხოვრებ ინგუშებსა და ცენტრის წარმომადგენლებს. არქიმანდრიტმა ისააკმა მადლობა გადაუხადა ინგუშებს ამ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის და ინგუშებისა და ქართველების ძმურ და მეგობრულ ურთიერთობაზე, ისტორიულ მეგობრობაზე გაამახვილა ყურადღება. თავის მხრივ მუსლიმმა ინგუშმა ახალგაზრდებმაც უღრმესი მადლობა გადაუხადეს მამა ისააკს და მასთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

სერგო კერესელიძე

ისტორიის ფურცელი

პროტოპრესვიტერი ანტონ თოთიბაძე

1865-1938

I ნაწილი

პროტოპრესვიტერი ანტონ მაქსიმეს ძე თოთიბაძე 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში, ოზურგეთის მაზრის სოფ. ექადიაში მღვდლის ოჯახში დაიბადა.

მამა ანტონის წინაპარი გახლდათ XIX ს-ის I ნახევარში შემოქმედის მონასტერში მოღვაწე ცნობილი მგალობელი და სასულიერო მოღვაწე, მღვდ.

გიორგი დუმბაძე, რომელიც მას პაპად, დედის ბიძად ერგებოდა.

პაპა — მღვდელი გიორგი თოთიბაძე — 1783 წელს გურიის სამთავროში სახაზინო ყმის ოჯახში დაიბადა. ეკუთნოდა სასულიერო წოდებას. ქართულ ენაზე საღმრთო ისტორია და საეკლესიო ტი-

ბიკონი მელექედურის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მღვდელ-მონაზონ გერმანესთან (ჯაყელთან) ისწავლა. 1799 წელს ჯუმათელმა მიტროპოლიტმა მაქსიმემ (ნიჟარაძე) დიაკვნად აკურთხა. 1809 წლის აპრილში მანვე მღვდლად დაასხა ხელი და ექადიის წმ. გიორგის სახ. ტაძარში განაწესა. მღვდელი გიორგი 1844 წლის 22 აპრილს „მჭვალით“ გარდაიცვალა. დაკრძალეს 25 აპრილს ექადიის ტაძრის ეზოში. ჰყავდა შვილები: **იოანე** (დაბ. 1810 წ.); **ანდრია** (დაბ. 1814 წ.); **მღვდელი მაქსიმე** (1821-1873 წწ.).

მამა — მღვდელი მაქსიმე გიორგის ძე თოთიბაძე — 1821 წელს დაიბადა. სასულიერო განათლება შემოქმედის მონასტერში, მღვდელ გიორგი დუმბაძესთან მიიღო. XIX ს-ის 50-იან წლებში გურიის ეპისკოპოსმა იოანემ (იოსელიანი) დიაკვნად აკურთხა. XIX ს-ის 60-იან წლებში გურიის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ტუსკია) მღვდლად დაასხა ხელი და ოზურგეთის წმ. მარინეს სახ. საკათედრო ტაძრის კრებულში განაწესა. სამღვდელმთავრო კრებულში არქიდიაკვნის არყოლის გამო, ბოლო წლებში ასრულებდა მის მოვალეობას. მღვდელი მაქსიმე 1873 წლის 9 იანვარს გარდაიცვალა.

ანტონ თოთიბაძემ 1887 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1887 წლის 4 სექტემბერს თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაინიშნა. 1888 წლის 28 აგვისტოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 4 სექტემბერს მღვდლად დაასხა ხელი და კუკიის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მეორე მღვდლად დაინიშნა.

1888 წლის 27 ნოემბერს კუკიის ტაძრის წინამძღვარმა, მღვდელმა ნ. მაჭარაშვილმა მამა ანტონთან ერთად საკვირაო წირვის შემდეგ მოიწვია სამრევლო კრება, სადაც განიხილეს სამრევლო სამზრუნველოს დაარსების საკითხი, რომელიც გაჭირვებულ და ღატაკ მრევლს გაუმართავდა ხელს. წირვაზე გალობდა ქართული გუნდი ნესტორ კონტრიძის (შემდგომში — ლიხაურის ტაძრის წინამძღვარი) ლოტბარობით. წირვის შემდეგ წინამძღვარმა მრევლს ამ სამზრუნველოს მნიშვნელობა და სარგებლობა განუმარტა. შეადგინეს წესდება, აირჩიეს მისი წევრები. თავმჯდომარედ დასახელდა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ხოლო საქმის მწარმოებლად — მღვდელი ანტონი. ოქმი დასამტკიცებლად წარუდგინეს ეგზარქოს პალადის (რაევი), რომელმაც მოიწონა და დაამტკიცა ეს კეთილშობილური წამოწყება.



ანტონ თოთიბაძე მუშლასთან ერთად

1889-1910 წლებში მღვდელი ანტონი იყო აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ხაზინის სარევიზიო კომიტეტის წევრი. 1889 წლის 1 ოქტომბერს ქაშვეთის წმ. გიორგის სახ. ტაძრის მეორე მღვდლად გადაიყვანეს. 1889 წლის 20 სექტემბერს ხელახლა გახსნილ მინისმზომელთა სასწავლებელში საღვთო სჯულის სწავლება დაეწყო. 1889 წელს თბილისის ეპარქიალური სანთლის ქარხნის საკონტროლო კომისიის წევრად აირჩიეს. 1890 წლის 20 მაისს საგვერდულით დაჯილდოვდა. 1891 წლის 13 მარტს სიონის ღმრთისმშობლის სახ. საკათედრო ტაძრის კრებულში დაინიშნა. 1891 წლის 1 მაისიდან 1893 წლის ბოლომდე თბილისის ეპარქიალური სანთლის ქარხნის ხაზინადარია. 1892 წლის 15 ივნისს სიღნაღის, თელავისა და ცხინვალის სანთლის საწყობების რევიზია დაეწყო. 1892 წლის 22 ივნისს იასამნისფერი სკუფია უბოძეს. 1894 წლის 3 იანვრიდან 1905 წლის მარტამდე იყო თბილისის ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის მმართველი საბჭოს წევრი. 1893 წლის 18 დეკემბრიდან 1896 წლის 7 ოქტომბრამდე ამავე საბჭოს საქმის მწარმოებელია. 1894 წლის 7 იანვრიდან 1899 წლის ბოლომდე კვლავ იყო არჩეული თბილისის ეპარქიალური სანთლის ქარხნის საკონტროლო კომისიის წევრად. 1895 წლის

15 მარტს ქართლ-კახეთის ეპარქიის ტაძრების შემოსავალ-გასავლის წიგნების შემმონმებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1895 წლის 6 მაისს იასამინისფერი კამილაჟკა ეწყალობა. 1895 წლიდან არის რუსეთის საიმპერატორო პალესტინის საზოგადოების თბილისის განყოფილების წარმომადგენელი. 1896 წლის 10 დეკემბერს სიონის საკათედრო ტაძრის კანდელაკად დაადგინეს. 1896 წლის დეკემბერში დეკანოზი ანტონი თბილისის ა. ტერ-აკოფობის პანსიონში პედაგოგად მიიწვიეს. აი რას წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ამის თაობაზე: „როგორც შევიტყუეთ, ბ-ნ ა. ტერ-აკოფოვის პანსიონში ქართული ენის მასწავლებლად მიუწვევიათ მღვდელი ანტონ თოთიბაძე. ეს გარემოება მეტად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც სხვა პანსიონებში, სადაც ქართველ ყმაწვილებს აბარებენ, ქართველს ენას სრულებით არ ასწავლიან, და თუ შინ რამე უსწავლიათ ქართული, ისიც ავინწყდებათ“.

1897 წელს მღვდელი ანტონი თბილისის ტაძრების სიძველეთსაცავის კომიტეტის წევრად აირჩიეს. 1897 წლის 4 ნოემბერს დაინიშნა თბილისის ღარიბ სასულიერო პირთა სამზრუნველოს შემოსავალ-გასავლის სარევიზიო კომიტეტის წევრად. 1898 წლიდან თბილისის მაზრის I სამთავარხუცესო ოლქის საბჭოს წევრია. იმავე წლიდან საეკლესიო მუზეუმის მმართველობის წევრია.

1898 წლის მაისში გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე) გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გადაიყვანეს. ამასთან დაკავშირებით სიონის საკათედრო ტაძარში ჩატარდა გამოსამშვიდობებელი წირვა, სადაც მღვდელმა ანტონმა ქალაქის სამღვდელოების სახელით სიტყვით მიმართა მხცოვან მღვდელმთავარს (ქადაგება წარმოთქვა რუსულად. რედაქციამ კი გაზეთში ქართული თარგმანი გამოაქვეყნა).

1899 წლის 27 სექტემბერს მღვდელ ანტონს ეპარქიებიდან რამდენიმე დღით თბილისში ჩამოსული სამღვდელოების მეთვალყურეობა დაევალა. 1899 წლის 19 ნოემბერს თბილისის სანთლის ქარხანაში პატიოსანი და ნაყოფიერი სამსახურისათვის თბილისის სამღვდელოებამ მადლობა გამოუცხადა. 1900 წლის 6 მაისს სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო. 1900 წელს ქალაქის სამღვდელოებამ გადაწყვიტა ქართველ მოძღვართა ქადაგებების კრებულის მომზადება მათი გამოცემის მიზნით. ამ ყველაფრის მომზადება და მეთვალყურეობა სამ მოძღვარს: ნესტორ მაჭარაშვილს, კალისტ-

რატე ცინცაძესა და ანტონ თოთიბაძეს დაევალა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მათ გაზეთ „ივერიაში“ მოკლე განცხადება მოათავსეს: „მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ მცირე წერილს თქვენს პატივცემულს გაზეთში ადგილი დაუთმოთ. თანახმად ქ. ტფილისის სამღვდელოების დავალებისა, ჩვენ შეუდექით ქართული ქადაგებების კრებულის გამოცემას, რაზედაც უკვე მივიღეთ სრული თანხმობა და კურთხევა მისი მალაყოვლადუსამღვდელოესობის სრულიად საქართველოს ექსარხოსისაგან. ამ ყამად ამ კრებულში განვიზრახეთ მოვათავსოთ ის ქადაგება-მოძღვრებანი და სიტყვანი, რომელნიც სხვადასხვა დროს ქართულს ყურნალ-გაზეთებში დაბეჭდილან. ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა ავტორებს, რომელთაც-კი ზემორე მოხსენებულს ყურნალ-გაზეთებში დაუბეჭდიათ ქადაგებანი, თუ არ არიან თანახმანი ჩვენ მიერ განზრახულს კრებულში გადავბეჭდოთ, წერილობით გვაუწყონ დღეიდგან ერთის თვის განმავლობაში“.

1901 წლის 1 სექტემბრიდან 1915 წლამდე დეკანოზი ანტონი იყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის საღვთო სჯულის პედაგოგი. 1902 წლის 7 ოქტომბრიდან დახურვამდე საქართველოს ეპარქიალური სასწავლო საბჭოს თბილისის განყოფილების წევრია. 1903 წლის 6 მაისს დეკანოზის ნოდება მიენიჭა. 1905 წლის 1 სექტემბრიდან 1909 წლამდე თბილისის მანთაშოვის სავაჭრო სკოლის საღვთო სჯულის პედაგოგად დაადგინეს.

1905 წლის 17 თებერვალს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის და დეკანოზ ანტონ თოთიბაძის შესახებ წერდა: „როგორც ვიცით, ტფილისის ქალების საეპარქიო სასწავლებელში გასულ თვის დასასრულს სწავლა შეწყდა. წინად ამ სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარედ იყო სკოლისავე ინსპექტორი დეკ. გოროდცევი. სწორედ სკოლის დახურვის წინა დღით საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაინიშნა სიონის წინამძღვარი დეკ. მ. ტყემალაძე. მოსალოდნელი იყო, რომ მოსწავლენი დამშვიდდებოდნენ და სკოლა ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა, მით უფრო, რომ ხსენებულ საბჭოს წევრად იყო მღვდ. თოთიბაძეც, მაგრამ სულ სხვა მოხდა: მოსწავლე ბავშვები დაითხოვეს ახალ განკარგულებამდე და მშობლებს გაუგზავნეს. მშობლები ერთობ გულნატკენნი არიან და უკვირთ, რომ საბჭოს თავმჯდომარემ, ე. ი. სკოლის წამდვილმა უფროსმა, და

საბჭოს უძველესმა წევრმა მ. თოთიბაძემ ვერა გაანყეს რა. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ქალაქის სამღვდელთა შეატრიალებს აზრი სთხოვონ ექსარხოსს ახალი კომისიის დანიშვნა ამ საქმის გამოსაძიებლად. საჭიროა აგრეთვე, რომ საბჭოს ზოგმა ქართველმა წევრმა ხმა ამოიღოს და საქმის ნამდვილი გარემოება აღნიშნოს“.

ზუსტად ერთი კვირის თავზე დეკანოზმა ანტონმა იმავე გაზეთის ფურცლებზე უპასუხა ამ წერილს: „... ამ დაუმსახურებელ საყვედურის თავიდან მოსაშორებლად საჭიროდ ვსთვლი ვაუწყოყველა ამ საქმის ვითარების გაგების მსურველს, რომ მე, ჩემდა გაუგებარის მიზეზისა გამო, არ ვყოფილვარ მიწვეული არც ერთს სხდომაზე ხსენებულ საქმის



მღვდელი ანტონ თოთიბაძე

გამოსარკვევად. დავესწარ მხოლოდ პირველ საზოგადო (საბჭოს წევრების, მასწავლებლების და აღმზრდელების) კრებას, რომლის გადაწყვეტილება ჟურნალშიაც არ შეუტანიათ! მ. თავმჯდომარემ არამც თუ საჭიროდ არ დაინახა საბჭოს სხდომაზე ჩემი მიწვევა, ჩემი შეკითხვა, ჩემთან თათბირი და ჩემი აზრის გაგება ამ საყურადღებო ამბის შესახებ, არამედ, როცა შემთხვევით შევედი საბჭოს დარბაზში, სადაც თურმე სხდომა დაწყებულიყო, მან შეაჩერა ბჭობა და მით იძულებული მყო დამეტოვებინა კრების ოთახი. ამნაირმა საქციელმა მ. თავმჯდომარისამ მეტად გამაკვირვა, მით უმეტეს, რომ აგერ მეთოთხმეტე წელიწადია საბჭოს წევრად ვარ ამ სასწავლებელში და იმის ცხოვრების ავკარგიანობა სხვებზედ ნაკლებად არც მე ვიცი და ამოდენა ხნის განმავლობაში არც ერთს თავმჯდომარეს ჩემგან განზრახ ფარულად არცერთი საკითხი არ შეუტანია საბჭოში გადასაწყვეტად. ახალი თავმჯდომარე-კი, სწორედ 24 საათით ხსენებულ ამბის მოხდენის წინ დანიშნული ამ თანამდებობაზე, იქმნა ჩემგან, ვითარცა მაცდურისაგან, ალბათ, სხვა ანგარიშით და იქნებ სხვისის რჩევითაც. ყოველივე ამის გამო მ. თავმჯდომარეს მეორე დღესვე გამოუუცხადე პირადად საყვედური და დროებით დავანებე თავი

სამსახურს ხსენებულ სასწავლებელში. ზემოხსენებულიდან ცხადად სჩანს, რომ სწავლის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად შრომას მე მოკლებული ვიყავი“. იმავე წლის 4 მარტს ხსენებულ გაზეთში დეკანოზმა მარკოზ ტყემალაძემაც გააკეთა განცხადება და განმარტა, რომ დეკანოზი ანტონი არ იყო იმ კომისიის წევრი, რომელიც ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოცკი) დანიშნა საქმის გასარკვევად და ამიტომაც ჩატარებულ სხდომებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული სასწავლებლის დახურვას, ესეც სიცრუე აღმოჩნდა, იგი დროებით, ყველიერისა და დიდ მარხვის პირველ კვირას დაიკეტა, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონოდათ ტაძარში დასწრებოდნენ მსახურებას და ზიარებულებს დასწრებოდნენ მარხვის დაწყების გამო. როგორც დეკანოზ ანტონის ზევით მოყვანილ წერილში იყო აღნიშნული, მან თავი დაანება სასწავლებელში მუშაობას. ეს ცნობა დაადასტურა გაზეთმა „ივერიამაც“ 1905 წლის 22 მარტის ნომერში. 1905 წლის ნოემბერში დეკანოზ ანტონის ინიციატივით ქ. თბილისის სამღვდელთა შეაგროვა ფული (119 მანეთი და 50 კაპიკი) და გადაურიცხა გურიის დაზარალებულ მოსახლეობას.

1906 წლის 6 მაისს დეკანოზი ანტონი წმ. ანას II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1906 წლის 15 ივნისს სასწავლო დარგში თერთმეტწლიანი ნაყოფიერი სამსახურისთვის თბილისის ოლქის სამღვდელთა მადლობა გამოუცხადა. 1906 წლის 17 ივნისიდან 1909 წლის 30 დეკემბრამდე იყო თბილისის ეპარქიალური ქალთა სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარე. ჰქონდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის სახ. მეფობის სამახსოვრო ვერცხლის მედალი ალექსანდროვის ლენტი. 1910 წლის 6 მაისს წმ. ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1912 წელს თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებული საძმოს საბჭოს წევრად აირჩიეს. იმავე წელს იყო თბილისის ქალთა V გიმნაზიის პედაგოგი. 1914 წლის 6 მაისს ენქერი უბოძეს.



დეკანოზი ანტონ თოთიბაძე ოჯახით

წყარო: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 489, ანაწერი 1, საქმე №6731; საქმე №7127; საქმე №48566; საქმე №53055.

ლიტერატურა: Журнал „Духовный вестник Грузинского Экзархата“ 1891 წ. №17; 1895 წ. №11; №18; 1897 წ. №2; 1900 წ. №11; 1903 წ. №11; გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897 წ. №80, გვ. 1-2; 1898 წ. №538, გვ. 3; 1905 წ. №2746, გვ. 1-2; №2752, გვ. 3; №2760, გვ. 4; გაზეთი „ივერია“ 1888 წ. №261, გვ. 2-3; 1898 წ. №103, გვ. 1-2; 1900 წ. №74, გვ. 2-3; 1905 წ. №34, გვ. 3; №207, გვ. 3-4; Журнал „Вестник

Грузинского Экзархата“ 1910 წ. №6; 1914 წ. №10; 1915 წ. №18; ცინცაძე კ. „ქვაშეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, ქ. თბილისი 1994 წ. გვ. 83-84; გ. მაჩურიშვილი, ლ. ტოგონიძე „XVIII-XX საუკუნეებში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა“, ქ. თბილისი, 2012 წ. გვ. 467-472.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მომზადა მღვდელმა გიორგი მაჩურიშვილმა

© **საავტორო უფლება დაცულია**

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საპატრიარქოს ეპისკოპოსო-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს განვიხილოთ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო
საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22.
ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.

რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com.

მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მილაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ელასი ჯიბლაძე; გაგრძელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაგრძელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი



ისტორიის ფურცელი

პროტოპრესვიტერი ანტონ თოთიბაძე

1865-1938

II ნაწილი

1914 წლის 29 დეკემბრიდან დეკანოზი ანტონი პირველ მსოფლიო ომის მსვლელობის დროს ფრონტზე კაპელანად წავიდა. 1915 წლის 13 აგვისტოს წმ. ვლადიმერის III ხარისხის ორდენი მიიღო. 1916 წლის 12 თებერვალს დეკანოზ ანტონს ისევ სიონის საკათედრო ტაძარში ვხვდავთ. ეს ჩანს გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებიდან, სადაც ვკითხულობთ: „საეკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოებისა ამ დღეებში დაათვალიერეს თბილისის ქალთა ინსტიტუტის უფროს კლასების მოწაფე ქალებმა, ინსტიტუტის უფროსის ქ-ნ ნ. დ. რეისსაგის და ქართული ენის მასწავლებლის შ. ქარუმიძის ხელმძღვანელობით. საეკლესიო მუზეუმში მოწაფე ქალები მუზეუმის გამგის ბ-ნ მ. გ. ჯანაშვილის ხელმძღვანელობით გაეცნენ ძველ სიგელ გუჯრებს, მხატვრულ ნაწარმოებს და განსაკუთრებით ხელსაქმეებს. შემდეგ დაათვალიერეს სიონის ტაძრის სიძველე-სინამდენი, სადაც ახსნა-განმარტებას აძლევდა სიონის კანდელაკი დეკ. ა. თოთიბაძე. ბ. ჯანაშვილმა ინსტიტუტის უფროსს და მოწაფე ქალებს საჩუქრად გადასცა თავისი საიუბილეო გამოცემა წიგნი („К материалам по истории и древностям Грузии и России“)“.

1918 წლის 24 თებერვალს დეკანოზი ანტონი საქართველოში იმ პერიოდში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქართული სამხედრო შენაერთების კაპელანად დაინიშნა და ალექსანდროვის ბაღში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახ. სამხედრო ტაძრის კრებულში განაწესეს. 1918 წლის 28 მაისს მოხდა თბილისის სამღვდელოების და სამრევლო საბჭოების წევრთა კრება ჟურნალ „ახალი სიტყვისათვის“ წევრთა დახმარების აღმოსაჩენად. კრებაზე საჭიროდ და სასარგებლოდ სცნეს ამ ჟურნალის არსებობა და აირჩიეს კომისია საჭირო თანხების მოსაძიებლად. აღნიშნული კომისიის ერთ-ერთი წევრი იყო დეკანოზი ანტონ თოთიბაძე. 1919 წელს თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. მთავარი სამხედრო ტაძრის წინამძღვრად გადაიყვანეს და ქართული ლაშქრის უფროს მღვდლად დაადგინეს. 1921 წელს კომუნისტების შემოსვლის შემდეგ, სამხედრო ტაძარი დაიხურა და ვერის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარს მიენერა, ხოლო დეკანოზი ანტონი მის წინამძღვრად გადაიყვანეს. როგორც მცხეთა-თბილისის ეპარქიის დელეგატი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართ-



დეკანოზი ანტონ თოთიბაძე

ველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის III და IV საეკლესიო კრებაში.

საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ გართულდა ურთიერთობა ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. კომუნისტებმა სამღვდელოებას პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადეს, რასაც მოჰყვა საშინელი ტერორი და რეპრესიები. კომუნისტებმა მიზეზად გამოიყენეს იტალიაში, ქ. გენუაში, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის (ხელაია) მიერ კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმი და აქტიურ შეტევაზე გადავიდნენ. 1923 წლის 12 იანვარს მათ დააპატიმრეს თითქმის მთელი საკათალიკოსო საბჭო, მათ შორის დეკანოზი ანტონი. სასამართლო პროცესი დაიწყო 1923 წლის 10 მარტს ნაძალადევის მუშათა თეატრში. სამღვდელოებას შემდეგი ბრლადებები წაუყენეს: მოწოდების შედგენა გენუის კონფერენციისადმი, რომ ეს მოწოდება შეიცავდა ცრუ ცნობებს საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. რომ სამღვდელოებამ იცოდა მენშევიკური

მთავრობის გაქცევის დროს გატაცებული საეკლესიო განძეულობის დამალვის შესახებ და არ აუწყა თავის დროზე ეს ფაქტი მთავრობას. აგრეთვე არ დამორჩილება მთავრობის დადგენილებებისა და ის, რომ საკათალიკოსო საბჭომ არ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი საუწყებათაშორისო კომისიაში საეკლესიო განძეულობის ჩასაბარებლად.

მთელი ეს პერიოდი დატყვევებული სასულიერო პირები ქ. თბილისის 1 გამასწორებელ სახლში იყვნენ დატყვევებულნი. 1923 წლის 27 ნოემბერს პატიმრები, დეკანოზები: თოთიბაძე, მირიანაშვილი, ცინცაძე და ლაზარიშვილი საქართველოს სოციალისტური საბჭოს რესპუბლიკის ბრალმძებელს წერდნენ: „მიმდინარე წლის 12 იანვარს ჩვენ დაგვატუსაღა საგანგებო კომისიამ. რვა თვის კვლევა-ძიებისა და ჩვენის ტანჯვა-წამების შემდეგ, კომისიამ გადმოგვზავნა #1 გამასწორებელ სახლში. ჩვენი საქმე კი გადასცა უზენაეს სასამართლოს ბრალმძებელს. გვეგონა ჩვენი საქმე დროზე განიხილებოდა სასამართლოში და ისიც გამოიტანდა სათანადო განჩინებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ორ თვეზე მეტია, რაც ხსენებული ბრალმძებლის განკარგულებაში ვართ, ორჯერაც თხოვნა მივართვით საქმის დაჩქარებისათვის, მაგრამ ჯერ გამომძიებელსაც კი არ დაუკითხივართ. ამის გამო, მოგმართავთ თქვენ რესპუბლიკაში სამართლის უზენაეს საჭეთმპყრობელს და გთხოვთ უმდაბლესად, ინებოთ განკარგულება, რომ მალე ვიქნეთ დაკითხულ-გასამართლებულნი. ჩვენ სავსებით ვართ დარწმუნებულნი, რომ თუ ჩვენი საქმე ყოველ მხრივ იქნება გამოძიებული და ჩვენ დაკითხულ-გასამართლებულნი, ჩვენ უეჭველად ვიქნებით გამართლებულნი, ვინაიდან ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ ვართ მსხვერპლნი ჩვენივე ძმების (სამიოდე მღვდლის) ჩვენდამი მტრულად განწყობილებისა პირად ანგარიშებისა გამო“.

1923 წლის 5 დეკემბერს, თავის მხრივ, დეკანოზი ანტონი საქართველოს სოციალისტური საბჭოს რესპუბლიკის ბრალმძებელს ცალკე წერილს უგზავნის და თავს დატეხილ გასაჭირზე ამახვილებს ყურადღებას: „ანთებამ, რომელიც ორჯელ მქონდა ტუსალობის დროს, მეტად შეასუსტა ჩემი ფულტვები, მახველებს და დროგამოშვებით სისხლსაც ვატან ნახველს. ვწევარ საავადმყოფოში და არ მაკლია სათანადო მოვლა-წამლობა, მაგრამ უკეთესობა მაინცდამაინც არ მეტყობა. ამჟამად არას მოგახსენებთ ჩემი და ჩემი ამხანაგების უსამართლო ტანჯვა-წამებაზე და არც იმ სამიოდე მღვდელზე, რომელნიც არიან თავნი და თავნი მიზეზნი ჩვენი ტანჯვისა, მხოლოდ მოგმართავთ უმორჩილესად, გამათავისუფლოთ თავდებით

საქმის გარჩევა-გათავებამდის. ამ საშუალებით იქნება დროებით მაინც შევაჩერო რღვევა ჩემი ფიზიკური არსებობისა“.

1924 წელს გაზეთი „კომუნისტი“ ფართოდ აშუქებდა სასამართლო პროცესს, სადაც მოყვანილია დეკანოზ ანტონის ჩვენებაც. ი, რა განაცხადა მან დაკითხვაზე: „მემორანდუმის შესახებ თურმე მასაც მხოლოდ პრესაში წაუკითხავს; განძეულობის წაღების შესახებ არა იცოდა-რა. ამბობს, რომ წინააღმდეგობის განწევა მთავრობისათვის არც მას, არც მის ამხანაგებს არ ნდობიათ. ეკლესიის კომკავშირისათვის გადაცემის განკარგულებას ემორჩილებოდნენ, მაგრამ ეკლესიის დანგრევაში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. დაკითხვიდან ირკვევა, რომ ამას მათგან არც არავინ მოითხოვდა. კომისიას, სადაც მათ წარმომადგენლის წარგზავნაზე უარი განაცხადეს, მხოლოდ ნივთების აღწერა უნდოდა. ლომი და ჩაქური ეკლესიის დასანგრევად კომისიას არ ჰქონია, მაგრამ მათ მაინც შეუძლებლად დაინახეს კომისიაში მუშაობა. ეკლესიის ყველა ნივთები სათანადოდ ჩანერილი წიგნებში არ ყოფილა“.


1924 წლის 19 მარტს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა მსჯავრი და საკათალიკოსო საბჭოს ზოგიერთ წევრს, მათ შორის, კათოლიკოს ამბროსის, პატიმრობა მიუსაჯა, ნაწილი კი გაათავისუფლა. მათ შორის იყო დეკანოზი ანტონი. იგი სისხლის სასამართლის კოდექსის 131-ე მუხლის დაუმტკიცებლობის გამო გამართლდა და გაათავისუფლებულ იქნა.

საპატიმროდან გამოსული დეკანოზი ანტონი მღვდელმსახურებას უწინდებურად ვერის წმ. ნიკოლოზის ტაძარში აგრძელებს. 1925 წლის 19 აგვისტოს არჩეულ იქნა თბილისის ოლქის სამღვდლოებისა და სამრევლოების წარმომადგენელთა კრების წევრად. 1929 წელს მიტრით დაჯილდოვდა. 1933 წელს ხელისუფლებამ ვერის ეკლესია დაანგრია და მის ადგილას ბაღი გააშენა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) დეკანოზი ანტონი ჯერ ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარს მიაწერა, მაგრამ იქაური წინამძღვრის პროტესტის გამო იგი სიონის საპატრიარქო ტაძრის კრებულში გადაიყვანა. 1934 წელს მას პროტოპრესვიტერის ნოდება მიენიჭა.

თუ რა მძიმე ვითარებაში და პირობებში მოუწია მას სიონის ისტორიული ტაძრის წინამძღვრობა, კარგად ჩანს მის მიერ დაწერილ ამ პატარა მოხსენება-ბარათში, რომელიც მან მის უწმინდესობას, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე) გაუგზავნა. იგი გულმოკლული და დამძიმებული აღწერს სიონის საკათედრო ტაძრის უნუგეშო მდგომარეობას, ასევე ამ პატარა წერილში კარგად ჩანს, თუ რა რთული ვითარება იყო საქართვე-

ლოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმჟამინდელ ცხოვრებაში: „სიონის საკრებულო ტაძრისათვის ზრუნვა სავალდებულოა არა მარტო მისი მრევლისათვის, რომელიც მას თითქმის არც კი ჰყავს, არამედ მთელი ტფილისის მორწმუნეთათვის — ყველა ტფილისის მრევლთათვის, ვინაიდან იგი (სიონის ტაძარი) საკათედროა, საპატრიარქოა, სადაც უნდა იყრიდნენ თავს ქალაქის ყველა მრევლის წარმომადგენელი დიდ საეკლესიო და საერო დღესასწაულებზე. ამასთანავე, იგი უძველესი ძეგლია ჩვენის ქრისტიანული კულტურის, იგი, თუ გნებავთ, ისტორიაა საქართველოს და მისი ერისა; ასეთი ისტორიული ძეგლი რომ იყოს ევროპაში ან ამერიკაში, ოქროში იქნებოდა ჩასმული, ან არადა, იქნებოდა იგი გარშემოტყმული და განსაკუთრებული ყურადღებით დაცული ყოველი მისი უბრალო ნაწილები და გამშვენებული თვითონ და მისი ეზო. ეჭვი არაა, რომ ყოველი ეს ქართველ ერს ესმის, მაგრამ თანდაყოლილ დაუდევრობას აქაც იჩენს. დღეს ამ ტაძრის კრებულს არამც თუ არ ძალუძს თავის საშვალეებით გაუნიოს მას პატრონობა და შეუნახოს იგი მომავალ თაობას უცვლელად და უკლებლად, არამედ მას ვერ დაუცვია იგი ეზოში ყომარის მოთამაშე ჭაბუკებისა და ქვებით ფანჯრების მტვრეველ ბავშვებისაგან. სიონის ტაძარს არ ეყოფა ის მცირე უმნიშვნელო შემოსავალი, რომელიც მას შემოსდის შემთხვევითი შემომავალ მორწმუნეთაგან! უნდა იზრუნოს ამისთვის მთელმა მორწმუნე ქართველობამ. სხვა არ იყოს რა, სირცხვილით ვინცებით კრებულის წევრნი, უცხოელ მეცნიერნი და მსწავლულნი მოდიან ჩვენს ქალაქში და, პირველ რიგში, სიონის ტაძარს ათვალეირებენ და ამ ფასდაუდებელ განძს ასე უპატრონოდ ხედავენ. უეჭველია, ყოველივე ამას ჩვენის უკუღმართობით ხსნიან!!! ყოველივე ამის გამო ვბედავ, უწმინდესო მეუფეო, აღძრათ ვის წინაშეც ჯერ არს სამრევლო საბჭოს თანხმობით შუამდგომლობა, რომ სიონის ტაძართან დაარსებულ იქმნას ძმობა-საზოგადოება, რომელმაც უნდა იზრუნოს მუდმივი წყაროს გამონახვა-შენახვისათვის, სიონის ტაძრის დაცვა, მასში საჭირო კრებულის წევრთა მომატებისათვის, სამაგალითო მაგალობელთა გუნდის ყოლა-შენახვისათვის და სხვა. ისიც ყურადსაღებია, რომ ქართული გალობა დედაბოძია ქართული სიმღერისა, უკვე ქრება, თუ დროზე არ დავეხმარებით, რომელსაც ევროპა აქცევდა ყურადღებას“.

1935 წლის 8 იანვარს პროტოპრესვიტერ ანტონს სიონის ტაძრის წინ ყინულზე ფეხი დაუცურდა, ნაიქცა და თედოს ძვალი გაუტყდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც აგრძელებდა მსახურებას



პროტოპრესვიტერი ანტონ თოთიკავა

და 1935 წლის 2 ნოემბერს, როდესაც შტატიდან გათავისუფლდა სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი მარკოზ ტყემალაძე, მის ადგილზე უწმინდესმა კალისტრატემ პროტოპრესვიტერი ანტონი დანიშნა. 1936 წლის 12 თებერვალს პროტოპრესვიტერი ანტონი მცხეთა-თბილისის საეპარქიო კანცელარიას წერდა: „ვთხოვ კანცელარიას, მომცეს მოწმობა იმის შესახებ, რომ მე ავადმყოფობის გამო მოკლებული ვარ მუშაობის უნარს და ამიტომ არ შემიძლია მღვდელმოქმედების შესრულება, ხოლო ძმურ დახმარებას ექიმობისათვის მაძლევენ ჩემი ამხანაგები, წევრნი სიონის ტაძრის კრებულისა, რის შესახებ მე უკვე წარდგენილი მაქვს „ანკეტა“ ფინ-ინსპექტორთან“.

ამასობაში მამა ანტონს ჯანმრთელობა გაურთულდა. მას ვერც ორწლიანმა თედოს ძვლის მკურნალობამ უშველა, რის გამოც 1937 წლის 22 დეკემბერს თავი დაანება სამსახურს. 1938 წლის 1 იანვარს შედგენილ თბილისის ტაძრების სამღვდელოების ჩამონათვალში იგი უშტატო მღვდელმსახურად იხსენიება. პროტოპრესვიტერი ანტონი 1938 წლის 8 მარტს გარდაიცვალა. დასაფლავებულია სიონის ტაძრის გალავანში, სამხრეთ კედელთან.

ჰყავდა მეუღლე — ნატალია ლუკა მღვდლის ასული ბაქრაძე (დაბ. 1869 წ.) და შვილები: კონსტანტინე (დაბ. 1893 წელს, პროფესიით ფიზიკოსი, მისი მეუღლე გახლდათ ელენე სილოვანის ასული ხუნდაძე, დეკანოზ რაჭდენ ხუნდაძის ძმა. მათი შვი-



დეკანოზი ანტონი სტუმრად არმაზში.

მარჯვნივ ზის არმაზის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი მირიანი (გაქაური)

ლი იყო ცნობილი მხატვარი, გრაფიკოსი, სსრკ-ის მხატვართა კავშირის წევრი, სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზეთის ასსრ-ის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ-ის სახალხო მხატვარი გოგი თოთიბაძე, 1928-2010 წწ. მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ეროვნული გალერეაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ტრეტიაკოვის სახ. მუზეუმში და საქართველო-რუსეთის კერძო კოლექციებში); **გიორგი** (დაბ. 1898 წ.); **ელენე** (დაბ. 1900 წ.); **არჩილი** (დაბ. 1903 წ.) და **თამარი** (დაბ. 1905 წ.).

წყარო: უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 516, ანაწერი 1, საქმე №1, ფურც. 674; ფურც. 676; საქართველოს საპატრიარქოს არქივი,

ანაწერი 1, საქმე №1630; საქმე №2175, ფურც. 25; ფურც. 39; პროტოპრესვიტერ ანტონ თოთიბაძის საოჯახო არქივი.

ლიტერატურა: გაზეთი „საქართველო“ 1916 წ. №33, გვ. 3; ყურნალი „ახალი სიტყვა“ 1918 წ. №6, გვ. 8; გაზეთი „კომუნისტი“ 1924 წ. №65-66, გვ. 3-4; „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ყურნალები 1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი“ (გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნ. შიოლაშვილმა და ირ. არაბიძემ) ქ. თბილისი, 2016 წ. გვ. 323-324.

მოამზადა მღვდელმა გიორგი მაჩურიშვილმა

© საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინვაზიზებან ვიხსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გახეთს გაუფრთხილდეთ მასში დაგაქცილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. სახაზინო კოდი — 45 01 56. რედაქტორის მონადგილის ელ.ფოსტა: bokuchavananal@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41



რედაქტორის მონადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), მარიამ ვაგუა, ნინო ვაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩურიშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულალტერი: ვლასი ჯიბლაძე; გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, დეკანოზმა გურამ ჭარულაშვილმა, რომელმაც წმინდა გრიგოლ ფერაძის ღვაწლსა და საგანმანათლებლო სივრცეებში შემეცნებითი საღამოების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ლონისძიებას სამხედრო პირები ესწრებოდნენ.

2023 წლის 15 ნოემბერს, სამუსიკო სემინარი-

აში, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მხარდაჭერითა და კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „იცანის“ ორგანიზებით, წარმოდგენილი იყო რეჟისორ გოგა თავაძის მიერ დადგმული სპექტაკლი: „ამბროსი ხელაია“, რომელშიც მონაწილეობდნენ მსახიობები: ლაშა გრძელიძე, გიორგი ჯიქურიძე, ზურაბ არუსია და ლევან კაციანიშვილი.

უცხოეთის ქრონიკა

მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდის 2023 წლის 16- 17 ნოემბრის სხდომების ოქმი

16-17 ნოემბერს მისი ყოვლადუნმინდესობის თავმჯდომარეობით წმინდა სინოდის გეგმური სხდომები გაიმართა.

1. სინოდალური გადაწყვეტილებით, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა დასში ერთხმად შეირაცხნენ:

ა) მღვდელმონაზონი ათანასე ხამაკიოტისი, კიფისიის, მარუსის, ორიპოსა და მარათონის სამიტროპოლიტოდან და

ბ) არქიმანდრიტი გერვასი პარასკევოპულო, პატრის სამიტროპოლიტოდან.

ორივენი გამორჩეულნი არიან ღირსებითა და ქრისტესმოსახელე ერისადმი მსახურებით. ისინი თავიდანვე წმინდანებად მიიჩნეოდნენ ერის ცნობიერებაში.

2) წმინდა სინოდმა, განიხილა რა ტროადის ეპისკოპოს პეტრეს საკითხი, ერთხმად გადაწყვიტა, რომ დაეკისროს მას განყენების სასჯელი.

3. ეგმენის ეპისკოპოს ირინეოსისა და დორილის ეპისკოპოს დამასკინოსის საკითხთა ვრცლად განხილვის შემდეგ, წმინდა სინოდმა მათ ერთხმად დაადო დროებით მონასტრებში შეზღუდვის სასჯელი - ეგმენის ეპისკოპოსს იუვერნეტუს მონასტერში, ხოლო დორილის ეპისკოპოსს ძაკაროლოს მონასტერში. ორივე მონასტერი მდებარეობს ხანიის რეგიონში.

4. აგრეთვე, მსოფლიო საყდრის არქიმანდრიტებს - პორფირიოს ბიკუვარაკისსა და ნიკიფორე იკოსიდეკას ჩამოერთვათ საპატრიარქო ოფიკიები (თანამდებობები).

დასასრულს, განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები, რომელთა შესახებ გამოტანილ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

წმინდა სინოდის მთავარი სამდივნო

ისტორიის ფურცელი

მღვდელი იოსებ თურქესტანიშვილი 1760-1818

მღვდელი იოსებ თურქესტანიშვილი 1760 წელს ქართლის სამეფოში, აზნაურის ოჯახში დაიბადა. სავარაუდოდ, სასულიერო და საერო საგნები ანჩისხატის ან თელავის ახლად გახსნილ სასულიერო სემინარიაში უნდა მიეღო, რადგან იგი თავიდანვე დაახლოებული იყო სამეფო კართან. ასაკიდან გამომდინარე, მისი ხელდასხმა XVIII ს-ის 80-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

პლატონ იოსელიანი მღვდელ იოსებ თურქესტა-

ნიშვილზე ასეთ ამბავს იხსენებს: „გამეფებულმან გიორგი, მრავლად მწუხარემან ძმათაგან შფოთისათვის, სცნო სიტყვა, თქმული მღვდლისა იოსებ თურქესტანიშვილისაგან საცინელად მეფეზედ: ეს აბაზიც ყალბიაო! — მეფემან მეორეს დღეს დაიბარა მღვდელი, მოიკითხა, გამოჰკითხა ამბავი ქალაქისა და უბრძანა მიუტანოს და მიართოს ოქმი რავდენთამე კომლთა კაცთა, ბოძებულთა წინათ მეფეთაგან, რათა დაამტკიცოს მანცა, ვი-

თარცა ახალმან მეფემან, — ჩვეულებითისა წესითა. მეორესა დღესა მიაართვა ოქმი, აიღო მეფემან და უკუაგდო ცეცხლსა, რომელიცა ენთებოდა ბუხარში და დაუმატა სიტყვა მისივე მღვდლისაგანვე თქმული: ეს აბაზიც ყალბიაო! მრავალნი ბოროტად ანუ უშვერად განმარტებენ მეფისა ესრეთსა მოქმედებასა. საქმე ეს იქმნა სასჯელად მღვდლისა, უშვერად მეფისა მომხსენებელისა. შემდეგ რავდენისამე ჟამისა, მასვე მეფესა შეეწყალა მღვდელი იგი თურქისტანიშვილი ხუმარი და ადრითვე მეფესთან დაახლოებული და უბოძა ახალისა ოქმითა ყმანი და მამულნი ძველსა წერილში მოხსენებულნი. მაშინ მღვდელმან გამხიარულეულმან მოახსენა სიტყვა ფსალმუნისა: „წყალობასა და სამართალსა გაქებდე შენ, უფალო“.



ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII

მღვდელი ესე ღრმად მოხუცი გარდაიცვალა თბილისს, და მარადის კეთილად მომხსენებელი მეფისა აკურთხევდა მეფობასა მისსა და შვილთა მისთა“.

1800 წლის 26 დეკემბერს გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე სარდალ იოანე დავითის ძე ორბელიანის სასახლეში შეიკრიბნენ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა ორმოც კაცამდე. იმსჯელეს და დაადგინეს, რომ მხარი არ დაეჭირათ დავითის გამეფებისთვის და დამორჩილებოდნენ რუსეთს. სხდომაზე ბოლოს მოვიდა სახთლუხუცესი კონსტანტინე იოანეს ძე მუხრანბატონი, რომელსაც თან ახლდა აზნაური რატიშვილი, რომელმაც აუცი სიტყვით მოიხსენია დავით მეფემკვიდრე. ამის გამო შეკრებაზე მყოფმა მღვდელმა იოსებმა დატუქსა რატიშვილი და ამხილა მეფის ძის ცუდად მოხსენიებისათვის.

1811 წლის 6 ნოემბერს ბერძენი ალექსი ანასტასის ძე უჩივის მღვდელ იოსებ თურქესტანიშვილს ნივთების მოპარვას, რომელიც მან მიაბარა თბილისის წმ. ჯვრის მამის იერუსალიმის ტაძარში. ამავე დღეს ფარსადან გირილოვი ოქრომჭედელი უჩიოდა მოძღვარს მეორედ გალახვისათვის. 1811 წლის 13 ნოემბერს სასულიერო დიკასტერიამ მღვდელი იოსები ერთი თვით მღვდლობიდან დააყენა.


1812 წლის 5 თებერვალს თბილისის წმ. ჯვარის მამის ტაძარში მყოფი მღვდელ-მონაზონი პეტრე სა-

ქართველოს ეგზარქოს ვარლამს (ერისთავი) სწერდა: „მონყალეო მწყემსმთავარო, ჩემმა უფალმა, ჯვარის მამამ, თავის ეკლესიაში დამაყენა და მიბრძანა, — ეგ იოსებ მღვდელი აქედამ გავარიდოთო და თუ არ გავიდეს, მაშინ შენ მიდი მიტროპოლიტს მოახსენეო. ახლა ეს მღვდელი არ გადის და მე მაგდებს. წუხელის სალამოზედ დასარეკად მივდიოდი. ერთს რუს საწირავი მიეცა იოსებ მღვდლისათვის. მერე ერთს რუს ეთქვა, რომ ეგ მღვდელი აღარ არის მაგ ეკლესიაშიო. განწესებული ეს ბერი არისო. მოუბრუნდა ეს რუსი და უკან ართმევდა საწირავს. მივიდა და უთხრა იმ რუსს. მე გინირამო. მერე მე მომიბრუნდა და რაცა უშვე-

რად მე იმან გამხადა მთელს ქალაქში, რალა მოგახსენო — ეშმაკობით, კახპობით, ქურდობით და კაცობით. ვითხოვ თქვენი მეუფებისგან, რადგან მე ამ საქმეების მოქმედი ვარ იმ კაცისგან ჭეშმარიტი შეიტყუეთ და კანონისამებრ დამსაჯეთ, რომ ჩემი სული ღმერთსა არ დაეკარგოს. თუ არა დამეშავებინოს ამ კაცისათვის და გვევდრებით ამ ტანჯვისაგან გამომიხსენით. ასრე მეუბნება, რომ ცუდით მოგჭრი თავსაო, რომ შენც ვერ შეიტყოვო. როცა დაითრობა, მაშინ აღარ გაეგება რა, იქნება რომ აღასრულოს, გვევდრებით, რომ სამართალი მალირსოთ“. ეგზარქოსმა ვარლამმა შემდეგი განაჩინა: „რადგან არქიმანდრიტის თხოვნით ადრევე უნდა გამოსულიყო ეს მღვდელი, იოსებ თურქესტანიშვილი, იმ საყდრიდამ, მაგრამ პატივისცემულად მოხუცებულობისა მისისა, მოსვლამდე არქიმანდრიტის ბენედიქტისა ისევ დარჩენილიყო, მაგრამ ამისთანა უწესო შფოთი რომ აღარ ექმნა ვისთვისმე, ამისთვის ებრძანოს თბილისის ბლალოჩინს გაბრიელს, რომ გამოიყვანოს მღვდელი იოსებ თურქესტანოვი ჯვარის საყდრიდამ, რომ არ ქონდეს არა შეხება ეკლესიისა მის საქმეზედა“.

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, მღვდელი იოსები დაითხოვეს თბილისის წმ. ჯვრის მამის სახ. ტაძრიდან.

1813 წლის 6 სექტემბერს მღვდელი იოსები საქართველოს დიკასტერიაში არსებულ სასულიერო სასამართლოს წერდა: „ერთი სომხის ბიჭი მამანათვლინა იოანე ბატონიშვილმა, ცოლი შერთო



თბილისის იერუსალიმის წმ. ჯვრის ამაღლების ეკლესია



საქართველოს ეპისკოპოსი
ვარლამი (ერისთავი)

და მე დამიმონაფა. იქნება ოცდაათი წელიწადი. ჩემი სამწყსონი იყვენენ. შარშან კაცი სქელი ბე-
ყანა მიიცივალა. იმისმა ცოლმა არაფერი სამარხი
არა მომცა რა. შეძლებაცა აქვს და არას მაძლევს.
ვითხოვ, თუკი სიტყვა აქვს, მოგახსენოსთ და თუ
არა, ჩემი გამოძირთოთ". იმავე წლის 19 სექტემ-
ბერს დიკასტერიის სასამართლომ განიხილა აღნიშ-
ნული საკითხი და განაჩინა: „ერწმუნოს ვითარება
ესე ტფილისის ბლალოჩინს, რათა მან გამოიძიოს
ეს საქმე და მისცეს მთხოველს კმა ყოფა“.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მღვდელი
იოსები თბილისის კვირაცხოვლის (წმ. თომა გვერ-
დის განხილვის) სახ. ტაძარში მსახურობდა. 1813
წლის 8 დეკემბერს მან საჩივრით მიმართა საქარ-
თველოს ეგზარქოს ვარლამს (ერისთავი): „რადგან
დავიდგინე თქვენის ბრძანებით კვირაცხოვლის
ეკლესიაში და უნდა აღმესრულებინა ეკლესიური
ვალდებულება და აღვასრულებდიცა დღევანდ-
ლამდის, თითონ თქვენ უწყით, დღეს მაიძულებს
ლოშპიტლის დეკანოზი პავლე (საუბარია დეკანოზ
პავლე ფილიპეს ძე არჯევანიძე-მაკარიძეზე — გ.მ.)
იქიდამ გამოსვლასა და არც შეიძლება იმ ეკლესი-
აში ორის მღვდლის ცხოვრება. კვირასა და დღე-
სასწაულს ის სწირავს და მე, სამწყსონის პატრონ-

მა, რა ვქმნა, ის თავის ადგილს არ სჯერდება, რაც
არის განწესებული და მე აქ მეშურება. გთხოვ
უმდაბლესად, თქვენ განაგოთ ჩვენი საქმე და
რადგან სამწყსოს პატრონი გახლავარ, უეკლე-
სიოდ ნუ დამაგდებთ“. იმავე წლის 22 დეკემბერს
ეგზარქოსმა ვარლამმა ბრძანა: „მონოდებულ იქ-
მნას დეკანოზი პავლე და განეცხადოს მას, რათა
არ დააბრკოლოს მღვდელს თურქესტანოვს სამღ-
ვთო წირვის აღსრულება“.

მღვდელი იოსები 1818 წლის 26 დეკემბერს გარ-
დაიცვალა. სიკვდილის წინ აღსარება ათქმევინა და
აზიარა გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მამა-
თა მონასტრის წინამძღვრის მოადგილემ, არქიმან-
დრიტმა დიმიტრიმ (ლიონიძე). მანვე აუგო წესი და
დაასაფლავა.

წყარო: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 487, ანანური 1, საქმე №4; საქმე №54; საქმე №131, ფურც. 1-2; ფ. 488, ანანური 1, საქმე 23389, ფურც. 1-3; ფ. 489, ანანური 6, საქმე №2.

ლიტერატურა: იოსელიანი პლ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ქ. თბილისი, 1978წ., გვ. 150-151; გვ. 207.

მოამზადა მღვდელმა გიორგი მაჩუროშვილმა

საავტორო უფლება დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესია-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი კალისხევიით დავინყებინებან ვინსნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana1@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ბოკუჩავა ტ: 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ზაზ-
არაძე, სერგო კერესელიძე, მულალტერი: ელასი ჯიბლაძე;
გაერცელებ: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე;
დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯუღელი

უკრაინაში მიმდინარე ომში, ფრონტის ხაზზე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 700 მღვდელმსახური იმყოფებოდა, მათგან 7 გარდაიცვალა

აღნიშნული ინფორმაცია მსოფლიოს რუსულ სახალხო კრებაზე რუსეთის საპატრიარქოს შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სინოდალური განყოფილების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა კირილემ (პაკროვსკი) გააჟღერა.

მისივე თქმით, ყოველდღიურად ასამდე მარ-

თლმადიდებელი მღვდელი იმყოფება წინა ხაზზე. რუსეთის დუმის დეპუტატის, ოლგა ტიმოფეევას განცხადებით, რუსი სასულიერო პირები ფრონტზე ფაქტიურად როგორც მოხალისეები ისე იმყოფებიან.

აღნიშნულიდან გამომდინარე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვასცა განკარგულება, რომ განისაზღვროს ფრონტზე მყოფი სასულიერო პირების სტატუსი, უზრუნველყოფილი იყვნენ სოციალური მომსახურებით, გარანტიებითა და კომპენსაციით.

ისტორიის ფურცელი

მიტროპოლიტი არსენი (ნაიბიძე-ბაგრატიონი)

1757-1813

მიტროპოლიტი არსენი, ერისკაცობაში — იესე არჩილის ძე ბაგრატიონი 1757 წელს ქართლის სამეფოში, ქ. ბოლნისში ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მოლაღატე ძმის, იესეს (მაჰმადიანობაში — ალი-ყული-ხანი) ოჯახში დაიბადა. მამამისი, იესეს უკანონო შვილი აბდულა-ბეგი (არჩილი) თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს ოპოზიციაში ედგა და ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ ამ ბრძოლაში დამარცხდა. მისი შვილიც იესე, თეიმურაზისა და ერეკლეს მიმართ ოპოზიციურ ოჯახს დაუნათესავდა — ცოლად შეირთო 1765 წლის შეთქმულებაში მონაწილე, ქართლის თავადის ელიზბარ თაქთაქიშვილის ასული. ახალგაზრდობაშივე დაქვრივებული მონაზვნად აღიკვეცა, სახელად არსენი უწოდეს და იმერეთში, კაცხის მაცხოვრის ამალლების სახ. მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა. XVIII ს-ის 80-იან წლებში კათოლიკოსმა ანტონ I-მა იგი ეპისკოპოსად აკურთხა და ნიქოზის კათედრაზე დაადგინა, სადაც ჩანს 1788 წლამდე. ამ ეტაპზე უცნობია თუ რომელ კათედრაზე იმყოფებოდა იგი 1788-1795 წლებში.

1795 წლის სექტემბერში, კრწანისის ბრძოლის შემდეგ ირანის შაჰმა ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიღო და გაძარცვა. ამ დროს მონამეობრივად აღესრულა თბილელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (დარეჯან დედოფლის მოძღვარი), რის შემდეგაც, დედაქალაქის კათედრის დაქვრივების გამო, კათოლიკოს ანტონ II-ს ლოცვა-კურთხევით თბილისის კა-

თედრა ეპისკოპოსმა არსენმა დაიკავა და მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. მასვე დაევალა დაქვრივებული ბოლნისის ეპარქიის მართვაც.

1801 წელს საქართველოში მეფობის გაუქმებას მოსახლეობის უმეტეს ნაწილში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა და იმავე წელს რამდენიმე გამოსვლაც მოხდა. რუსი გენერალ კრონინგის სიტყვით, მიტროპოლიტმა არსენმა „თავი გამოიჩინა ერთგული სამსახურით საქართველოში ჯანყისა და სხვა შემთხვევების დროს,“ დაეხმარა რუსეთის ჯარს ამბოხებულთა დაშოშმინებაში, რისთვისაც გენერლის წარდგინებით რუსეთის უწმინდესმა სინოდმა 1802 წლის 25 აგვისტოს იგი წმ. ანას II ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. ამ დროს რუსებმა ჩაატარეს საქართველოს ეკლესიის აღწერაც. გამოირკვა, რომ მიტროპოლიტ არსენს



ნიქოზის საკათედრო ტაძარი

ემორჩილებოდა 18 სოფელი, 3 თავადი და 4 აზნაური. ამის შემდეგ, რუსეთის მთავრობა მიტროპოლიტ არსენს ძალიან სწყალობდა, საფიქრებელია, რომ უფრო ანტონ II-ის პარალიზაციის მიზნით, მით უფრო, რომ ისიც სამეფო საგვარეულოს წევრი იყო. რუსეთის უწმინდესმა სინოდმა მიტროპოლიტ არსენი წმ. ანას I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა, 1807 წელს კი — ბრილიანტის ჯვრით შემკული თეთრი ბარცყულა უბოძა. ასეთი გარეგანი ნიშნების წყალობით მიტროპოლიტი არსენი მეისტორიეთ (დავით ბატონიშვილი და სხვ.) კათოლიკოსის მეტოქედ ჰყავდათ წარმოდგენილი. დავით ბატონიშვილის თქმით მიტროპოლიტი არსენი „**კაცი თავხედი, ამპარტავანი და გულფიცხი**“ კათოლიკოსის იურისდიქციას აღარ ემორჩილებოდა და უშუალოდ რუსეთის უწმინდესი სინოდს მიმართავდა ხოლმე, რითაც ხელი შეუწყო საქართველოს საეკლესიო საქმეებში რუსეთის საერთო მთავრობის ჩარევას. 1809 წელს, როცა ანტონ II-მ ახალი მთავრობის სურვილისამებრ შეადგინა პროექტი სასულიერო დიკასტერიის დაარსებისა, რომლის მიხედვით უქმდებოდა თბილისის ეპარქია, ხოლო მისი საკათედრო ტაძარი — სიონი, თბილისის საკეთილშობილო სასწავლებლის დირექტორს, დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს (შემდგომში — არქიმანდრიტი ათანასე) დაქვემდებარებაში გადადიოდა. პირადი ინტერესებით აღძრულმა მიტროპოლიტმა არსენმა ვრცელი საჩივარი გააგზავნა იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელზე და მოუწოდებდა მთავრობას საეკლესიო საქმეები გამოეძიებინა. 1809 წლის 12 დეკემბერს, იმპერატორის დაბადების დღეს, სიონის ტაძარში სადღესასწაულო წირვაზე, მიტროპოლიტმა არსენმა, მთავარმართებელ ტორმასოვისა და მალაღლი საზოგადოების დაურიდებლად, საკურთხეველში შეურაცხყოფა მიაყენა დეკანოზ ალექსის და მთავარეპისკოპოს ვარლამს (ერისთავი, შემდგომში — საქართველოს პირველი ეგზარქოსი). მსგავსი საქციელი მას ადრეც ჩაუდენია, როდესაც გალახა და კბილი მოსტეხა ქვაშეთის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ ფილიპე არჯევანიძეს. ამას დაერთო ეპარქიის მართვა-გამგეობაში დაშვებული სხვა ბოროტმოქმედებანი და სიონის ტაძრის ქონების გაფლანგვაში მხილება-ბრალდებანი. მაგალითად: გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მღვდელ-მონაზონ დიმიტრის (ლიონიძე), მონასტრიდან განშორების გამო,



კათოლიკოსი ანტონ II (ბაბრატიონი)

რუსთველ-წინონწმინდელმა მიტროპოლიტმა სტეფანემ (ჯორჯაძე) მღვდელმოქმედებიდან დააყენა. სამწუხაროდ, 1809 წლის ნოემბერში თბილელმა მიტროპოლიტმა არსენმა მღვდელმონაზონ დიმიტრის არქიმანდრიტის წოდება მიანიჭა. 1810 წლის 28 თებერვალს შეიკრიბა სასულიერო სასამართლო (ე. წ. დიკასტერია), სადაც მოისმინეს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის მოხსენება. კათოლიკოსმა ბრძანა: „**მღვდელ-მონაზონი დიმიტრი, რომელიც დაყენებულ არს მღვდელმოქმედებისაგან ვითართამე გარდახდომათვის და მოსრულ ხსენებული სატფილელ მიტროპოლიტისადმი თვინიერ მღვდელმთავრის ნებართვისა აკურთხა მან მოუხსენებელად ჩემდა არქიმანდრიტად**“. არქიმანდრიტ დიმიტრის ჩამოერთვა უკანონოდ მიღებული ხარისხი, აეკრძალა მღვდელმოქმედება და რამდენიმე თვით შიომღვიმის მონასტერში სინანულის კანონი განუჩინეს. სასულიერო დიკასტერიამ განიხილა სხვა საკითხები და 1810 წლის 16 მარტს მიტროპოლიტი არსენი კათედრიდან გადააყენეს, 6 თვით მღვდელმოქმედება აუკრძალეს და გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის სახ. მამათა მონასტერში საცხოვრებლად გააგზავნეს. მიტროპოლიტი არსენი ამ განაჩენს არ დაემორჩილა და იმპერატორთან აუდიენცია ითხოვა. (მიტროპოლიტი არსენი რომ მართლა დასჯილია, ამას ადასტურებს 1810 წლის 11 ივნისს კათოლიკოს ანტონის შედგენილი დოკუმენტი, სადაც ის არსენს მიტროპოლიტ ყოფილად მოიხსენიებს). კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის რუსეთში გადასახლების შემდეგ იგი ასევე არ ემორჩილებოდა საქართველოს ახალ ეგზარქოს ვარლამს (ერისთავი). მისი საქმე რამდენჯერმე განიხილა სასულიერო დიკასტერიამ. 1812 წლის 5 თებერვალს საქართველის ეგზარქოსის ვარლამის (ერისთავი) ბრძანებით სასულიერო დიკასტერიის წევრნი: არქიმანდრიტი ათანასე (პეტრიაშვილი) და მღვდელი იესე წავიდნენ მიტროპოლიტ არსენთან, რათა გადაეცათ უმაღლესად დანესებული პენსია საეკლესიო ხაზინიდან 100 თუმანი თეთრი. მეუფე არსენმა ხსენებული მამები არც კი მიიღო და უარი თქვა პენსიის აღებაზე. ამის შემდეგ გააგზავნეს მღვდელი ეგნატე იოსელიანი, რომელიც მართალია მიიღო და გაესაუბრა, მაგრამ მისი პირით მოახსენა დიკასტერიას, რომ ხსენებული



სიონის საკათედრო ტაძარი

პენსიის ალბაზე უარს ამბობდა. ამის შემდეგ დიკასტერიამ განაჩინა: „დამთავრდეს უურნალსა შინა, და მოხსენდეს ამისთვის ამავე დიკასტერიის წევრის არქიმანდრიტ გამალიელისაგან (გამრეკელი) საქართველოს ეგზარქოს ვარლამს (ერისთავი)“.

ახალი მთავარმართებელი რტიშჩევი მოითხოვდა მის რუსეთში გადასახლებას და ერთ-ერთ მონასტერში განწესებას 1200 მანეთი პენსიით. 1813 წელს იმპერატორმა ნება მისცა სანქტ-პეტერბურგში ჩასვლისა და სინოდში ადგილობრივ თავისი საქმის გამორკვევისა. თბილელი მიტროპოლიტი არსენი ასეთ განკარგულებას ეჭვის თვალთ შებვდა და იქნებ არც დამორჩილებოდა, რომ მოულოდნელად არ გარდაცვლილიყო 1813 წლის 30 ნოემბერს. იგი შესაფერისი პატივით დაასაფლავეს სიონის საპატრიარქო ტაძარში, ხოლო მის მოხუცებულ დედას — თინათინს რუსეთის მთავრობამ თვეში 25 მანეთი პენსია ვერცხლით დაუნიშნა. თინათინი გარდაიცვალა 1824 წლის 20 თებერვალს სოფ. ქვემო ხვითში, 100 წლის ასაკში, სიკვდილის წინ აზიარა, წესი აუგო

და დაასაფლავა მღვდელმა მანასე მაჭავარიანმა იმავე სოფლის სასაფლაოზე.

წყარო: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 487, ანაწერი 1, საქმე №56, საქმე №127; ფ. 489, ანაწერი 1, საქმე №194.

ლიტერატურა: Акты, Собранные Кавказской археографической комиссией (შემდეგში – Акты), т. I, ст. 531; ст. 763; т. IV, ст. 149; Иоселиани Пл. 'описание древностей города Тифлиса–, Тифлиси 1866 г., ст. 200; „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. VI, ქ. თბილისი, 1977 წ., გვ. 403; გვ. 418-419; ბერძნოვილი მაქსიმე „მასალები XVIII-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“. ქ. თბილისი, 1980 წ., ტ. I, გვ. 152-154; ცინცაძე კალ. „ქვაშეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“, ქ. თბილისი 1994 წ. გვ. 159; გვ. 193; ბუბულაშვილი ე. „პატრიარქი ანტონ II“, ქ. თბილისი 2011 წ.

მღვდელი
გიორგი მაჩუროშვილი

© საავტორო
უფლება
დაცულია

თუ თქვენს საოჯახო არქივში მოიპოვება სასულიერო პირთა და საქართველოს ეკლესიის-მონასტართა ფოტოები, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დავინახავს ვინცნათ ისინი. დაგვიკავშირდით ტელ.: 593 19 36 04; 599 88 66 90; 2 32 48 66; 2 98 95 41

გთხოვთ, გაზათს გაუფრთხილდეთ მასში დაბეჭდილი მასალების გამო საბანკო ანგარიში: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22. ანგარიში: № GE57LB0115123530407000. საბანკო კოდი — 45 01 56.



რედაქტორის მოადგილის ელ.ფოსტა: bokuchavanana@gmail.com. მის: ერეკლე II-ის მოედანი 1, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი. ტელ. 2 98-95-41

რედაქტორის მოადგილე: ნანა ზოკუჩავა ტ. 599 23 10 54
სარედაქციო კოლეგია: მიტროპოლიტი დიმიტრი (მოლაშვილი), მარიამ გაგუა, ნინო გაგომაშვილი, თამარ ასათიანი, მღვდელი გიორგი მაჩუროშვილი, ია ხაზარაძე, სერგო კერესელიძე, ბულაღტერი: ვლასი ჯიბლაძე; გაერცელება: ცარო ვარდიშვილი, მამუკა კვაჭანტირაძე; დასავ. საქართველოში გაერცელება ზაზა უგულავა 595343056
დამკაბადონებელი: ვალერიან ჯულელი

საბერძნეთის ეკლესიის მუდმივმოქმედი წმინდა სინოდის დეკემბრის თვის სხდომის გადაწყვეტილება

13 და 14 დეკემბერს, ათენის უნეტარეს მთავარეპისკოპოს იერონიმეს თავმჯდომარეობით საბერძნეთის ეკლესიის მუდმივმოქმედი წმინდა სინოდის სხდომები გაიმართა.

წმინდა სინოდმა:

მოისმინა მოხსენება საბერძნეთის ყოფილი პრეზიდენტის, პროკოფი პავლოპულოს მიერ გამოგზავნილი წერილის - "კონსტიტუციის ინსტიტუციური მოწმობა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი მსვლელობის შესახებ ერის ძნელბედობის ჟამს" - შესახებ და გამოთქვა კმაყოფილება და მადლობა მის მიმართ.

მოისმინა მოხსენება ერთსქესიანი წყვილების ქორწინების თემასთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ დააკვირდეს საკითხის მიმდინარეობას და ვითარების შესაბამისად, იგი განიხილოს საბერძნეთის ეკლესიის მღვდელთმთავართა წმინდა სინოდმა.

დანიშნა საეკლესიო ფინანსების ცენტრალური სამსახურის მმართველი კომიტეტის ახალი შემადგენლობა და მადლობა გადაუხადა მის ძველ შემადგენლობას განუული მრავალნაყოფიერი და კეთილნაყოფიერი სამსახურისთვის.

მიიღო გადაწყვეტილება, რომ ათენის სამთავარეპისკოპოსოსა და სამიტროპოლიტოებში ქრისტიანების ღვთისმსახურებაზე ჩამოტარებულ იქნას შესანიერი ყუთი იმ ოჯახების ფინანსური დახმარებისათვის, რომლებიც თრაკიის რეგიონში ცხოვრობენ და სამი ან მეტი შვილი ჰყავთ.

დაამტკიცა წმინდა მამის, ფოტი დიდის კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და საბერძნეთის ეკლესიის წმინდა სინოდის მფარველის სადღესასწაულო მსახურებების განრიგი (6.2.2024).

13 დეკემბრის სხდომათა შორის შესვენებისას ათენის უნეტარეს მთავარეპისკოპოს იერონიმეს წინაშე რწმუნების სიტყვა წარმოთქვა ახალდადგინებულმა დამხმარე ეპისკოპოსმა ეგნატემ.

ამავე დღეს, სხდომათა დასრულების შემდეგ, ათენისა და სრულიად საბერძნეთის მთავარეპისკოპოსმა იერონიმემ ათენის საღვთისმეტყველო უნივერსიტეტის მეორე კურსელ და მაგისტრანტ სტუდენტებს უმასპინძლა, რომლებსაც თან ამავე სასწავლებლის პროფესორი, პერისტერის მიტროპოლიტი გრიგოლი ახლდა.

წმინდა სინოდმა ასევე განიხილა სხვადასხვა საკითხები.

საბერძნეთის ეკლესიის მუდმივმოქმედი წმინდა სინოდი.

წყარო: <https://orthodoxia.info/.../oloklirothike-synedriasi-tis-dis.../>

ისტორიის ფურცელი

მიტროპოლიტი იუსტინე (მალალაშვილი)

„კაცი ფილოსოფოსი და გაზრდილი დიდის კათალიკოსისაგან“

1731-1813

მიტროპოლიტი იუსტინე 1731 წელს ქართლის სამეფოში საეკლესიო აზნაურის, მდივან სოლომონ მალალაშვილის ოჯახში დაიბადა.

მამამისი — სოლომონ რევაზის ძე მალალაძე დაიბადა დაახლოებით 1690 წელს. იგი სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო. სოლომონი გახლდათ აღმშენებელი წინარეხის მალალაანთ ეკლესიის გალავანში ჩართული სამრეკლოსი, რომელიც გალავანში შესასვლელ კარიბჭესაც წარმოადგენს. სამხრეთის ფასადის ვრცელი სამშენებლო წარწერის თანახმად იგი აგებულია 1716 წელს ნიკოლოზის ძმის, რევაზ სახლთუხუცესის შვილის, სოლომონის მიერ. კოშკისებრი სამსართულიანი სამრეკლო ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. პირველი

სართული სამხრეთით და ჩრდილოეთით ფართე, შეისრული მოყვანილობის თალებითაა გახსნილი, მეორეზე ერთი ოთახია, მესამე სართულიდან შემორჩენილია მხოლოდ წრიული საფუძველი. შემორჩენილია წარწერაც: „[... მალალაძე მდივან მწიგნობარ მგალობელი სოლომონ გიმკობ და აღვაშენებ სამრეკლოსა ამას ქკს უ-(დ)“.

1709 წელს ქართლის გამგებელმა ვახტანგ VI-მ ეპისკოპოს ანთიმოზ ივერიელის მონაწილეობით ქ. თბილისში ქართული სტამბა დააარსა. აღნიშნულ სტამბაში 14 წიგნი დაიბეჭდა. 11 საეკლესიო, ორი სახელმძღვანელო, ერთი ვეფხისტყაოსანი. სტამბის რედაქტორი მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (ორბელიანი, შემდგომში — მიტრო-

პოლიტი) გახლდათ, ხოლო მესტამბენი იყვნენ: გერმანე მღვდელმონაზონი, მიქელ მესტამბე მიქაძე, გარსევან-ყოფილი მღვდელი გაბრიელი, კვიპრიანე სამთავნელი, ხოლო კათოლიკოსის კარის მდივან-მწიგნობარი სოლომონ მაღალაძე მხედრულ შრიფტს ადგენდა (1703-1737 წწ.).

სამეფო კართან ოჯახის სიახლოვის გამო, პატარა იუსტინეც იქვე ანტონ I კათოლიკოსის კარზე იზრდებოდა. სავარაუდოდ, მანვე აღკვეცა მონაზვნად. 1757-1762 წლებში ქ. ვლადიმირში გადაწერილ იოანე სინელის „კლემაქსზე“

არის მინაწერი: „მე ცოდვილმა ბერმა იუსტინემ აღვწერე რუსეთს, ვლადიმერს ყოფას“. გ. ლეონიძის პირადი მოსაზრებით, ეს გადამწერი ბერი იუსტინე უნდა იყოს მთავარეპისკოპოსი იუსტინე მაღალაშვილი, რომელზედაც პლატონ იოსელიანი ამბობს: „კაცი ფილოსოფოსი და გაზრდილი დიდის კათალიკოსისაგან“. 1771 წელს კათოლიკოსმა ანტონ I-მა ეპისკოპოსად დაასხა ხელი და ურბნისის კათედრაზე დანიშნა. პლატონ იოსელიანი თავის წიგნში „ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა“ მის შესახებ წერდა: „წირვისათვის მისისა იტყოდა მეფე გიორგი: წირვა იუსტინესი არის გარედგან რაიმე საჩვენებელი დიდისა საიდუმლოსა, რომელიცა არის ლიტურღია; კეთილი და პატიოსანი; მაგრამ გვავიწყებს და არა გვაგონებს ლიტურღიისა სიღრმესა; ვითარცა მზე ზამთრისა ანათებს და არ გვათბობს. წირვა უნდა ხვდებოდეს გულსა და არა თვალსა“. ესე ვიცი თვით მიტროპოლიტისა იოანე ბოდბელისაგან, და ხშირად მეტყოდა მეფისა თქმასა ამას იმერეთისა მიტროპოლიტიცა დავით წერეთელი“.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ არქივში AD ფონდში 628-ით დაცულია თ. ჟორდანიას მიერ არზის დედანი, ნაწერი მცირე ზომის ქაღალდის ფურცელზე. მოგვყავს იგი მთლიანად: „ქ. ღმერთმან ჩვენთვის ყოვლადმონყალის ხელმწიფის დედოფლის ჭირი მოსცეს მათს, მარადის მლოცველს ურბნელს იუსტინეს. რუის, ერთი კომლი კაცი რევაზა, თავის ნასყიდის მამულებით ჩემს ეკლესიის შეწირული ყოფილა. ის კაცი ამონყვეტილა და ფილიპე გურამიშვილს ის ვენახი და სახლ-კარი გაუყიდნია თორმეტ მინალთუნად,



ნინარის მალახანის ეკლესია

ბალიაშვილისათვის მიუყიდნია. თქვენმა სიმაღლემაც კარგად იცის ეპისკოპოსს ეკლესიის მამული არ გაეყიდება. ამ წყალობას ვითხოვ, თავისი თეთრი მომაცემინოთ და ეკლესიას თავისი მამული დანებდეს, ოცი წელიწადი არის ამ მამულზე ველაპარაკები და არაფერს პასუხს არ მაძლევს. ხან ძალით წავართვი კულუხი და ხან კი არარა მომცა რა. გვედრები, იასული მიბოძოთ ან დამახსნევინოს, ან კულუხი აძლიოს საყდარსა ჩემო ხელმწიფე. ივნისის 12 ქორონიკოს უოზ. მეორეს ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს იქავ რუისში მახარაშვილის მამულები ჩემის ეკლესიის საღალღობია და ამირალაშვილმა იყიდა. იმის წყალობასაც ვითხოვ, მისი ღალაც ებოძოს ეკლესიას, ჩემო ხელმწიფე.“


1791 წელს ეპისკოპოსი იუსტინე რუისის კათედრაზე გადაიყვანეს. 1796 წელს მთავარეპისკოპოსმა იუსტინემ ბეთლემის ღმრთისმშობლის მონასტერს (მდებარებდა სოფ. მეტეხთან 15 კილომეტრში, ტყეში, დაახლოებით 1798 წელს სასტიკად დაარბიეს ლეკებმა, რის შემდეგაც ფუნქციონირება შეწყვიტა) შეწირა ვერცხლის ფეშხუმი თავისი მხედრული წარწერით. ფეშხუმზე იკითხება: „მე ყოვლად უღირსმან მაღალაძე პროველ მიტროპოლიტმან, ძემან სოლომონ მდივნისამან იუსტინემ შემოგწირე ჩვენს სასოს ბეთლემისა ღვთის მშობელს ფეშხუმი ესე სულისა ჩემისა საოხად, რათა დღესა მას განვითხვისასა შემეწიო მე ცოდვილსა. წელსა ჩღჟვ, ქორონიკოს უპდ. მისხალი ნთ“.

მთავარეპისკოპოსმა იუსტინემ 1803 წელს რუისის მაცხოვრის ფერისცვალების სახ. საკათედრო ტაძარში ახალი ტრაპეზ-ამბიონი ააგო. მის დროს

ეპარქია 46 სოფელსა ფლობდა. მეუფე იუსტინე მნივნობრობითაც ყოფილა დაინტერესებული, მას რუისის ტაძრისათვის შეუწირავს საყურადღებო კრებული. 1810 წლის თებერვალ-მარტში მონაწილეობა მიიღო თბილელი მიტროპოლიტ არსენის (ნაიბიძე-ბაგრატიონი) სასამართლო პროცესში და ხელს აწერს, როგორც მდაბალი მიტროპოლიტი სამთავროისა, რუისისა, გორისა და ნიქოზისა მთავარეპისკოპოსი იუსტინე. როგორც ვხედავთ, 1810 წელს მას შეთავსებული აქვს სამთავროსა და გორის და ნიქოზის ეპარქიის მართვაც. ეს ეპარქიები მას XIX ს-ის დასაწყისში პერიოდულად და ექვემდებება კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით. 1803 წლის იანვარში გარდაიცვალა წილკნელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ქარუმიძე), რომელსაც 1801 წლიდან მიერთებული ჰქონდა სამთავროსა და გორის ეპარქიის მართვა და აქედან გამომდინარე მისი ორივე ეპარქია მეუფე იუსტინეს მმართველობაში აღმოჩნდა, რადგან საქართველოში იმჟამად უკვე გაბატონებული რუსეთის იმპერია კათოლიკოს ანტონ II-ს ახალი მღვდელმთავრების კურთხევის უფლებას არ აძლევდა. რაც შეეხება ნიქოზის კათედრას, ეს ფაქტი დასაზუსტებელია, რადგან ნიქოზელი ეპისკოპოსი ათანასე (მაჭავარიანი) იმ დროს ცოცხალი იყო (გარდ. 1816 წ.).

1811 წლის 16 ოქტომბერს არქიმანდრიტი ნიკიფორე წერდა საქართველოს სასულიერო დიკასტერიას: „ყ-დ სამღვ. მთავარეპისკ. იუსტინეს ჩემი საკუთარი თეთრი ფული ჰმართებს უსარგებლოთ 83 თუმანი. რომლის ნიშნად იმისი ხელით წერილი ღერბოვის ქალაქდზედ დაწერილი ხელთ მიჭირავს, ვითხოვ უმდაბლესად რომ ჩემი საკუთარი თეთრი გამომირთოთ და მიბოძოთ“. 1812 წლის 29 იანვარს თავის მხრივ დიკასტერიამ იუსტინეს მისწერა: „არქიმანდრიტმა ნიკიფორემ არ იკადრა საერო სასამართლოში ჩივილი და, თქვენი პატივისცემიდან გამომდინარე, ჩვენ მოგმართა თხოვნით, ამიტომ გთხოვთ, დაუბრუნით მას 83 თუმანი თეთრი ფული. არსებობს ერთი ვექსილი 1811 წლის 6 მარტის, თქვენი ხელმოწერით“.

როგორც სასულიერო დიკასტერიაში დაცული საეკლესიო საბუთებიდან ჩანს, 1812 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს ეგზარქოს ვარლამის (ერისთავი) ბრძანებით მთავარეპისკოპოსი იუსტინე ჩამოაშორეს ეპარქიის მართვას. ამასთან დაკავშირებით, 1812 წლის აპრილში გორის მაზრის თავადებმა ეგზარქოს ვარლამს წერილი მისწერეს: „აღრაცხვასა ჩვენსა ყმობასა რუსეთისა ერთმთავრობისა მედღესასწაულენი მიერ დღითგან და აღმთქმელნი ფიცით ერთგულე-



რუისის საკათედრო ტაძარი

ბისათვის ერთმთავრობისა ვართ მტკიცედ და სჩანსცა ცხადად, რომელ ყოველსა შინა ბრძანებასა მთავრობისასა სამსახურებელად გაცხადებულ ვართ. საზოგადოებათასა გვაქვს იმედი, რომელ არა დაშთების თხოვნა ესე ჩვენი უყურადღებოდ და საზოგადოება ჩვენი ვერ გაბედავს რომელ არა აღიაროს სრული კმაყოფა თვისი მართებლობისადმი, გარნა ჩვენ საქართველოისა ერთა საზოგადოთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა გვექონია სასოება და მინდობა მხოლოდ სარწმუნოებასა ეკლესიასა და ეკლესიისა თავთა მეურნეთა ზედან და ძალით და შეწევნითა სასოებისა ჩვენისა სარწმუნოებითისა მიყრდნობით მღვდელმთავართა, არქიმანდრიტთა და მღვდელთა, რომელ ესენი ილოცევდენ ჩვენთვის და ჩვენ მინდობილნი და მსასოებელნი ვმაგრდებოდით უცხოთა თესლთა. და დღეს გვესმა, რომ მის დიდებულმან მონარხმან ბრძანა ჩამორთმევა და ჩამოერთვათ ზოგთა რომელთამე არქიელთა საეპარქიო თვისი და ზოგნი ფლობენ თვისთა ეპარხიასა შინა. ამავე საქართველოს შინა პირველი საეპარხიო სამთავრო ჰქონდა რწმუნებული მთავარეპისკოპოსსა, მოხუცებულსა უფროს ოთხმეოცისა წლისა და ეგრეთვე მყოფსა ორმოცდათოთხმეტ წლამდინ მღვდელმთავრობასა შინა მაღალოვს იუსტინეს მროველსა და ახლა ჩამოერთვა და

მიადგა უამსა მოხუცებულობისასა არა მცირედი ომი და ვინაიდგან არა აქვს უამთ სიგრძე მოხუცეობისა გამო, ამისთვის ყოვლად უქვეშევრდომილესად ვსთხოვთ თქვენსა მაღალმატებულებასა, რათა მოილოთ მამობრივი მოწყალეობა ჩვენზედა და პატივი სცეთ მოხუცებულ მღვდელმთავარსა და დაუბრუნდეს კვალადვე თვისი ეპარქია სამმართველოდ და ადიდოს ყოვლად უაღმატესი მონარხი და დიდებული მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა და ილოცოს მოკლესა შინა სიცოცხლესა თვისსა მისთა მხედრობათა გარსამარჯვებულად". წერილს ხელს აწერდნენ შემდეგი თავადები: პოდპოლკოვნიკი გიორგი ივანე ამილახვრის-შვილი, ერმი ბაგრატიონი, იოანე აბაშიძე, ანტონ ავალოვი, ზაქარია მხარგძელი, რევაზ მხარგძელი-ფავლენოვი, ტიტულარნი სოვეტნიკი ზურაბ ფალავანდისშვილი, როსტომ ამირეჯიბი, დავით მაჩაბელი, ბარძიმ მაჩაბელი, იოანე ფავლენოვი, დავით ხერხეულიძე. 1812 წლის 29 აპრილს ამ წერილთან დაკავშირებით სასულიერო დიკასტერიამ იმსჯელა და გორის მაზრის უფროსს გაუგზავნა პასუხი თავადებისთვის გადასაცემად: „1) რომელ ეპარქია სამთავროისა არს შედგმულეზა მცხეთის ეპარქიასა უმაღლესი დამტკიცებითა და სინოდის მოხსენებითა, და განაგებს მას ქართლისა და მცხეთის მიტროპოლიტი და სრულიად საქართველოს ეგზარქოსი ვარლამი; 2) მთავარეპისკოპოს იუსტინეს ესოდენს უამს მმართველობისა ეპარქიისა, მიუყვანიეს ეკლესია სრულიადსა აოხრებასა შინა, და არათუ ეპარქიისა მის შემოსავალნი არა წარუგიეს სარგებელ ეკლესიისა, არამედ თვით რომელთამე ქრისტიანეთა კაცთაგან შეწირულნი რაოდენობანი თეთრისანი რათამცა განახლდეს გორის ეკლესია, იგიცა დაუხარჯავს თვისისა საჭიროებასა ზედა, და დაუდგენია მღვდლებად სამღვდლოისა სამსახურისადმი შეუძლებელნი მრავალნი; 3) გარდა ამათსა, სიბერისა მისისა წელთაებრ ვინაითგან შეუძლებლობასა შინა მიწვევულცა არს, კანონითა წმ. მამათა აღეკრძალეზის მას გამგეობა ეპარქიისა, გარნა არა დაიყენების მოსურნეთათვის ქრისტიანეთა მღვდელმოქმედებად მათისა მშვიდობისათვის. ანუ მათთა მიცვალეზულთა განსვენებისათვის; 4) ამათ თანა ესეცა განეცხადოსთ, რომელ უმაღლესად დამტკიცებულის სინოდის მოხსენებითა, აღნიშნულ არს ქრისტიანეთა მათ მოსავთა ერთათვის, რომელ იპოვეზიან გორის მაზრასა შინა, რათა იცხოვროს წილკნელმან გერვასიმ ქალაქსა გორს თვისდა შესახვედრი-



კათოლიკოსი ანტონ I (ბაგრატიონი)

თა პენსიითა, და მღვდელმოქმედებდეს მათ ზედა, ხოლო სამთავროსა ეპარქიისა შემოსავალი აღნიშნულ არს მისაცემელად აღსაშენებლად გორის ეკლესიისა და შემოსავალი ურბნისის ეპარქიისა მიცემულ არს მის მთავარეპისკოპოს იუსტინესადმი საზრდელად“.

ეპარქიის მართვას ჩამოცილებული მთავარეპისკოპოსი იუსტინე 1813 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა.

წყარო: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 487, ანაწერი 1, საქმე №7; საქმე №75; ფ. 489, ანაწერი 1, საქმე №3876.

ლიტერატურა: გ. საძაგლიშვილი (კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II) „Историко-археологические очерк Метехского храма“, ქ. ქუთაისი 1891 წ., გვ. 45; ჟორდანიას თ. „ქრონიკები“ ტ. III, ქ. თბილისი, 1967 წ. გვ. 414-415; „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. VI, ქ. თბილისი, 1977 წ., გვ. 426; იოსელიანი პლ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ ქ. თბილისი, 1978 წ., გვ. 251-252; გ. ბოჭორიძე „ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები“ (გამოსაცემად მოამზადეს ზ. სხირტლაძემ და ნ. ჩიტაშვილმა), ქ. თბილისი 2011 წ., გვ. 37; გვ. 308.

მღვდელი
გიორგი მაჩურიშვილი